

მთავარი თემა:

ჯილდოების მართვა, თითქმის ყოველთვის

ინტერვიუ
გიორგი ტულუშთან
"უფსიხოლოგები
ახანს ახ
უყვანით"
გვ. 14

პიზნისი
უცხოური
ინვესტიციების
ტენდენციები
გვ. 24

სამართალი
ქალაქი
დახრანი
საუბრა
გვ. 38

კონფლიქტები
ქვეით
ახალი
მთავრობა
გვ. 18

ISSN 1987-7528



9 771987 752008





www.ucnobifm.ge



მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები
სოფო ბუკია
მაგდა მემანიშვილი

ჟურნალისტური გამომცემი
ნინო ზურიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნანა საჯავია

ჟურნალისტები:
მაია წიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ
ფარადაშვილი, ცირა გვასალია,
მალხაზ ჭყაძე, ზურა ვარდიაშვილი,
ანიტა თვაური, ანი ჭანკოტაძე,
ლიკა ზაკაშვილი, თათია ხალიანი,
სალომე ცეცხლაძე

კონტრიბუციები:
გიორგი ცხადაია, მარკ მალენი, გიორგი
მგელაძე, ინალ ხაშიგი, მარია ბესტაევა,
კახა თოლორდვა, ვასო კუჭუხიძე, ნანა
ბიგანიშვილი, მზია საგანელიძე

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია
კორექტორი თამარ ლონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი

ბაზილიკისა და ბიზნესის
ბანკითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი
კლიენტთა მომსახურების და
დისტრიბუციის მენეჯერი
ნათია რუსაძე

ბაზილიკის მენეჯერები:
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი,
ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან
მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი,
მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ
ზანდარაშვილი, თინა ოსეფაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ გედენიძე

ჟურნალის გამოცემის მსურველებმა
დაურეკეთ: 2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი,
08:00 -18:00 სთ.

ჯონღლიტები



ფოტო: ალან კორინჯიუ / REUTERS

ქვეით ხანი მთაწიოზა

ცხინვალში საპროტესტო მიტინგების ახალ ტალღას ელოდებიან. ცხინვალში შიშობენ, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს მარტის არჩევნებიდან ჯიოევას ჩამოსაცილებლად.

ალა ჯიოევა ბრძოლის გაგრძელებას აპირებს. იგი ამბობს, რომ დროებითი შესვენება ოპოზიციას მხოლოდ ძალების აღსადგენად სჭირდება: „პოლიტიკური ბატალიების არენაზე იგივე წესები მოქმედებს, როგორც ომის დროს: ზოგჯერ დგამ ერთ ნაბიჯს უკან იმისთვის, რომ შემდეგ ორი წინ გადადგას. იღებ ტაიმ აუტს, რომ ახალი სტრატეგია დასახო“.

მარია ბესტაევა 33.18

ზიხონჯახა მახთაძია, თითქმის ყოველთვის

2011 წლის იანვარ – სექტემბრის მონაცემებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 13 319 ბრალდებულიდან მხოლოდ 30 გაამართლეს, რაც საერთო ოდენობის 1,7%-ია.

ქართული მართლმსაჯულების სისტემაში სისხლის სამართლის საქმეებზე გამამართლებელი განაჩენი ძალზე იშვიათად დგება.

ამ ტენდენციას სასამართლო იმით ხსნის, რომ პროკურატურას სასამართლოში „საფუძვლიანად დამუშავებული“ საქმეები მიაქვს და სასამართლო პროცესებს იგებს კიდევ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებადამცველთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს შედეგი სასამართლოზე პროკურატურის გავლენის მაჩვენებელია.

ზურაბ ვარდიაშვილი 33.34

ფოტო: სარკიზი ვიდეო ცენტრი




უსოუხი ინვესტიციების ბენეფიციარი

არაერთ ექსპერტს აღუნიშნავს, რომ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც უცხოური კომპანიებისადმი ლიბერალურ მიდგომას ითვალისწინებს, თავისი უარყოფითი შედეგები აქვს. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოებისათვის ხშირად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ დგას ამა თუ იმ კომპანიის უკან, ვისი ფული შემოდის ქვეყანაში, ვინ არიან კომპანიის მფლობელები. ბოლო პერიოდში არაერთგზის გამოთქმულა ეჭვი, რომ მომგებიანი და მსხვილი სანარმოების



შოუ და ბაიბოზა ახთანაბარი ბენეფიციარისთვის


მცირე პროექტები, როგორცაა კვერცხებიანი „შლოპანცები“ ბათუმში, და გრანდიოზული ნამონეტები, როგორც არის ლაზიკა, ერთ მიზანს ემსახურება: პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების შოუდ გადაქცევას. განვითარების ის მოდელი, რომელსაც ხელისუფლება უჭერს მხარს, თავად გულისხმობს შოუს ელემენტების ჩართვას. ამიტომ, ჯერ ამ მოდელის თავისებურებებზე ვისაუბრებ, შემდეგ შოუს დადგმის იდეოლოგიურ ფუნქციებს მიმოვიხილავ და ბოლოს ალტერნატიული მოდელის განხილვაზე გადავალ.

 გიორგი ცხადაიას თვალსაზრისი 33.10

"უსიხასობები ახსად ახ უყვართ"


„2011 წელს ტენდენცია დამაიმედებელი ნამდვილად არ არის. ყველაზე მძიმე ვითარება ქუთაისის მე-2 სასჯელალსრულების დაწესებულებაშია, სადაც პატიმრების უკანონოდ დასჯა პრაქტიკად იქცა. გამოვყოფდი პატიმრების ე.წ. „ბოქსში“ ჩაყვანას ნახევრად შიშველ მდგომარეობაში. ასევე გამოვლინდა ცემის ფაქტები. ასეთივე სიტუაციაა პატიმართა და ბრალდებულთა მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში. გლდანის მე-8 დაწესებულებაშიც რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში პატიმრები ჩივილისგან თავს იკავებენ.

მთავარი პრობლემა დაუსჯელობა და ფაქტების არასათანადო, ზერელე გამოძიებაა“.

 მალხაზ ჭკადუას ინტერვიუ სახალხო დამცველ გიორგი ტულუშთან 33.14

მფლობელი ოფშორული კომპანიების უკან თვით სახელისუფლებო ბიზნესნრეები დგანან.


ოფშორული ბიზნესი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც საკრედიტო, ისე ინვესტიციების მოძრაობაში. საქართველოში ინვესტიციები შემოაქვთ ისეთ ოფშორულ ცენტრებში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორცაა ჯერსი, ბაჰამა, ვირჯინიის კუნძულები.

 თათია ხალიანი 33.24

ბავსხვიცხვილი ჯანსაღი - ბაჩიჩიჩი ინსახახიცილი ბანათეხისათვის

კლასების გაერთიანებამ კლასში მოსწავლეების რაოდენობის ზრდის გარდა, საგნების საათების შემცირებაც გამოიწვია. შედეგად სკოლიდან მცირე დატვირთვის მქონე პედაგოგები გაათავისუფლეს. ეს პროცესი ყველაზე თვალსაჩინოდ რეგიონებში გამოჩნდა.

მასწავლებლებს მიმდინარე პროცესების მიმართ უსამართლობის შეგრძნება აქვთ. ამბობენ, რომ სამინისტროს გადაწყვეტილებას შინაგანი ლოგიკა არა აქვს. ისინი ვერც იმას იგებენ, თუ რატომ არ იღებს დანამატს ყველა სერტიფიცირებული პედაგოგი. სახელმწიფო უფრო მეტი ფულის ჩადებას განათლების სისტემაში ვერ ახერხებს.


 ლიკა ზაკაშვილი
03.3

ფოსტოხაპოხაპი

ხანაჯიჩი საჩახოხელო



ფოტო: ლიკა ზაკაშვილი

 დინა ოგანოვას ფოტორეპორტაჟი
03.48-53

ბამოცხეხი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ფლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge


სხვა ბამოცხეხი:

„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. უურნალოში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაქცხა:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ასაქვი ნომერები:



ილუსტრაცია: სოფო სოფო / შირაში

- 04 მოკლედ
- 06 რიცხვები, ციტატები
ორი აზრი
- 08 თქვენი აზრით, უნდა დაიხარჯოს თუ არა 3 მილიონი ლარი ქალაქის საახალწლო გაფორმებებზე?
კომენტარი
- 12 როგორ უნდა წააგო კამათი მარკ მალენი
მეზობლები
- 20 რეველუცია ლიდერის გარეშე
ბიზნესი
- 28 „მოგინევს, დაიჯერო“
მედია
- 31 „მაცეტროს“ ირგვლივ დავა გრძელდება
- 32 საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
სამართალი
- 38 ქალაქზე დარჩენილი საკუთრება
განათლება
- 42 უხმოდ საუბრის ხელოვნება
ლიბერალის ვებგვერდიდან
- 54 ჩვენი დროის ბარბაროსი



ფუნრალი „ლიბერალი“ ბამოცხეხა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ჯაჰიძეობა ინფორმაციის ბაზისელებისთვის



ირანის პრეზიდენტის მრჩეველი პრესის საკითხებში ალი აკბარ ჯავანფეკრი მომავალ წელს პატიმრობაში გაატარებს. მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ისლამური ღირებულებების სანინალმდეგო მასალების გავრცელებისა და საზოგადოებრივი მორალის დარღვევისათვის მიუსაჯეს. ჯავანფეკრს სასამართლომ საგამომცემლო და ჟურნალისტური საქმიანობა 3 წლის განმავლობაში აუკრძალა. ალი აკბარ ჯავანფეკრი 2010 წლის იანვრიდან დაკავებამდე ირანის ერთ-ერთი ცენტრალურ საინფორმაციო სააგენტოს, IRNA-ს ხელმძღვანელობდა. სასამართლომ კანონდარღვევა აღმოაჩინა გაზეთ „კათუნ“-ის სპეციალურ ნომერში. ჯავანფეკრი ამ გამოცემის მთავარი რედაქტორიც იყო. „კათუნ“-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ პრეზიდენტის ყოფილ მრჩეველთან კულტურის საკითხებში მეხდი კალპორმთან, სადაც მან ქალების ისლამური სამოსის შავი ფერი გააკრიტიკა. გაზეთში ასევე გამოქვეყნდა ცნობილი სპორტსმენებისა და არტისტების პორტრეტები, რაც მოსამართლეებმა შეაფასეს, როგორც ისლამური ფასეულობების დარღვევა. ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, ჯავანფეკრს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილება 20 დღის განმავლობაში ირანის უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივროს.

იბრაჰიმ ლეჰიანი და 300-მდე დაიჭრა ეგვიპტეში სამართალდამცავებისა და დემონსტრანტების შეტაკებისას. სიტუაცია კაიროში ახალი მთავრობის პირობებში პირველი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამწვავდა. ეგვიპტელი დემონსტრანტები მოითხოვენ, რომ სამხედრო საბჭომ ხელისუფლება დაუყოვნებლივ სამოქალაქო ორგანოს გადასცეს. სამხედრო საბჭო ქვეყანას თებერვალში პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის ჩამოგდების შემდეგ მართავს.

შეტაკებები ეგვიპტეში მას შემდეგ დაიწყო, რაც ერთ-ერთი დემონსტრანტის დაკავების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა. კაიროში მიმდინარე მოვლენების გამო უკმაყოფილება გამოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა. მან დაგმო დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გადამეტებული გამოყენება, რამაც ეგვიპტის პირველ თავისუფალ არჩევნებს ჩრდილი მიაყენა. პან გი მუნის თქმით, გარდამავალმა მთავრობამ ადამიანის უფლებების დაცვა და მშვიდობიანი შეკრების უფლება უნდა უზრუნველყოს. მიუხედავად ამისა, კაიროში პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებები არ წყდება. ვრცელდება კადრები, სადაც სამართალდამცავები სასტიკად უსწორდებიან დემონსტრანტებს. გასულ თვეში ეგვიპტეში სამართალდამცავებთან შეტაკებისას 40 დემონსტრანტი დაიღუპა.

აქციის მკვიდობა - სახელო ანაშაიცი?




ლიბიის ყოფილი ლიდერის, მუამარ კადაფის მკვლელობა შესაძლოა

სამხედრო დანაშაულად გამოცხადდეს. სამხედრო დანაშაულის ნიშნები კადაფის მკვლელობის გამოძიებისას იკვეთება – ამის შესახებ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარმა პროკურორმა ლუის მორენო-ოკამპომ განაცხადა. მისი თქმით, არსებობს თვითმხილველთა ჩვენებები და ვიდეორჩანაწერები. პარალელურად, ლიბიის ახალი ხელისუფლება იძიებს მუამარ კადაფისა და მისი ვაჟის მუთასიმის სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს. ლიბიის ყოფილი ლიდერის გარდაცვალების შესახებ ცნობა 17 ოქტომბერს გავრცელდა. ინტერნეტში გამოქვეყნდა ვიდეოები, სადაც მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთებია ასახული. ოფიციალური ინფორმაციით, კადაფი მისი დაკავებისას მიღებული ჭრილობებით ქალაქ სირტეში გარდაიცვალა. მუამარ კადაფი ლიბიას 40 წლის განმავლობაში მართავდა.

მუამარის ახალი ყაზახეთში დახვედრის დახვედრა

16 დეკემბერს ყაზახეთის ქალაქ ჟანაოზენში სამსახურიდან დათხოვნილ მუშებსა და პოლიციელებს შორის შეტაკება მოხდა. ყაზახეთის გენერალური პროკურორის, აშკატ დაულბაევის განცხადებით, შეტაკებისას 10 ადამიანი დაიღუპა. მან უარყო, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეებს ცეცხლი უშიშროების ძალებმა გაუხსნეს. თუმცა სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციით, მსხვერპლი გაცილებით დიდია. აქციას ჟანაოზენში სახელმწიფო ენერგოკომპანიის „კაზმუნაიგაზის“ მუშები მართავდნენ. ისინი უკვე 6 თვეა, ხელფასებისა და უკეთესი სამუშაო პირობების მოთხოვნით მართავდნენ აქციებს. ზაფხულში საწარმოდან 1000-მდე მუშა დაითხოვეს, თუმცა გამოსვლები გაგრძელდა. ყაზახეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, შეტაკებებისას დააკავეს 70 ადამიანი. დაშავდა დაახლოებით 75 ადამიანი, მათ შორის 6 პოლიციელი.



ყაზახეთის პრეზიდენტმა მომხდარის გამო ჟანაოზენში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მისი განკარგულების მიხედვით, საგანგებო მდგომარეობა 2012 წლის 5 იანვრამდე გაგრძელდება. ნაზარბაევმა უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე არეულობის ორგანიზატორების დასჯის პირობა დადო.

ყაზახეთის ოპოზიცია ჟანაოზენში მომხდარი მოვლენების ობიექტურად შესწავლას და საგანგებო საგამომიებო კომისიის შექმნას ითხოვს.

ბენალი ზიუგანოვი - პუტინის ჯონაქანაძე

რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ლიდერი გენადი ზიუგანოვი რუსეთის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად დაასახელეს. მას პარტიის ყრილობის დელეგატებმა 17 დეკემბერს ერთხმად დაუჭირეს მხარი. ყრილობაზე ზიუგანოვს კონკურენტი არ ჰყოლია, ის ყრილობაზე ერთადერთი კანდიდატი იყო. ზიუგანოვმა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში პირობა დადო, რომ მომავალი წლის დეკემბერში სახელმწიფო დუმის რიგგარეშე არჩევნებს ჩაატარებს.


ზიუგანოვის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების პარალელურად რუსეთში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის პოპულარობამ წლის ყველაზე დაბალ მაჩვენებელს მიაღწია. პუტინის საქმიანობა გამოკითხულთა მხოლოდ 51-მა პროცენტმა შეაფასა დადებითად. გასულ თვეში იგივე კითხვაზე დადებითად პასუხი 61-მა პროცენტმა გასცა. შემცირდა პუტინის პარტიის „ერთიანი რუსეთის“ რეიტინგიც. მას გამოკითხულთა 49,3-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი. გამოკითხვა ორგანიზაცია „საზოგადოებრივი აზრის კვლევის სრულიად რუსეთის ცენტრმა“ ჩაატარა. გამოკითხვის შედეგებზე 4 დეკემბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებმაც იქონია გავლენა.

ჩხილოეთი ჯოხანაძე ახალი მთავარი ჰყავს

69 წლის ასაკში ჩრდილოეთ კორეის ლიდერი – კიმ ჩენ ირი გარდაიცვალა. ინფორმაცია ამის შესახებ ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო ტელევიზიამ გაავრცელა. ოფიციალური ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი გულის შეტევით მატარე-

ბლით მგზავრობისას „ფიზიკური და გონებრივი მუშაობისგან“ გარდაიცვალა. განცხადება კიმ ჩენ ირის გარდაცვალების შესახებ შავ ტანსაცმელში გამოწყობილმა თვალცრემლიანმა წამყვანმა წაიკითხა.

გავრცელებული ინფორმაციით, კიმ ჩენ ირის ჰქონდა დიაბეტი და გულსისხლძარღვთა დაავადება. მან გულის შეტევა 2008 წელსაც გადაიტანა. კიმ ჩენ ირს 28 დეკემბერს დაკრძალავენ.

მისი ვაჟი კიმ ჩჰონ ინი კი უკვე „დიდ მემკვიდრედ“ გამოაცხადეს. გავრცელებული ცნობებით, კიმ ჩჰონ ინი 30 წლისაა და გარკვეული პერიოდი შვეიცარიაში სწავლობდა. კიმ ჩჰონ ინმა უკვე დაანინაურა თავისი და და მისი ქმარი იანგ სონგ თაეკი მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამხედრო თანამდებობებზე. 



7 526 000 ამერიკული დოლარი გადაიგზავნა საქართველოდან საზღვარგარეთ 2011 წლის ნოემბერში.

91 054 500 ამერიკული დოლარი შემოვიდა საქართველოში უცხოეთიდან 2011 წლის ნოემბერში.

10 მარტს გაიმართება საპარლამენტო არჩევნები და ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკაში.

2 166 000 ლარი დაუფჯდა თბილისის მერიას საახალწლო განათებების შესყიდვა და ძველი განათებების მონტაჟი.

31 დეკემბერს ახალი სალარო აპარატების დაყენების ვადა სრულდება.

370 ათასი პენსიონერი მიიღებს დაზღვევას სახელმწიფოსგან 2012 წელს.

250 ათასი 0-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვი მიიღებს დაზღვევას სახელმწიფოსგან 2012 წელს.

75 წლის ასაკში ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი ვაცლავ შაველი გარდაიცვალა.

18 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ბოლო სამხედრო კონტინგენტმა ერაყის ტერიტორია დატოვა.

„საქართველოსთან დაკავშირებით, ევროკავშირი მიესალმება კომპრომისის სულისკვეთებას, რამაც რუსეთის ვმო-ში განევრინაზე ორმხრივი შეთანხმება შესაძლებელი გახადა. ამ კონტექსტში, საჭიროა, რომ შესრულდეს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული ვალდებულებები“.

ჰერმან ვან რომპუი, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი



„მხოლოდ ახალი ომი შეიძლება იყოს მოლაპარაკებების პროცესის ალტერნატივა, რომელიც რეგიონში ახალ პოლიტიკურ-სამართლებრივ ურთიერთობებს ითვალისწინებს“.

გრიგორი კარასინი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე



„მზად ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მომდევნო წლებში აქ დაგეგმილი არჩევნები რაც შეიძლება თავისუფალი, სამართლიანი და ღია იყოს. მიგვაჩნია, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები ღირებულ მითითებებს იძლევა“.



ერიკ რუბინი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე

„ქართულმა პარტიამ“ 2011 წლის მაისის მოვლენებისადმი დიდი მოლოდინი შექმნა. თუმცა, ყველაფერი სხვაგვარად იმიტომ დასრულდა, რომ ჩვენი კოლეგები მზად არ აღმოჩნდნენ. ჩვენ არ შევქმნილვართ მოკლევადიანი მიზნებისთვის, „ქართული პარტია“ შეიქმნა, როგორც გამაერთიანებელი ძალა“.

ეროსი კინმარიშვილი, „ქართული პარტიის“ ლიდერი



„მე ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, რომ ნებისმიერი ფონდი არემონტებდეს ოპერას. ამ შემთხვევაში, „ქართუს“ ვგულისხმობ და რატომ არ არის, პასუხიც მარტივია - მე აქ ერთადერთი პოლიტიკოსი ვარ, რადგან პოლიტიკოსები არ აკეთებენ კონტრიბუციას, ამ შემთხვევაში კონტრიბუციას აკეთებენ ბიზნესმენები“.



გიგი უგულავა, თბილისის მერი, „ოპერის მეგობართა ფონდის“ პრეზენტაციაზე.

versatile know-how

highly certified

low hierarchies

advisor

we implement individual scalable solutions

Our aim is to increase visual communication.

interdisciplinary

customer proximity

economic solid

direct reference persons

We live with our hearts and heads visual communication.

specialized manpower

we reclaim new technologies

And we are good in what we do.

experienced process quality

vendor neutral

international

we help you to create value

we integrate advantages in solutions

flexibility

creative ideas

transparent



ფოტო: ლილია ხორვათელიძე

თქვენი აზრით, უნდა დაიხსნას ქაჩაჩის საახალწლო

მომხრები

ნინო

20 წლის

მე პირადად, ძალიან მომწონს ეს განათებები და ამიტომაც საახალწლო განათებებზე სერიოზული თანხის დახარჯვა ჩემთვის მისაღებია. თუმცა დიდად არ ვფიქრობ ხოლმე, რა რაში უნდა დაიხარჯოს, ჯერჯერობით მსგავსი საკითხები არ მაინტერესებს.

მერაბი

21 წლის

საზღვარგარეთის მაგალითებს თუ გავეითვალისწინებთ, საახალწლოდ დიდი რაოდენობის თანხები იხარჯება ხოლმე. ჩვენთანაც ასე უნდა იყოს და ცდილობენ კიდევ. მე მომხრე ვარ, რომ საახალწლოდ ქალაქი შესაბამისად

გაფორმდეს და ამისთვის თანხები გამოიყოს. თანხის დაზოგვა მხოლოდ და მხოლოდ კონცერტებზე შეიძლება, განათებებსა და ილუმინაციებზე სათანადო თანხა უნდა გამოიყოს.

ლევანი

72 წლის

როგორ ვთქვა, წელიწადში ერთხელ შეიძლება. ჩვენი ხალხი გაჭირვებულია და ცუდი არ იქნება, ხალხს თუ დაეხმარებიან. თუმცა ეჭვი მეპარება, ეგ გააკეთონ. ისე, წელიწადში ერთხელ ქალაქი რომ ლამაზი იყოს, ცუდი არ არის.

თამილა

48 წლის

ამ თემასთან დაკავშირებით მე არაკომპეტენტური ვარ, მაგრამ თუ რაიმე ლამაზი და კარგი იქნება, ცხადია, მისაღებია. იყოს ეს განათებე-

ბი, ახალი წელია და რატომ არ უნდა იყოს?! ყველაფერს კრიტიკულად ნუ მივუდგებით.


ზურაბი

34 წლის

საახალწლო განწყობის შესაქმნელად ძალიან კარგია ქუჩის განათებების დამონტაჟება. თან 3 მილიონი არაა იმხელა თანხა, რომ, როგორც სახელმწიფო, მნიშვნელოვნად დაგვაზარალოს. კიდევ უფრო მეტი განათებები თუ იქნება, უფრო მომეწონება.

რევაზი

21 წლის

არის ისეთი რაღაცები, რის გარეშეც ხალხმა არ უნდა იცხოვროს, მაგალითად, კარგი განწყობა, რომელიც ახალ წელს გეუფლებს, როცა ცენტრალურ ქუჩებზე გადიხარ, ასე რომ, ჩემი აზრით, უნდა დაიხარჯოს. 



საახალწლო განათებები რუსთაველის გამზირზე, დეკემბერი 2011

როგორ ახა 3 მილიონი ლარი ბაზრობებზე?

მონიშნა აღბეჭევი

აღისო

63 წლის

ნამდვილად არ უნდა დაიხარჯოს 3 მილიონი. ხალხს იმდენად უჭირს, რომ მიუღებელია ასეთი თანხის განათებაზე დახარჯვა. უკეთესი იქნება, ეს ფული გაჭირვებულ ხალხს მოხმარდეს.

გიორგი

20 წლის

ერთმნიშვნელოვნად არა. მსგავს უგემოვნო განათებებზე 3 მილიონი კი არა, 3 ლარიც არ უნდა დაიხარჯოს.

ოთარი

27 წლის

მიმაჩნია, რომ ამ ხარჯების შემცირება და უფრო მიზნობრივად მოხ-

მარება შესაძლებელია. შეიძლება ამ თანხების აკუმულირება სოციალური და საგანმანათლებლო ხარჯებისთვის და განათებებზე შედარებით ნაკლების დახარჯვა.

მათა

21 წლის

იმ ვითარებაში, როდესაც სოციალური ფონი უკიდურესად მძიმეა, გაუმართლებელია მერიის მხრიდან მსგავსი ნაბიჯები, რომლებიც მოდერნიზაციის ილუზიას ქმნის. მოქალაქეებს საახალწლო განწყობა ვერ ექნებათ, როცა ყოველდღიურ გადარჩენაზე უხდებათ ფიქრი. მოქალაქეთა განწყობას ქმნის არა განათებები, არამედ სოციალური სტაბილურობის განცდა. სინამდვილეში, მოქალაქეთა უმრავლესობა თავს შეზღუდულად გრძნობს და დაჩაგრულია. ბევრად ცოტა რამ უხარიათ, ვიდრე უნდათ, რომ უხაროდეთ. ასეთ

ვითარებაში, როგორ შეიძლება, გამართლებული იყოს მსგავსი ნაბიჯები.


მედიკო

58 წლის

იმ ქვეყანაში, სადაც არის ამის საშუალება, უნდა დაიხარჯოს. ჩვენთან, ჩემი აზრით, ამის ფუფუნება არ გვაქვს. მართალია, ახალი წელი მხიარული დღესასწაულია, მაგრამ 3 მილიონი ლარის დახარჯვა არ ღირს. მაგ თანხით გაჭირვებულ ხალხს დაეხმარონ, უკეთესი იქნება.

გიორგი

35 წლის

ნორვეგიაში კი, ჩვენთან – არა. ამ თანხებით სჯობია დევნილთა დასასაქმებელი ცენტრები შეიქმნას, უფრო ბედნიერად რომ შეხვდნენ ახალ წელს. ჩვენს პირობებში, ამდენი თანხის განათებებზე დახარჯვა ამორალურია. 

შოუ და ბაზრობა ახატონაბაში ბანკითა ხეხისთვის

გიორგი ცხადაია
ილიას უნივერსიტეტის
პოლიტიკური
მეცნიერების
მაგისტრანტი



იაფ იდეოლოგიურ სატყუარებზე – გასართობი შოუებსა და გრანდიოზული უტოპიური ქალაქების პროექტებზე წამოგების ნაცვლად, აქცენტი გრძელვადიანი განვითარების ხედვაზე უნდა გაგაკეთოთ.

თბილისის მერია ახალი წლისთვის მზადებას უკვე შეუდგა. „ლიბერალის“ ინფორმაციით, მერიას საახალწლო ხარჯები დაახლოებით სამი მილიონი დაუჯდება. ამაზე დაახლოებით ორჯერ ნაკლები, 1.5 მილიონი, დაუჯდა კულტურის სამინისტროს ბათუმში ენრიკე იგლესიასის კონცერტის მოწყობა. 2011 წელს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, თინათინ ხიდაშელის ცნობით, გასართობი ღონისძიებებისთვის, საერთო ჯამში, დაახლოებით 9 მილიონი ლარი დაიხარჯა.

მთავრობის განცხადებით, 200 მილიონის დახარჯვა იგეგმება შავი ზღვის სანაპიროზე ახალი ქალაქის – ლაზიკას აშენებაზე (რომელიც, მათივე ცნობით, 1 მილიარდ დოლარამდე უნდა დაჯდეს).

მცირე პროექტები, როგორცაა კვერცხებიანი „შლოპანცები“ ბათუმში, და გრანდიოზული წამოწყებები, როგორცაა არის ლაზიკა, ერთ მიზანს ემსახურება: პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების შოუდ გადაქცევას. განვითარების ის მოდელი, რომელსაც ხელისუფლება უჭერს მხარს, თავად გულისხმობს შოუს ელემენტების ჩართვას. ამიტომ, ჯერ ამ მოდელის თავისებურებებზე ვისაუბრებ, შემდეგ შოუს დადგმის იდეოლოგიურ ფუნქციებს მიმოვიხილავ და ბოლოს ალტერნატიული მოდელის განხილვაზე გადავალ.

განვითარება საქართველოს ხელისუფლებას ესმის, როგორც მსხვილი ბიზნესისთვის, ინვესტიორებისთვის და

ტურისტული ინდუსტრიისთვის ყველანაირი პირობის შექმნა იმისთვის, რომ გაფართოვდნენ. მათი აზრით, ამას აუცილებლად მოჰყვება ეკონომიკური წინსვლა, რადგან სიმდიდრე თანდათანობით მოსახლეობის ნაკლებად პრივილეგირებულ ფენებზეც გადანაწილდება.

განვითარების ამ კონცეფციის წარმატებული მაგალითი მსოფლიოში არ არსებობს. თავად სინგაპურის შემთხვევაშიც კი (რომელიც ქალაქ-სახელმწიფოა და მისი მაგალითის განვრცობა აგრარულ საქართველოზე გაგვიჭირდება) მთავრობა აქტიურად ახორციელებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის და ასევე, დაბინავების პოლიტიკას.

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომელთა წარმატებაც მსოფლიოსთვის სამაგალითო შემთხვევებად ითვლება, იმ ნეოლიბერალურ მოდელს არ მისდევდნენ, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება უჭერს მხარს. სამხრეთ კორეა ხელოვნურად ზრდიდა ტარიფებს იმპორტზე იმისთვის, რომ ადგილობრივი ექსპორტის კონკრეტული დარგები წახალისებინა. ამასთანავე, ამ ქვეყნებში მთავრობა აქტიურად უწყობდა ხელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას და ასევე, ყურადღებას აქცევდა იმასაც, რომ სიმდიდრის გადანაწილება უფრო მეტად თანაბარი ყოფილიყო.

საქართველოს მიერ არჩეული მოდელი, რომელიც ეკონომიკის მხოლოდ ერთი სექტორის – ტურიზმის

განვითარებაზეა ორიენტირებული და გაურკვეველი წარმოშობისა და საქმიანობის ტიპის უცხოური ბიზნესების მოზიდვას ემსახურება, მსოფლიოს, ჯერჯერობით, არცერთ ქვეყანაში არ გამოუცდიათ.

ამ მოდელის მთავარი სისუსტე ის არის, რომ იგი არ არის ორიენტირებული თითოეული მოქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, არამედ შეფასების ინდიკატორად მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდას, ან ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების რაოდენობას მიიჩნევს.

შედეგად, მივიღებთ უთანასწორო განვითარებას, რომელიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კვლავ სიღარიბესა და უიმედო მდგომარეობაში ამყოფებს.

განვითარების ამ ნეოლიბერალური მოდელის ნაწილია ხელისუფლების მიერ აქცენტის გასართობ ღონისძიებებზე გადატანა. ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ამ საშუალებებით შეეცდება მოსახლეობის უკმაყოფილების შეკავებას და პარალელურად, მსხვილი ბიზნესის ხელისშეწყობისთვის ყველაფერს გააკეთებს.

ამგვარად, გასართობ სანახაობებზე ყურადღების გადატანა იდეოლოგიურ ფუნქციას ასრულებს. იგი ფარავს წინააღმდეგობებს და უთანასწორობას, რომელიც ურბანულ და არაურბანულ სივრცეში არსებობს. ამგვარი შოუებით და გასართობი ინფრასტრუქტურით ცდილობენ შექმნან გარემო, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა სოციალურ ფენას და პოლიტიკურ თუ

ეკონომიკურ განსხვავებებს მინიმუმამდე დაიყვანს.

ამ იდეოლოგიის ნიშნებია: საჯარო სივრცის კონსუმერიზაცია, ეკონომიკაში ტურიზმის როლის წამოწევა და მსხვილი ინვესტიორების მოსაზიდად უზარმაზარი ინფრასტრუქტურული ნაგებობების გამართვა.

საჯარო სივრცე კარგავს თავის ჩვეულ კულტურულ და სოციალურ ფუნქციას და მხოლოდ კომერციული გაცვლის ადგილი ხდება. კომერციულ

მსხვილი ბიზნესის და ტურისტული ინდუსტრიის მოთხოვნები დააკმაყოფილონ. ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ანაკლიის კურორტია, რომლის ბულვარის მშენებლობა 3 მილიონი ლარი დაჯდა.

ერთი სიტყვით, შოუ და გასართობი ღონისძიებები დემოკრატიული პოლიტიკური სივრცის კონსუმერიზაციას, ძველი კულტურული მნიშვნელობების წაშლას და ახალი მნიშვნელობების გაუაზრებლად მოხვევას და საბო-

ლოდ, განვითარების უთანასწორო მოდელისთვის ნიადაგის მომზადებას ემსახურება.


იმისათვის, რომ ის იდეოლოგიური ეფექტები მოისპოს, რომლებიც საჯარო სივრცეს ამახინჯებენ და უთანასწორობის გაღრმავებას უწყობენ ხელს, თავად განვითარების არსებული კონცეფცია უნდა შეეცვალოს.

დღეს საქართველოს მოსახლეობა განიხილება ეკონომიკური განვითარების პასიურ და არა აქტიურ მიმღებად. მოქალაქეები თავად არ მონაწილეობენ განვითარების პროცესებში და უჩნდებათ იმის შეგრძენა, რომ მოდერნიზაციას და საზღვრების გახსნას ქვეყნისთვის ზიანი მოაქვს. ეს კი მოდერნიზაციის იდეის დისკრედიტაციას გამოიწვევს და შესაძლოა, დრამატული შედეგითაც დასრულდეს.

მეორე მხრივ, საქართველოს მოსახლეობას აქვს გადაჭარბებული მოლოდინები განვითარებასთან დაკავშირებით და ეს მოლოდინები ხელს უწყობს ხელისუფლების მიერ შოუების წარმატებით გასაღებას.

განვითარების პარადიგმის ცვლილება მოითხოვს ერთგვარ მსოფლმხედველობრივ ცვლილებას. ვერცერთი ხელისუფლება ერთ დღეში ვერ მოაგვარებს ეკონომიკურ პრობლემებს, რადგან შეუძლებელია ბიზნესი ერთ ღამეში გახდეს უფრო მეტად ეფექტური და მომგებიანი, ერთ ღამეში ამალდეს მუშახელის განათლების და კვალიფიკაციის დონე, სასწაულებრივად მოკლე დროში განვითარდეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დონე და ა.შ.

იაფ იდეოლოგიურ სატყუარებზე – გასართობი შოუებსა და გრანდიოზული უტოპიური ქალაქების პროექტებზე წამოგების ნაცვლად, აქცენტი გრძელვადიანი განვითარების ხედვაზე უნდა გადავიდეთ და მხოლოდ იმ სფეროებში განვახორციელოთ ინვესტიციები, რომლებიც ან მოსახლეობის მაქსიმალურად დიდ ნაწილს დაასაქმებს ან მომავალი განვითარებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იქნება. **□**



ფოტო: ლევან ბერიძე

სახალწლო გაფორმება პარლამენტთან, დეკემბერი 2011

სივრცეში მხოლოდ ფულის და მოხმარების კოდები მოქმედებს, რომელიც თავისი არსით აპოლიტიკურია და ამასთან ერთად, კომუნიკაცია უკიდურესად უთანასწორო და შეზღუდული ხდება. გუდიაშვილის მოედნის გარდაქმნის პროექტი სწორედ ამგვარი ტენდენციის ნათელი მაგალითია.

ტურიზმზე ყურადღების გამახვილება იდეოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილია. მისგან მიღებული სარგებელი, რა თქმა უნდა, ქვეყნის მასშტაბით გადაჭარბებულია, მაგრამ ეს, მოკლევადიან პერსპექტივაში, კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ნათელი მომავლის ილუზორული მოლოდინები შექმნას.

მესამე ტენდენცია ცარიელი ინფრასტრუქტურის შექმნა იმისთვის, რომ

■ საქართველოს მიერ არჩეული მოდელი, რომელიც ეკონომიკის მხოლოდ ერთი სექტორის – ტურიზმის განვითარებაზეა ორიენტირებული და გაურკვეველი წარმოშობისა და საქმიანობის ტიპის უცხოური ბიზნესების მოზიდვას ემსახურება, მსოფლიოს, ჯერჯერობით, არცერთ ქვეყანაში არ გამოუცდიათ.

ხობოხი უნდა ნააბო ზამათი

მარკ მალენი



ქალაქში აქტიურად განხილული ჩან-გლით თავდასხმის ისტორია გაცილებით მეტის მოქმედია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. არავინ დავობს იმაზე, რომ პასუხისმგებლობა ფიზიკური ძალადობის ინიციატორს ეკისრება. თუმცა, ჩვეულებრივ, ძალადობა აგრესიული ვერბალური კონფლიქტის შედეგია. აგრესიული ვერბალური შეტაკებები ქართულ ტელევიზიებში ძალიან გავრცელებული მოვლენაა. ამის ბევრი მაგალითი არსებობს: კოკა გუნცაძის მიერ გიორგი კანდელაკისთვის ხელის გარტყმა, ან თეა სიჭინავას შოუზე აკო მინაშვილის და ვიქტორ დოლიძის ყვირი-

ლის ფესტივალი, რომელიც აგრესიული კამათის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. ეკა ბერიძეც ხშირად უბრაზდება თავის სტუმრებს და უყვირის კიდეც მათ.

თუ ამ უთანხმოებებს ახლო რაკურსით განვიხილავთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოველივე ეს ორმხრივი შეუწყნარებლობის შედეგია. მმართველი პარტიის ან ხელისუფლების წარმომადგენლებს ოპოზიციონერებთან შედარებით თავის ხელში აყვანის და სიმშვიდის შენარჩუნების უკეთესი მაჩვენებლები აქვთ. თუმცა ქვეყნის ოფიციალური თუ არაოფიციალური წარმომადგენლების

მდგომარეობიდან გამოსვლა ძალიან ხშირ მოვლენად იქცა. გიორგი თარგამაძეს, მაგალითისთვის, სიმშვიდის შენარჩუნების განსაკუთრებული უნარი აქვს. ეს ეკა ბერიძის ბოლო შოუში დადასტურდა, როდესაც დათო უსუფაშვილთან შედარებით, მის მიმართ აშკარად უსამართლო დამოკიდებულება შეიმჩნეოდა.

ოპოზიციის ლიდერების მდგომარეობიდან გამოსვლა ხანდახან კამათში პოზიციის წაგებით, ზოგჯერ კი საკითხის უცოდინრობით არის გამოწვეული, რაც, ძირითადად, საჭირო ინფორმაციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობით არის განპირობებული. თუმცა ყველაზე ხშირად ბრალი მაინც საუბრის შეწყვეტინებებს მიუძღვის. სიტყვის გაწყვეტის საკითხი ძალიან კომპლექსურია. ზოგიერთი ადამიანი იმდენად არის საკუთარ ხმაზე შეყვარებული, რომ, უბრალოდ, ვერ ჩერდება სანამ სიტყვას არ გააწყვეტინებენ. ამაზე, როგორც წესი, ფრაზით „დამასრულებინეთ აზრი“ პასუხობენ, თუმცა, რეალურად, ისინი არასოდეს ასრულებენ საუბარს. ზოგჯერ ადამიანებს სიტყვას საუბრის დასაწყისშივე აწყვეტინებენ. თუმცა თავისუფალ დისკუსიებში, სადაც მკაცრად განსაზღვრული წესები არ არსებობს, მოვლენები ხშირად იმდენად იძაბება, რომ მონაწილეები შეურაცხყოფელ მიმართვებსაც არ იშურებენ.

უცნაურია, მაგრამ ხშირად გამიგონია მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ კამათი და უკონტროლო ფიზიკური სიმშაგე ქართული ხასიათის ნაწილია. ადამიანები ხშირად ამას სიამაყითაც კი ამბობენ, როგორც ეს, მაგალითად, გასულ კვირას მოხდა. თუ-



მცა ეს თავისმართლება ნიშნავს, რომ ამ ადამიანებისთვის სხვების შეურაცხყოფა და ცემა სრულიად მისაღებია, ამავდროულად, ეს, გარკვეულწილად, ქართველობის დამადასტურებელი საბუთია.


ქართველობის დამტკიცება კი ყველას სურს. ეს საქართველოსთვის ნამდვილად არ არის სასარგებლო. ამ მიზეზებს ამოფარებული პიროვნებები ჩემთვის სუსტ ადამიანებს წარმოადგენენ, რომლებმაც გამოწვევებთან გამკლავება არ იციან და ამასთან ერთად, ყურადღება სწყურიათ. ეს ყურადღება მათ, სავარაუდოდ, ბავშვობაში მობლების და ბებია-ბაბუების მხრიდან დააკლდათ. პიროვნულად ძლიერი, კარგად ინფორმირებული და დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანები არასოდეს გამოდიან მდგომარეობიდან.

მონინალმდეგეზე თავდასხმა, მტკიცება იმისა, რომ ის არასწორია ან თემის შეცვლა, ჩვეულებრივ, გონივრული არგუმენტის არქონაზე მიუთითებს. ეს შეუმჩნეველი არ დარჩება დებატების ნიჭიერი მასპინძლისთვის, რომელიც ძალღონეს არ დაიშურებს ამის თავიდან ასაცილებლად. როდესაც ერთ-ერთი მხარის ასეთ ქცევას არავინ ზღუდავს, მეორე მხარეც იძულებულია მსგავს მეთოდებზე გადავიდეს. შედეგად თემის ნამდვილი არსი მეორე პლანზე გადადის. დემაგოგები კამათებში უნდა მარცხდებოდნენ და რაც მთავარია, მათ მომავალში აღარ უნდა ინვესტენ გადაცემაში. წამყვანებს, რომლებიც ასეთ სტუმრებს აქეზებენ, თანამდებობიდან უნდა ათავისუფლებდნენ.

მეტიც, ამ სატელევიზიო კამათებს ბავშვები უყურებენ და მათთვის ეს ნორმად იქცევა. სატელევიზიო ეკრანებზე ყოველ ღამე ერთმანეთზე მყვირალი ადამიანების ყურება ახალგაზრდებს ასწავლის, რომ ეს უთანხმოების მოგვარების გზაა. რაც კიდევ უფრო სახიფათოა, ამ ყველაფრის ცქერა მომავალ თაობას იმას შთააგონებს, რომ მყვირალა და აგრესორი ადამიანი ყოველთვის აღწევს მიზანს. ამ ყველაფერს საზოგადოებაზე კატასტროფული შედეგი ექნება.

ამ სატელევიზიო შოუებიდან ნაკლებად თუ ისწავლი რამეს. იქ არასოდეს გიყვებიან რაიმე ახალს. არცერთი მხარე არ ატარებს კვლევას და საბოლოოდ ეკრანზე შიშველი ამბიციების დემონსტრირებას ვუყურებთ. არც იმაში ვარ დარწმუნებული, ადამიანები მართლა უყურებენ ამ შოუებს თუ არა. მგონი ტელევიზორები, უბრალოდ, სახლში არსებული ყვირილის დასახშობად ირთვება. და როგორც კი რომელიმე მხარეს ხმაური მატულობს, ყურადღება მასზე გადადის და ასე უსასრულოდ. ეს არაჯანსაღ ოჯახურ გარემოს უწყობს ხელს. ერთადერთი გამოსავალი ტელევიზორის გამორთვაა. თუმცა არსებობს კიდევ ერთი, ჩვენი დამოკიდებულებების გადახედვის გზაც.

დავაკვირდი, რომ ქართველებს ძალიან აინტერესებთ სხვა ქვეყნის წარმომადგენლების აზრი მათ შესახებ. იმის თქმა არ მსურს, რომ განვითარებული და განუვითარებელი ქვეყნები არსებობენ, თუმცა მიდიარ და ლარიბ ქვეყნებზე განზოგადება ძალიან რთულია. ერთი რამ ცხადია, დასავლეთ და ცენტრალური ევროპისთვის, ისევე, როგორც აღმოსავლეთ აზიისთვის, ჰარმონია ძალიან ღირებული ფასეულობაა და მსგავსი შიშველი აგრესიის ხილვა სისუსტის მაჩვენებელია. საქართველო სუსტი არ არის. აქ ვცხოვრობ და ამაში დარწმუნებული ვარ, თუმცა ეს სხვა ქვეყნებმა არ იციან.

სატელევიზიო ეკრანებზე ამდენი სისუსტის და პატივმოყვარეობის ხილვა იმედგაცრუების გრძნობას ტოვებს. მსგავსი შოუების წამყვანთა როლი, წესით, სტუმრებისგან სასარგებლო იდეების მიღებაა. მყვირალა ადამიანები, რომლებიც გათამამებული ბავშვებივით იქცევიან, იმდენად არაპოპულარულები ხდებიან ხოლმე, რომ მალე ყველა სცენიდან ქრებიან. დიდი იმედი მაქვს, ქართველი ბავშვების ნათელი მომავლის გულისთვის, ოდესმე ეს საქართველოშიც მოხდება. ვიმედოვნებ, რომ მოსალოდნელი არჩევნების წინ სიტუაცია, ტრადიციულად, კიდევ უფრო არ გაუარესდება. 



გამონერათ ჟურნალი „ლიბერალი“



**მიიღეთ თქვენი
ჟურნალი
ყოველ სუთვაგათს
თქვენთვის
სასურველ ადგილას!**

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა
დარეკეთ:
2962311, 2910151 პრეს-ექსპრესია
08:00-16:00 სთ.

"უმსიხასობები ახსად ახ უყვანიო"

ინტერვიუ სახალხო დამცველთან,
გიორგი ტულუშთან

საქართველოს სასჯელალსრულების დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ ანგარიშში დეტალურად გაქვთ აღწერილი საპატიმროებში არსებული ვითარება. დოკუმენტი 2011 წლის პირველ ნახევარს ეხება. როგორია ტენდენცია გასულ წლებთან შედარებით?

2011 წელს ტენდენცია დამაიმედებელი ნამდვილად არ არის. ყველაზე მძიმე ვითარება ქუთაისის მე-2 სასჯელალსრულების დაწესებულებაშია, სადაც პატიმრების უკანონოდ დასჯა პრაქტიკად იქცა. გამოვყოფდი პატიმრების ე.წ. „ბოქსში“ ჩაყვანას ნახევრად შიშველ მდგომარეობაში. ასევე გამოვლინდა ცემის ფაქტები. ასეთივე სიტუაციაა პატიმართა და ბრალდებულთა მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში. გლდანის მე-8 დაწესებულებაშიც რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში პატიმრები ჩივილისგან თავს იკავებენ.

მუდმივად ვსაუბრობ მიზეზებზე, რომელთაც ამ შედეგებამდე მივყავართ: მთავარი პრობლემა დაუსჯელობა და ფაქტების არასათანადო, ზერელე გამოძიებაა. ვერ ვიტყვი, რომ პროკურატურა სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე არ იწყებს გამოძიებას. როგორც წესი, ჩემი რეკომენდაცია კმაყოფილება და გამოძიება იწყება, თუმცა რა შედეგი გვაქვს ამ გამოძიების ბოლოს, ცალკე მსჯელობის თემაა: უმეტეს



ფოტო: ლევან სერაპიძე

შემთხვევაში გამოძიებას შედეგი არ მოაქვს ან ძიება წყდება იმის გამო, რომ დანაშაულის ნიშნები არ არსებობს.

რაც შეეხება სხვა პრობლემებს, ფუნქციონირება წელსაც გააგრძელა ისეთმა დანესებულებებმა, სადაც პატიმრების მოთავსება, ჩემი აზრით, არაადამიანურ მოპყრობას უტოლდება. ეს არის თბილისის პირველი, ბათუმის მესამე და ზუგდიდის მეოთხე საპყრობილებები. პოზიტიურია, რომ ხონის დანესებულება აღარ არსებობს. ის პატიმრების სიმრავლით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე კატეგორიის დანესებულება იყო. როგორც ვიცი, დღეს იქ არცერთი პატიმარი არ არის.

გამოყოფ სხვადასხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების მაღალ მაჩვენებელს. პატიმრების გარდაცვალების მიზეზი ისეთი გადამდები დაავადებებია, როგორცაა ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტი. წელს ყველაზე მაღალი იყო შიდსით გარდაცვლილ პატიმართა რიცხვიც.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელალსრულების სამინისტროში წლის განმავლობაში არაერთ შემორანდუმს მოეწერა ხელი და სატელევიზიო ეკრანებიდან ახალი ინიციატივებიც მოვისმინეთ, სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ სიტუაცია ამ მიმართულებით უკეთესობისკენ არ შეცვლილა.

2011 წლის პირველ ნახევარში 7 ნაძალადევი სიკვდილის ფაქტია აღწერილი: მათ შორის 4 სუიციდია (საუბარია მარყუჟით თავის ჩამოხრჩობაზე), არის რამდენიმე გვამიც, რომელთაც ნეკნები ჰქონდათ ჩამტვრეული, თუმცა ეს არ არის მითითებული სიკვდილის მიზეზად. თუ ასეთი ფაქტები ჯეროვნად გამოკვლეული არ იქნება, სავარაუდოდ, მათი რიცხვი მომავალში გაიზრდება.

თუ პოზიტივზე ვიმჯვლებთ, შეგვიძლია აღვნიშნოთ გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, ზოგ დანესებულებაში ამოქმედებული გრძელვადიანი პაემნები, ქალთა

ახალ დანესებულებაში არსებული ნორმალური პირობები. პოზიტიურია არასრულწლოვანთა მდგომარეობა სასჯელალსრულების დანესებულებებში, ისინი შედარებით უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე ზრდასრული პატიმრები. დადებითი ფაქტორია ექიმთა რაოდენობის გაზრდა, რასაც სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა უნდა მოჰყვეს.

2011 წელს დევნილთა მორიგმა გადასახლებამ თქვენი და საერთაშორისო ორგანიზაციების მკვეთრი გამოხმაუ-

■ ჩემი პოზიცია

ურყევია: როცა აშკარაა

კანონდარღვევა,

ადმინისტრაციული

სასჯელის დანესება

საჯარო მოხელეთათვის

არასაკმარისია.

რება გამოიწვია. დევნილთა და განსახლების სამინისტროს მისამართითაც არაერთი განცხადება და რეკომენდაცია გაქვთ გაგზავნილი.

როცა სახალხო დამცველად დავინწყე მუშაობა, თანამშრომლებში ამ უწყების მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება შევნიშნე, კი მივწერო, მაგრამ არ გვიპასუხებენო, მეუბნებოდნენ.

პარლამენტში სამჯერ გავაკეთე საჯარო განცხადება, სადაც აღვნიშნე, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ომბუდსმენთან კომუნიკაციის თემას სერიოზულად არ ეკიდება და წერილებს არ პასუხობს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში დევნილების განსახლების პროცესში არაერთი პრობლემა აღმოვაჩინეთ, მე ამას გამოსახლება-განსახლების პროცესი დავარქვი.

გაცემული კომპენსაციები ხშირად არაადეკვატურია და ეს თანხა თბილისში უძრავი ქონების შეძენის საშუალებას არ იძლევა. დღემდე არაერთი პირი მომმართავს, რომ მათთვის კომპენსაცია არ მიუციათ, არ დაუკმაყოფილებიათ საცხოვრებელი ფართებით. არის კიდევ მეორე პრობლემა: იურიდიული და კერძო პირები მწერენ, რომ მათ საცხოვრებელ ფართებში იძულებით გადაადგილებული პირები უკანონოდ ცხოვრობენ, მაგრამ ისინი ამ ფართებიდან არ გამოჰყავთ, რადგან არ არსებობს სამინისტროს თანხმობა. უწყება არაფერს აკეთებს, რომ ამ პირებს ალტერნატიული საცხოვრებლები გამოუყოს და მესაკუთრეებს კანონიერი უფლება დაუკმაყოფილოს.

იმედი მაქვს, რომ სამინისტრო მეტი ყურადღებით მოეკიდება ჩვენს რეკომენდაციებს: არ მინდა წინასწარ ვისაუბრო, თუმცა წლის შემაჯამებელ ანგარიშში საუბარი იქნება ობიექტების პრივატიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში გამოვლენილ ბევრ დარღვევაზე.

სახალხო დამცველის აპარატთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ 2011 წლის ტოლერანტობის ერთ-ერთ ქომავად „კოალიცია ევროპული საქართველოსთვის“ დაასახელა. ამ განაწყვეტილებისთვის ტელეკომპანია „მეტროს“ ეთერში კოალიციის ერთ-ერთი დამფუძნებლის – ქეთი გაბიანის ცნობილი განცხადების შემდეგ გააკრიტიკეს. რით დაიმსახურა კოალიციამ ეს წოდება და ხომ არ აპირებს ომბუდსმენის აპარატი განაწყვეტილების გადახედვას?

ამ საკითხზე უმჯობესია, თავად რელიგიური საბჭოს წევრებს ჰკითხოთ. ამ საბჭოებში თავად უმცირესობების წარმომადგენლები არიან განვევრიანებულები, სწორედ ისინი ირჩევენ, თუ ვის გადასცენ წოდება და ჯილდო.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ ტოლერანტობის ქომავების გამოვლენა

აბსოლუტურად დემოკრატიული პრინციპის საფუძველზე ხდება. არანაირი უფლება არ მაქვს, რომ ეჭვის ქვეშ დავაყენო მათი არჩევანი. როცა სია ვნახე, ვიკითხე, თუ რატომ აჯილდოებდნენ, რა დამსახურება აქვს ამ კოალიციას-მეთქი. მიზეზად ის დაასახელეს, რომ ეს კოალიცია ერთადერთი იყო, რომელმაც მხარი დაუჭირა სამოქალაქო კოდექსში შეტანილ ცვლილებას, რომლის თანახმად, რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების უფლება მიეცათ.

ასე რომ, სურვილი რომც მქონოდა, მაინც ვერაფერს შევცვლიდი.

ასევე გააკრიტიკეს სოციალურ ქსელში ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით გავრცელებული განცხადების გამო, რადგან ტექსტში სათანადო ადგილი არ დაუთმეთ სექსუალურ უმცირესობებს. მიუხარავთ თუ არა ომბუდსმენის აპარატისთვის ჰომოფობიის გამოვლენის კონკრეტულ ფაქტზე რეაგირების მიზნით? გაგახსენებთ ფონდ „ინკლუზივთან“ დაკავშირებულ საქმეს...

ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით გავრცელებული მილოცვის ტექსტი არანაირად არ ასახავდა კონკრეტულ ფაქტებს. 2010 წელს, როცა აღვნიშნეთ ეს თარიღი, განცხადებაში პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ ტოლერანტობა უნდა გავრცელდეს არამარტო ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებზე, არამედ სხვა უმცირესობებზეც, მათ შორის, სექსუალურზე. ეს განცხადება დღემდე დევს ომბუდსმენის ვებგვერდზე. გარდა ამისა, ჩემს ე.წ. მილოცვაში ხაზი გაუუსვი, რომ ტოლერანტობა უნდა გავრცელდეს ყველა სხვა ნიშნით დისკრიმინირებულ ადამიანზე.

რაც შეეხება სექსუალურ უმცირესობებს და იმ ორგანიზაციებს, ამჟამად, რომ ვხვდებით ინდივიდუალური ფაქტების, სექსუალური უმცირესობების უფლებების შეღავათი შემაჯავებების ნაკლებობას. რაც შეეხება

ფონდ „ინკლუზივს“, 2009 წლის ანგარიშში ეს ფაქტი დეტალურადაა აღწერილი: პოლიციელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „ინკლუზივში“ მყოფ ადამიანებს, მათი გამონათქვამები ჰომოფობიური იყო. მივმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოვითხოვეთ იმ პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რომლებიც ამ კანონდარღვევაში მონაწილეობდნენ.

გავრცელდა განცხადება, რომ პოლიციელები ადმინისტრაციული წესით დაისჯნენ. თავად ის, რომ ამ ორგანიზაციაზე თავდასხმა არ იყო გამოწვეული მისი საქმიანობის შინაარსით, ეს ცხადია – პოლიციელები ლგტბ ორგანიზაციაში შევიდნენ სხვა კანონდარღვევის აღმოჩენის გამო, თუმცა შემდეგ ამას ჰომოფობიის ტალღა მოჰყვა. რა თქმა უნდა, არავინ უნდა დარჩეს დაუსჯელი ჰომოფობიის პროპაგანდის გამო, მით უმეტეს, თუ ეს საჯარო მოხელეებს ეხებათ.

რამდენად რეალურია, რომ საქართველო ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვდეს და პრინციპი „ყველა განსხვავებული – ყველა თანასწორი“ რეალობად იქცეს?

უმცირესობების თემაზე მომუშავე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პროფესორისგან მოვისმინე: „უმცირესობები არსად არ უყვართ“. ეს ფრაზა გოგი გვახარიას გადაცემა „წითელ ზონაშიც“ ვთქვი. თუ არ შექმნი სათანადო გარემოს, ამ თანასწორობას არ შეუწყობ ხელს სახელმწიფო პოლიტიკის, განათლების მიმართულებით, პრობლემა ყოველთვის იარსებებს. საქართველოში სიტუაცია 10 წლის წინანდელთან შედარებით მკვეთრად გაუმჯობესებულია, მაგრამ ყველაზე რთული სწორედ გარდამტეხ ეტაპზე პროგრესის მიღწევაა.

ვნახეთ, რომ საკმაოდ ადვილია რელიგიური გრძნობებით თამაში და ქსენოფობიური ტალღის აგორება, რაც მოჰყვა ცვლილებას რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტა-

ტუსის მინიჭების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას. იმის მიუხედავად, იცოდნენ თუ არა, ამ გაერთიანებისთვის რეალურად რა იცვლებოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ კანონს მათთვის, საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა ეს ცვლილება დაგმო და პროტესტი არმენოფობიულ ტალღაში გადაიზარდა.

ტოლერანტული საზოგადოება არ გვექნება, ვიდრე სკოლის ასაკიდან არ დავინწყებთ იმ პრინციპის შეთვისებას, რომ სხვას ისე არ უნდა მოექცე, როგორც არ გინდა, რომ შენ მოგექცნენ.

თქვენს ანგარიშებში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას, ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელს უწყობს სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების ქართულენოვან უნივერსიტეტებში ჩარიცხვას, მეორე მხრივ კი, არაქართულ სკოლებში მშობლიური ენის სწავლების საათები ქართული ენის სწავლების საათების ხარჯზე გაიზარდა, რომ არაფერი ვთქვათ, რუსულენოვანი სკოლების დახურვაზე...

ხელი უნდა შევუწყოთ ეთნიკური უმცირესობების არა ასიმილაციას, არამედ ინტეგრაციას. ამ ბალანსის დაცვაზე განათლების სამინისტრომ უნდა იზრუნოს. ვიცი, რომ ოპტიმიზაციის პროცესში რუსული სკოლების დიდი ნაწილი დაიხურა, მაგრამ განათლების სამინისტრო ამბობს, რომ რუსულ სკოლაში სწავლების მსურველთა რიცხვი ნაკლებია. აქცენტს სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებზე დავსვამდი: ამ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა რიცხვი დიდია, გარკვეული დარღვევები მართლა დაფიქსირდა, მაგრამ ეს ვითარება კრიტიკული ნამდვილად არ არის. ამ ორ რეგიონში ქართული ენის პედაგოგთა და სახელმძღვანელოთა ხარისხი უნდა ამაღლდეს. ძირითადი პრობლემა საათების ნაკლებობა კი არა, არაკვალიფიციური მასწავლებელი და არასათანადო სახელმძღვანელოა.

სამოქალაქო კოდექსში შეტანილმა ცვლილებამ რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა და მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის საპროტესტო აქციები გამოიწვია. ცვლილება ცალსახად დადებითად შეაფასეს არასამთავრობო და საერთაშორისო ინსტიტუტებმა, მაგრამ როგორც გაირკვა, ცვლილება შეეხო რელიგიური გაერთიანებების მხოლოდ რეგისტრაციის ფორმას. მათი წარმომადგენლები ამ დრომდე საუბრობენ იმ შეღავათების დაწესების აუცილებლობაზე, რაც კონკორდატის მიხედვით საქართველოს საპატრიარქოს აქვს.

მოდით, ერთმანეთს ნუ დავუკავშირებთ სტატუსს, ქონებრივ საკითხებს და საგადასახადო შეღავათებს. ჩემს ანგარიშებში ეს სამი პრობლემა ცალ-ცალკეა ასახული.

არავის არ უნდა ჰქონოდა იმის მოლოდინი, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირება ყველა სხვა პრობლემას მოაგვარებდა. რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისთვის სტატუსის საკითხი პრინციპული და ძალიან პრობლემური იყო. თქვენ ნახეთ, როგორი ვნებათაღელვა გამოიწვია ამ გადაწყვეტილების მიღებამ.

ამ გადაწყვეტილებას მნიშვნელობას ნუ დავუკარგავთ, რადგან სტატუსის საკითხი მაინც ძალიან მნიშვნელოვანია. კიდევ ერთხელ პოზიტიურად მინდა გამოვეხმაურო სინოდის გადაწყვეტილებას – სინოდმა ხელი შეუწყო იმ პრობლემის მოგვარებას, რომელიც კანონის მიღების შემდეგ წარმოიშვა.

2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით საზოგადოებისათვის თქვენი პოზიცია ცნობილია. შინაგან საქმეთა სამინისტრომ არც იმ სამართალდამცველთა ვინაობა გაამხილა, რომლებიც ადმინისტრაციული წესით დასაჯა აქციის დაშლის დროს უფლებამოსილების გადაჭარბებისათვის, უწყება არც ჟურნალისტებისთვის

მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას თანხმდება. რა ადგილს დაიკავებს 2011 წლის ანგარიშში 26 მაისის აქციის დაშლა?

26 მაისს ომბუდსმენი უკვე გამოეხმაურა შუალედურ ანგარიშში, თუმცა მხოლოდ ერთი კონკრეტული მიმართულებით, რომელიც ეხებოდა დროებითი მოთავსების იზოლაციონების მონიტორინგს და იქ მონახულულ პირებს, რომლებიც დააკავეს აქციის დაშლამდე, დაშლის დროს თუ

■ ტოლერანტული

საზოგადოება არ გვექნება

ვიდრე სკოლის ასაკიდან არ

დავინწყებთ იმ პრინციპის

შეთვისებას, რომ სხვას

ისე არ უნდა მოექცე,

როგორც არ გინდა, რომ შენ

მოგექცენ.

დაშლის შემდეგ. მომავალ საპარლამენტო ანგარიშში 26 მაისი სხვა ყველა დანარჩენი მიმართულებითაც განიხილება.

თქვენ ასხენთ პოლიციელების დასჯის ფაქტი – შსს-მ გადმომიგზავნა ბრძანების ასლი, თუმცა მოთხოვნა იყო, რომ პოლიციელების ვინაობა არ გახმაურებულიყო, ჩემთვის მათი გვარ-სახელი და ჩინი ცნობილია. თუ მათი სურვილი არ იქნება, სახალხო დამცველი ამ ინფორმაციას ვერ გაასაჯაროებს. მათი დასჯა შევაფასე, როგორც არასაკმარისი ღონისძიება სამინისტროს მხრიდან: ზოგიერთ შემთხვევაში იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და არსებობდა საფუძველი, რომ რამდენიმე პოლიციელზე სისხლის სამართლებრივი დევნა იყო გამოცხადებული. ეს ეხებოდა იმ სამართალდამცველებს, რომლებმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს იმ პირებს,

რომელთაც არავითარი წინააღმდეგობის განევა აქციის დაშლის დროს არ შეეძლოთ.

ეს ეხება ასევე მათ, ვინც აქციის დაშლის დროს ადამიანები შემთხვევის ადგილიდან გაიყვანეს ყოველგვარი დაზიანების გარეშე, მოგვიანებით მონახულებისას კი მათ სერიოზული დაზიანებები აღმოაჩნდათ. შეგახსენებთ ერთ-ერთ ასეთ დაზარალებულს – თამაზ დუმბაძეს, რომელსაც თელავის იზოლაციონში სერიოზული დაზიანება მიაყენეს.

ჩემი პოზიცია ურყევია: როცა ამკარა კანონდარღვევა, ადმინისტრაციული სასჯელის დაწესება საჯარო მოხელეთათვის არასაკმარისია, თუმცა აქვე აღვნიშნავ, წინა წლების პრაქტიკასთან შედარებით, იმ 14 პოლიციელის დასჯაც შეიძლება წინგადადგმულ ნაბიჯად შევაფასოთ.

19 დეკემბერს გამოცემული ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობამ პირველ გვერდზე პრეზიდენტისადმი მიმართვა – „პრეზიდენტო სააკაშვილო, ნუ მოკლავთ პრესას!“ გამოაქვეყნა. იყო თუ არა ჯიხურებთან დაკავშირებით მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერი პრესის შევიწროების მცდელობა? მით უფრო, რომ ტენდერში არა პრესის გამაგრცელებელმა, არამედ საკვები პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიებმა გაიმარჯვეს.

ფიქრობ, ამის რისკი ნამდვილად არსებობდა. ჩემი პოზიცია ასეთია: სახელმწიფო პრესის გავრცელებას ხელს უნდა უწყობდეს და არა პირიქით. ცოტა ხანში გამოქვეყნდება კვლევის შედეგები, რის შემდეგაც ვნახავთ, თუ რა შეცვალა ამ ტენდერმა, ვნახავთ შემცირდა თუ არა გაყიდული ჟურნალ-გაზეთების რიცხვი.

ყოველთვის შესაძლებელია ისეთი ზომების გატარება, რომელიც არათუ შეამცირებს, არამედ გაზრდის ჟურნალ-გაზეთების რაოდენობას და მათი გავრცელების მასშტაბს, რითაც შესაბამისად, გაიზრდება საზოგადოების ინფორმირებულობაც. **ლ**

ესაუბრა მალხაზ ჭკადუა.



ფოტო: ძეზარდ კორინიძე/REUTERS

ალა ჯიოევას მხარდამჭერთა მიტინგი, ცხინვალი, 1 დეკემბერი 2011

სამხრეთ ოსეთი

ძველით ახალი მთავრობა

ცხინვალში საპროტესტო მიტინგების ახალ ტალღას ელოდებიან.

მარია ბესტაევა

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ვადიმ ბროვეცევი უკვე საქმეს შეუდგა. გასულ კვირას სხვადასხვა საკადრო ცვლილებები განხორციელდა. თუმცა, ბროვეცევის მთავრობაში, ჯერჯერობით, ადგილი არ გამოიძებნა ოპოზიციისთვის, რომლის მხარდამჭერები უახლოეს მომავალში კვლავ გეგმავენ ცხინვალის ცენტრში მობილიზებას.

თუ ბროვეცევის მთავრობას გადავხედვით, ვნახავთ, რომ ცხინვალში შიდა სიტუაციას ამ დრომდე კვლავ ექსპრეზიდენტი ედუარდ კოკოითი აკონტროლებს. ცხინვალის მთავრობის ახალი კადრები კოკოითის გუნდის წევრები იყვნენ დაკომპლექტებული. ოპოზიციის მხარდამჭერები ამ ფაქტის გამო აღშფოთებულები არიან და საპროტესტო აქციების მორიგ ტალღას ამზადებენ.

პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ცხინვალში ნოემბრის ბოლოს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დადგა, კვლავ გრძელდება. არჩევნების მეორე ტურში ოპოზიციონერმა კანდიდატმა ალა ჯიოევამ გაიმარჯვა, რომელმაც კრემლის ფავორიტს ხმების 16 პროცენტით გაუსწრო. თუმცა, სამხრეთ ოსეთის უზენაესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები გააუქმა და ხელა-



ხალი არჩევნები მარტისთვის დანიშნა. ოპოზიციის ათასობით მხარდამჭერი ამ გადამწყვეტილებას რამდენიმე კვირის განმავლობაში ქუჩაში მიტინგებით აპროტესტებდა.

დეკემბრის დასაწყისში ცხინვალში რუსეთის პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის წარმომადგენელი ჩამოვიდა, რათა ვითარება განემუხტა. მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ედუარდ კოკოითი უნდა გადამდგარიყო, პრეზიდენტის მოვალეობას კი ვადიმ ბროვცევი შეასრულებდა, რომელიც თავის მთავრობაში ალა ჯიოევასა და მის გუნდსაც შეიყვანდა. თუმცა, ახალ მთავრობაში, ჯერჯერობით, ჯიოევას გუნდის არცერთი წევრი არ დანიშნულა.

მაგალითად, ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვით, ვიცე-პრემიერის

რის პოსტი ჯიოევას გუნდის რუს კარდინალსა და სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსს ანატოლი ბარანკევიჩს უნდა დაეკავებინა. დღეს ბარანკევიჩს ეუბნებიან, რომ ასეთი თანამდებობა ცხინვალის მთავრობაში საერთოდ არ არსებობს.

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ ცხინვალის ბოლოდროინდელი მოქმედებები «ნარინჯისფერი რევოლუციაა», რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის გარე ძალის მიერ იმართება. ადგილობრივ ტელევიზიაში უჩვენეს ფილმი ფერად რევოლუციებზე, რომლებიც მოაწყო დასავლეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ედუარდ კოკოითმა პირდაპირ დაადასტურა ოპოზიციის ლიდერები დასავლეთის სპეცსამსახურებთან კავშირში.

ადგილობრივ ტელეარხზე მთავარ ნიუსად იქცა ის ინფორმაცია, რომ ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა, ჯამბოლატ თადევემა ინტერვიუ მისცა ქართულ ტელეარხ «პიკს». ეს შეფასდა, როგორც ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა.

ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ბროვცევი არა კოკოითის, არამედ საკუთარ თამაშს თამაშობს, რათა მარტის არჩევნებისთვის საკუთარი გუნდის შექმნა და გაძლიერება მოასწროს:

„ბროვცევის გვერდით ახლა ისეთი ხალხიცაა, რომლებსაც კოკოითთან არცთუ ისე კარგი ურთიერთობა აქვთ. ბროვცევი შეეცდება მარტამდე რალაც ცვლილებების ილუზია მაინც შექმნას,“ – მიიჩნევს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი როლანდ ქელესაევი.

თუმცა, ბროვცევი საკმაოდ სახიფათო თამაშს თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში ხალხი რამდენიმე დღეა არ დგას, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საპროტესტო ტალღა რესპუბლიკაში ჩაცხრა. ცხინვალელი ექსპერტები და ჟურნალისტები, რომლებიც ამ მღელვარებას აშუქებდნენ, დარწმუნებულები არიან, რომ ხალხი მზადაა კიდევ უფრო დიდი ძალით გამოვიდეს ქუჩაში და ეს

მზაობა გარდამავალი ხელისუფლებისთვის სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს. თანაც იმ ფონზე, როდესაც კრემლს დღეს ბევრად უფრო დიდი პრობლემები აქვს, ვიდრე სახრეთ ოსეთის პოლიტიკური კრიზისი, ცხინვალის ოპოზიციას ეძლევა შანსი, ისარგებლოს ამ მდგომარეობით.

თუ ბროვცევის პოლიტიკა შემდგომაც ასეთი ხისტი იქნება, ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატი თავის პროტესტს ძველი ხელისუფლებიდან უკვე ახალ – ბროვცევის ხელისუფლებაზე გადაიტანს.

ალა ჯიოევა ბრძოლის გაგრძელებას აპირებს. იგი ამბობს, რომ დროებითი შესვენება ოპოზიციას მხოლოდ ძალების აღსადგენად სჭირდება: «პოლიტიკური ბატალიების არენაზე იგივე წესები მოქმედებს, როგორც ომის დროს: ზოგჯერ დგამ ერთ ნაბიჯს უკან იმისთვის, რომ შემდეგ ორი წინ გადადგა. იღებ ტაიმ აუტს, რომ სიტუაცია გააანალიზო და ახალი სტრატეგია დასახო. ჩვენ არ ნავსულვართ. არ არსებობს ძალა, რომელიც შეგვაჩერებს».

თუმცა, ცხინვალში შიშობენ, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს მარტის არჩევნებიდან ჯიოევას ჩამოსაცილებლად.

ამის შესახებ თავად ალა ჯიოევაც საუბრობს: «დარწმუნებული ვარ, ამის გაკეთებას შეეცდებიან. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაში სჭირდებათ ადამიანი, რომლით მანიპულირებასაც შეძლებენ, მაგრამ ეს არ არის პრინციპული საკითხი. პიროვნებებში არ არის საქმე. მე თუ არ ვიქნები, ჩვენ აუცილებლად ვიპოვით ისეთ კანდიდატურას, რომელიც მათ დამანგრეველ დარტყმას მიაყენებს». ■



სტატიის მომზადებულა ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



რუსეთი


ხელოვნება ციხის ბაიშა

რუსეთში ხელისუფლების მიმართ საპროტესტო
განწყობები მატულობს, თუმცა ჯერ უცნობია,
გადიზრდება თუ არა ეს უკმაყოფილება
პოლიტიკურ კრიზისში.

ტატინა გუსაკოვა

ფოტო: სპარსიანი / REUTERS

რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დუმის არჩევნებს აპროტესტებს, მოსკოვი, 10 დეკემბერი 2011



24 დეკემბერს მოსკოვში, აკადემიკოს სახაროვის პროსპექტზე ისევ გამოვა რუსეთის ათასობით მოქალაქე, რათა გააპროტესტოს 4 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ტოტალური დარღვევებით ჩატარდა. მაგრამ სად არის ლიდერი, რომელიც რუსეთისთვის ამ უჩვეულო გამოვლილებას ჩაუდგება სათავეში?

უკვე მრავალი წელია, რუსეთის მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდები, საოცრად აპოლიტიკურები არიან. არცერთი სოციოლოგიური გამოკითხვა ამ ტენდენციის შეცვლას არ წინასწარმეტყველებდა, ამიტომ რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

10 დეკემბერს ბოლოტინაის მოედანზე გამართული მრავალათასიანი მიტინგი მნიშვნელოვანი სიგნალი აღმოჩნდა ყველასთვის – რუსეთში „ყინული დაიძრა“ და ამ ქვეყანას ცვლილებები ელის.

ლიბერალური ოპოზიცია 24 დეკემბერს მეორე ფართომასშტაბიანი მიტინგისთვის ემზადება. ამ მიტინგის ჩატარება კრემლის კედლებთან იგეგმებოდა, მაგრამ მოსკოვის მერიამ წითელ მოედანზე დემონსტრაციისთვის სანქცია არ გასცა, თუმცა აკადემიკოს სახაროვის პროსპექტზე დათანხმდა. გაცემული სანქციის თანახმად, მიტინგი დღის ორ საათზე დაიწყება და საღამოს ექვს საათამდე გასტანს. მიტინგის ორგანიზატორები არიან პარტია „სოლიდარნოსტი“, რომლის ლიდერია ბორის ნემცოვი და მოძრაობა „მემარცხენე ფრონტი“.

სოციალურ ქსელებში უკვე 50 ათასზე მეტმა ადამიანმა გამოხატა მიტინგზე მისვლის მზადყოფნა.

მიტინგის ორგანიზების ინიციატივით რუსი ნაციონალისტებიც გამოვიდნენ, თუმცა მერიამ მათ უარი უთხრა იმ მოტივით, რომ მიტინგის გამართვა მხოლოდ სახაროვის პროსპექტზე შესაძლებელი და ეს ადგილი უკვე დაკავებულია.

რუსი ოპოზიციონერები დარწმუნებულიები არიან, რომ ამგვარი ხრიკებით ხელისუფლება ოპოზიციის ორი ფრთის ლიბერალებისა და ნაციონალისტების დაპირისპირებას ცდილობს. „გაერთიანება არ გვინდა, მაგრამ ჩვენ ამაზეც წავალთ, თუ სხვა გზა არ იქნება“, – ამბობს ნაციონალისტების ერთ-ერთი ლიდერი დმიტრი

დიომუჰინი. ლიბერალური ოპოზიციის ლიდერი ბორის ნემცოვი მიტინგში ნაციონალისტების მონაწილეობის წინააღმდეგი არ არის. „თუ მოვლენ ნაციონალისტები და კანონის ჩარჩოებში მოიტყვევიან, მე წინააღმდეგი არ ვარ,“ – თქვა მან.

მომიტინგეთა მოთხოვნები 24 დეკემბერსაც უცვლელი დარჩება: საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაუქმება, ხელახალი არჩევნების დანიშვნა, ცესკოს თავმჯდომარის გადადგომა და ყველა პოლიტიკური

■ ჯერჯერობით ის, რაც რუსეთში ხდება, მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება.

ოპოზიცია არ აღმოჩნდა მზად ჩაუდგეს სათავეში პროტესტს და ახლა ხელის ცეცებით ცდილობს გაერკვეს სიტუაციაში.

პარტიისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიცემა. ასევე მთავარი მოთხოვნაა იმ ადამიანთა გათავისუფლება, რომლებსაც ოპოზიცია პოლიტპატიმრებს უწოდებს.

ცხადია, ხელისუფლება დათმობებზე არ წავა. ასეთ შემთხვევაში, რა იქნება 24 დეკემბრის შემდეგ? რა სტრატეგია აქვს ოპოზიციას? ამ კითხვებზე პასუხი არავის აქვს.

რუსეთში ხელისუფლებაზე არანაკლები პრობლემაა ოპოზიცია.

პუტინის ავტორიტარული მმართველობის დროს დასუსტებული და პარალიზებული პოლიტიკური პარტიები უუნარონი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ ახალგაზრდა ელექტორატი მიეზიდათ. „იბლოკი“ ბევრი ცვლილების მოსურნე ახალგაზრდისთვის კარგი არჩევანი იქნებოდა, მაგრამ ამ პარტიის წევრთა უმრავლესობა პენსიონერები არიან, რომლებიც ახალგაზრდულ მუხტს სათავეში ვეღარ ჩაუდგებიან. პოლიტიკური პარტიები წლების განმავლობაში არ გაახალგაზრდავებულა, რადგან პოლიტიკა და

პოლიტიკური აქტივობა რუსეთში პოპულარული არ იყო.

ამკარაა, რომ რუსული ოპოზიცია არ ელოდა საზოგადოების ამგვარ გამოვლილებას. ჯერჯერობით ის, რაც რუსეთში ხდება, მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ოპოზიცია არ აღმოჩნდა მზად, ჩაუდგეს სათავეში პროტესტს და ახლა ხელის ცეცებით ცდილობს სიტუაციაში გაერკვევას.

ოპოზიციის მთავარი ამოცანაა, ხელი შეუშალოს მარტში პრემიერ პუტინის მესამედ გაპრეზიდენტებას, მაგრამ ვის დაუპირისპირებს მას?

რეფორმატორულმა ოპოზიციურმა პარტია „იბლოკი“ გასულ კვირას ყრილობა ჩაატარა და თავის საპრეზიდენტო კანდიდატად პარტიის ლიდერი – 59 წლის გრეგორი იავლინსკი დაასახელა.

„იბლოკოს“ ამ გადაწყვეტილებამ ბევრ ახალგაზრდას გაუცრუა იმედები. ისინი ელოდნენ, რომ „იბლოკოს“ საპრეზიდენტო კანდიდატი ბოლოდროინდელი მოვლენების გმირი – ახალგაზრდა იურისტი და ცნობილი ბლოგერი ალექსეი ნავალნი იქნებოდა. ნავალნის და სოციალურ ქსელებში მის სამოქალაქო აქტივობას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდებს შორის საპროტესტო მუხტის შექმნაში. ბევრი მიიჩნევს, რომ 35 წლის ნავალნის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელება მომგებიანი ნაბიჯი იქნებოდა და კიდევ უფრო დამუხტავდა რუსეთის გამოვლიძულ ახალგაზრდობას.

„იბლოკომ“ თავის გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ნავალნის არ გამოუთქვამს სურვილი, იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი. ეშმაკური სვლაა. მსგავს სურვილს ნავალნი ვერც გამოუთქვამდა, რადგან რამდენიმე დღეა ციხეში ზის – 4 დეკემბერს არასანქცირებულ მიტინგში მონაწილეობისა და ხულოგნობისთვის.

ნავალნის მომხრეები აქტიური ახალგაზრდები არიან. სწორედ ისინი, ვისი დამსახურებაც არის დღეს ეს საპროტესტო აქციები. ისინი რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებას წარმოადგენენ. ნავალნის ლოზუნგი „ედინაია როსია – თაღლითებისა და ქურდების პარტია“ უკვე ბრუნდა და პუტინის პარტიის პოპულარულ სახელწოდებად იქცა.



„იაბლოკოს“ მხარდამჭერები საპარლამენტო არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ, 17 დეკემბერი 2011

ფოტო სარგატი ავაკიანო / REUTERS

თავისთავად ის ფაქტი, რომ რუსეთში პუტინის შემცვლელზე ლაპარაკობენ და 0,1 პროცენტით მაინც უშვებენ იმ ფაქტს, რომ, შესაძლოა, პუტინი აღარ იყოს რუსეთის მომავალი პრეზიდენტი, უკვე საკვირველია.

ჯერ ისიც არავინ იცის, თავად იავლინსკი თუ მილანევს საპრეზიდენტო კენჭისყრამდე. იმისთვის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირების უფლება მოიპოვოს, იავლინსკიმ 18 იანვრისთვის 2 მილიონი ხელმოწერა უნდა შეაგროვოს.

იგივე გზა უნდა გაიაროს რუსეთის უმდიდრესმა ადამიანმა მიხაილ პროხოროვმა, 46 წლის მილიარდერმა, რომელმაც ოფიციალურად გააკეთა განცხადება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება სურს.

ყველაფერი ძალიან ეშმაკურადაა მონყობილი. კანდიდატებს ხელმოწერების შეგროვება საახალწლო დღესასწაულებზე მოუწევთ, როდესაც ქვეყანას საახალწლო არდადეგები აქვს.

პროხოროვის კანდიდატურა ცალკე განხილვის საგანია. იგი რუსეთის მილიარდერთა სიაში მესამეა. პროხოროვი ლიბერალი ამომრჩევლების გულის მოგებას ცდილობს – ბიზნესის ლიბერალიზაციისა და რეფორმების ინიციატივით გამოდის. თუმცა, საქმე ისაა, რომ პროხოროვის გულწრფელობის არავის სჯერა. რუსი ანალიტიკოსები დაწინაურებულები არიან, რომ პროხოროვის კანდიდატურა კრემლის წამოყენებულია, რათა ცვლილებების მომხრე ელექტორატი შუაზე გახლიჩოს და ნამდვილ ლიბერალურ ოპოზიციას ხმები წაართვას.

თუ არჩევნებზე არც პროხოროვი და არც იავლინსკი არ დაუშვებს, მაშინ რუსეთის მოსახლეობას ასეთი არჩევანი რჩება: ნაციონალისტები, კომუნისტები ან თავად პუტინი.

უკანასკნელ წლებში ქვეყანაში გაჩნდა რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივად აქტიური ადამიანებისგან შედგება. ეს ორგანიზაციები დაუღალავად იბრძვიან ტყეების გაჩეხვის ან იმ პრივილეგირებული მდიდარი რუსების წინააღმდეგ,

რომლებიც თავიანთ მანქანებზე პოლიციელების „ციმციმებს“ აყენებენ და დაუბრკოლებლად გადაადგილდებიან საცობებში. თუმცა, ორგანიზაციებსა და მათ აქტივობებს პოლიტიკური მიზნები არ აქვთ.

რამდენიმე ასეთი ორგანიზაციის ლიდერი „იაბლოკოს“ ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა და საპრეზიდენტო კანდიდატად ნავალნის წარდგენა მოითხოვა. მათ უარი მიიღეს. ეგვინია ჩირიკოვა წლებია ხიმკის ტყის გაჩეხვის წინააღმდეგ იბრძვის. ათასობით პეტარზე გადაჭიმული ეს ტყე, რომელიც მოსკოვს აკრავს, უნდა გაჩეხათ, რათა ავტომავისტრალი აეშენებინათ. ჩირიკოვას მოძრაობამ ეს პროცესი შეაჩერა. „ჩვენ მარტო ვიბრძოდით, ყველაფერი ჩვენით გააკეთეთ ისე, რომ არცერთი პოლიტიკური პარტია გვერდით არ გვედგა. იმიტომ კი არა, რომ ასე გვინდოდა, უბრალოდ პარტიებს ეს საკითხი არ აინტერესებდათ. ხალხი რუსეთში თვითონ იბრძვის საკუთარი უფლებებისთვის, პროფესიონალი პოლიტიკოსების დახმარების გარეშე,“ – განაცხადა ჩირიკოვამ. ■

უცხოური ინვესტიციების ტენდენსიები

„საქართველო, მსოფლიოს 87 ქვეყანას შორის, ყველაზე გახსნილი ქვეყანაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის. ის უცხოური კაპიტალის მიმართ სრულიად ღიაა და არანაირი შეზღუდვა არ არსებობს სხვა ქვეყნის კომპანიების მიმართ“, – აღნიშნულია მსოფლიო ბანკის მოხსენებაში „ინვესტიციები საზღვრებს გარეთ 2010“.


თათია ხალიანი

ეკონომიკის ექსპერტები თანხმდებიან, რომ ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა პირდაპირ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზრდასთან. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, ინვესტიციების მოზიდვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

წინასწარი ინფორმაციით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი

უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2011 წლის მესამე კვარტალში ჯამურად 643 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო 2010 წლის მონაცემებით, ქვეყანაში 814 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.

ბოლო რვა წლის განმავლობაში, ინვესტიციების თვალსაზრისით, პიკური 2006-2007 წლები იყო. კერძოდ, 2006 წელს შემოსულმა პირდაპირმა



უცხოურმა ინვესტიციებმა ერთ მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო 2007 წელს – ორ მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. კლების ტენდენცია 2008 წლის მესამე კვარტლიდან აღინიშნა. საქართველოში ბოლო ოთხ წელში ჯამურად იმაზე დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარით ნაკლები ინვესტიცია განხორციელდა, ვიდრე მხოლოდ ერთ, 2007 წელს.



ილუსტრაცია: გენერალ-მაიორი ვ. შიშკაძე

საინვესტიციო გარემო

მსოფლიო ბანკის მოხსენებაში, სათაურით „ინვესტიციები საზღვრებს გარეთ 2010“, აღნიშნულია, რომ საქართველოში ყველაზე სწრაფად იქმნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. უცხოური კომპანია არ საჭიროებს დამატებითი დოკუმენტების წარდგენას და არც იმის დასტურს, რომ უცხოეთში არსებული კომპანიის შვილობილს წარმოადგენს.

ასევე, კომპანიას შეუძლია საჯარო რეესტრის ვებგვერდზე, „ონლაინ“ რეჟიმში რეგისტრაციისთვის საჭირო საბუთები შეაქოს და საიდენტიფიკაციო ნომერი მიიღოს. მათ შეუძლიათ საქართველოში საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში გახსნან. არ არსებობს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კომპანიისთვის.

■ „ინვესტიციები, რომელიც ძირითადად, უძრავ ქონებაშია თავმოყრილი, არის სპეკულაციური ინვესტიციები.

ასეთი ინვესტიციის მიზანია რაიმე უძრავი ქონება იყიდოს და შემდეგ უფრო ძვირად გაყიდოს“.

ჩს ბაიხსომოხს უსხოური ინვესტიციების ნიშნისი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების დროს ერთი ქვეყნის რეზიდენტი მეორე ქვეყანაში განთავსებული საწარმოს აქციების (ნილის) ისეთ რაოდენობას ფლობს, რომელიც საკმარისია ამ საწარმოს მართვაში მონაწილეობის მისაღებად. სტატისტიკური მეთოდოლოგიით პირდაპირი ინვესტიციები საწარმოს აქციების არანაკლებ 10%-ს უნდა ფლობდეს. ინვესტიციები შეიძლება იყვნენ ფიზიკური პირები, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები. არსებობს ასევე პორტფელის ინვესტიციები, როცა ინვესტიციის ფლობს საწარმოში ნილს, მაგრამ ის ათ პროცენტზე ნაკლებია.

ინვესტიციები - ქვეყნის ბაიხსომოხის ნიშნისი

პირდაპირი ინვესტიციების მეშვეობით, თუ პროცესი გამჭვირვალეა, კარგად ჩანს, რა თანხები მოიზიდება ქვეყნის ეკონომიკაში, როგორ იხარჯება და რომელ სექტორებში ნაწილდება შემოსული ფული. ამდენად, უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

მსოფლიო ბაიხსომოხის მოხარება

კვლევის – „ინვესტიციები საზღვრებს გარეთ 2010“ -ის თანახმად, საქართველოში, ბიზნესის წამოწყება კომპანიას ყველაზე მცირე დროში, ერთ დღეში შეუძლია. კვლევის მიხედვით, ბიზნესის წამოწყება პოლონეთში 33 დღეს საჭიროებს, რუსეთში – 31 დღეს, საბერძნეთში – 22 დღეს, ბულგარეთში – 20 დღეს. აღსანიშნავია, რომ 4 დღეზე ნაკლებ დროში ბიზნესის დაწყება მსოფლიოს არცერთ გამოკვლეულ ქვეყანაში არ არის შესაძლებელი.

საინვესტიციო სააგენტოს წარმომადგენლის, ზურა ზედელაშვილის თქმით, გამარტივებული სარეგისტრაციო წესები და, ზოგადად, საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო ქვეყანას მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტიციებისთვის.

„ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველო არის მსოფლიოში მე-16 ადგილზე. ერთი დღის განმავლობაში ინვესტიციის შეუძლია საქართველოში აილოს მშენებლობის ნებართვა, ასევე დაარეგისტრიროს თავისი ქონება და დააარსოს კომპანია. სხვა ქვეყნებში, მაგალითად, მშენებლობის ნებართვის აღება ხშირად ერთი წელიც კი ინელევა, იმდენად მნიშვნელოვანია“.

ოფორმული ინვესტიციები

არაერთ ექსპერტს აღუნიშნავს, რომ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც უცხოური კომპანიებისადმი ლიბერალური მიდგომა ითვალისწინებს, თავისი უარყოფითი შედეგები აქვს. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოებისათვის ხშირად, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ დგას ამა თუ იმ კომპანიის უკან, ვისი ფული შემოდის ქვეყანაში, ვინ არიან კომპანიის მფლობელები. ბოლო პერიოდში არაერთგზის გამოთქმულა ეჭვი, რომ მომგებიანი და მსხვილი საწარმოების მფლობელი ოფორმული კომპანიების უკან თვით სახელისუფლებო ბიზნესრეები დგანან.

ოფორმული ბიზნესი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც საკრედიტო, ისე ინვესტიციების მოძრაობაში. საქართველოში ინვესტიციები შემოაქვთ ისეთ ოფორმულ ცენტრებში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორცაა ჯერსი, ბაჰამა, ვირჯინიის კუნძულები...

ეკონომიკის ექსპერტის ვლადიმერ პაპავას თქმით, ძალიან ბევრ ქვეყანაში, ისევე როგორც საქართველოში, ოფორმული ბიზნესის წინააღმდეგ არანაირი შემზღუდავი მექანიზმი არ მოქმედებს.

„კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციას, ხშირად არიან დარეგისტრირებული ოფორმულ ბიზნესში და პრაქტიკულად შეუძლებელია მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციის

წარმომავლობა დაადგინო. შესაბამისად, ძალიან ბევრი, ოფორმულ ბიზნესში დარეგისტრირებული, კომპანია შეიძლება იყოს რუსული ფულით, ან სხვა ქვეყნების ფულით შექმნილი. სწორედ იმიტომ არსებობს ეს ოფორმული ბიზნესი, რომ ფულის წარმომავლობა იყოს ძნელად დასადგინი. არის ისეთი ქვეყნები, მაგალითად, პოსტსაბჭოთა სივრციდან (უნინარეს ყოვლისა რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი), რომლებიც არ მალავენ საქართველოში დაინტერესებას“.

ვირჯინიის კუნძულების ოფორმული ბიზნესი საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი წყაროა. საქართველოში, ვირჯინიის კუნძულები ჯერ კიდევ 2003 წელს გამოჩნდა ექსპერიმენტული ინვესტიციით, 2005 წელს კი ამავე ბიზნესიდან – 4 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. 2006 წელს, წინა წელთან შედარებით, ვირჯინიის კუნძულებიდან წამოსული ფინანსური ნაკადი თითქმის 12-ჯერ გაიზარდა. ამ ბიზნესიდან შემოსული ინვესტიციის ოდენობა ზრდის ტენდენცია დღეის მდგომარეობითაც შენარჩუნებულია.

რომელი დარგები იზიდავს ინვესტიციებს?


2007 წლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარგობრივ სტრუქტურას თუ გადავხედავთ, დაინახავთ, რომ უცხოელი ინვესტიციები ყველაზე ნაკლებ ინტერესს ქვეყნის რეალური სექტორის მიმართ იჩენენ. ინვესტიციები მცირე რაოდენობით, ან სულაც არ იდებთ ისეთ დარგში, როგორცაა, მაგალითად, სოფლის მეურნეობა. ყველაზე მიმზიდველი მათთვის საფინანსო სექტორი, ენერჯეტიკა და უძრავი ქონებაა.

მაგალითად, 2009 წელს უძრავ ქონებაში განხორციელებული ინვესტიცია ყველა სფეროს, მათ შორის, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში ჩადებულ ინვესტიციებსაც კი, აჭარბებდა. თუმცა, 2011 წლის მესამე კვარტალში ყველაზე მეტი ინვესტიცია ენერჯეტიკის სფეროში განხორციელდა, ამ თანხამ 86 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მოცულობის თვალსაზრისით, მომდევნო ადგილი მოპოვებით მრეწველობას ეკუთვნის, სადაც წელს 28 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა; მას მოსდევს უძრავი ქონების სფერო 21 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით.

„ინვესტიციები, რომელიც ძირითადად, უძრავ ქონებაშია თავმოყრილი, არის სპეკულაციური ინვესტიციები. ასეთი ინვესტიციის მიზანია რაიმე უძრავი ქონება იყიდოს და შემდეგ უფრო ძვირად გაყიდოს. ის ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას უკეთეს შემთხვევაში ირიბად უწყობს ხელს“, – ამბობს ვლადიმერ პაპავა. მისი თქმით, მხოლოდ ის ინვესტიციები, რომელიც იდება ეკონომიკის რეა-

ლურ სექტორში, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, შემოაქვს ახალი ტექნოლოგიები. საბოლოო ჯამში, იზრდება დასაქმებაც და გამოშვებული პროდუქციისა და განუული მომსახურების მოცულობა. ასეთი ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით „უფრო სასარგებლოა“.

2011 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით, ლიდერობენ შემდეგი ქვეყნები: ნიდერლანდები ქვეყანაში განხორციელებული საერთო ინვესტიციის – 21%, დანია – 16%, კვიპროსი – 13%, თურქეთი – 11%, შემდეგ კი რუსეთი და აზერბაიჯანი 6% – 6%. 

ოფშორული ზონა

ოფშორული ზონა იზოლირებული საფინანსო ინსტიტუტია, სადაც შეღავათიანი რეჟიმი მოქმედებს, მოგებათა თავისუფალი გატანით, საწვდებო კაპიტალის დაბალი დონით, კომპანიის რეგისტრაციისა და მართვის მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურით, საგადასახადო შეღავათებით, ასევე, კომპანიის მფლობელთა სრული ანონიმურობითა და კონფიდენციალურობით. ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიას არ მოეთხოვება იყოს იმ ქვეყნის რეზიდენტი, სადაც მდებარეობს ეს ცენტრი და არ მიიღოს მისი ტერიტორიიდან მოგება.



"მოზინეჲს, დაიჯერო"

მოდელი კრისტი ყიფშიძე ხვრინავს, მსოფლიო ჩემპიონი რამაზ ნოზაძე სერიალის ყურებისას ტირის, აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე კი საკუთარ კაბინეტში მძიმე როკის ჰანგებზე ცეკვავს... ეს კომპანია „დექსუსის“ საახალწლო აქციის სარეკლამო კლიპის სიუჟეტია. აქციაში კომპანიამ ცნობილი ადამიანები ჩართო, ისინი, ვისი წარმოდგენაც ასეთ ამპლუაში სრულიად დაუფერებელია.

მანანა ვარდაშვილი

„მოგინეჲს, დაიჯერო“ – ეს „დექსუსის“ საახალწლო აქციის დევიზია. აქციის ფარგლებში ყველა, ვინც 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე „დექსუსის“ დასრულებულ ობიექტებში – ბათუმის „მაგნოლიაში“, „ჭავჭავაძე ქორნერში“, დიდ დილოში, წყნეთსა და ხოშარაულის „აფხაზეთში“ – ბინას შეიძენს, „დექსუსისგან“ 12 საჩუქარს – პრემიუმ კლასის 12 საყოფაცხოვრებო ნივთს მიიღებს.

სარეკლამო რგოლის დამზადების, რეკლამის ხარჯებს და საახალწლო აქციის მთლიან ღირებულებას „დექსუსი“ არ ასაჯაროებს. კომპანიაში აცხადებენ, რომ ინფორმაცია კონფიდენციალურია. სტუდია „მეტროს“ მიერ გადაღებული სარეკლამო რგოლი ნაციონალური მაუწყებლების სატელევიზიო ეთერში უკვე ერთ კვირაზე მეტია, აქტიურად ტრიალებს.

ამ „დაუფერებელი“ და ძვირადღირებული საახალწლო აქციის წამოწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე შპს „ცენტრ პოინტი სიტის“ (ამ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი მაია რჩეულიშვილია) დირექტორმა ივანე ცაგურიამ, რომელიც ამავე დროს „დექსუსის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მენილეა, თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა და მოქალაქე ნუნუ ჯავახიშვილის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების 6 თვით გადავადება მოითხოვა. შეგახსენებთ: ნუნუ ჯავახიშვილი „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებულ ათასობით კლიენტს შორის ის იშვიათი გამონაკლისია, ვინც შპს

„ცენტრ პოინტი სიტის“ წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მოიგო: საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით, კომპანიას მის სასარგებლოდ 128 117 აშშ დოლარის და ამ თანხის წლიური 10 %-ის გადახდა დაეკისრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში „ცენტრ პოინტი სიტის“ მიერ გაგზავნილ განცხადებაში, რომელიც 2011 წლის 21 ნოემბრითაა დათარიღებული, წერია: „2010 წლის 7 სექტემბერს შპს „დექსუსის“ მიერ მართვისა და განკარგვის უფლებით იქნა აღებული შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ და მასთან დაკავშირებული 40-ზე მეტი სუბიექტი, მათ შორის შპს „ცენტრ პოინტი სიტი“. მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შპს „დექსუსის“ მიერ შემუშავდა შპს „ცენტრ პოინტი სიტის“ რეაბილიტაციის გეგმა და უკვე გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები ამ გეგმის შესასრულებლად, რაც ითვალისწინებს დაწყებული მშენებლობების დასრულებას და შესაბამისად, კრედიტორების საცხოვრებელი თუ კომერციული ფართებით უზრუნველყოფას. ამ მომენტისთვის შპს „დექსუსის“ მართვის ქვეშ არსებული კომპანიებიდან ფინანსური სახსრების არასამშენებლო მიზნებისთვის გადინება რეალურ საფრთხეს უქმნის რეაბილიტაციის იმ გეგმის განხორციელებას, რომლის მიხედვითაც უნდა დაკმაყოფილდეს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან დაკავშირებული სუბიექტების 6200-ზე მეტი კრედიტორი“.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განცხადებაში მოყვანილი გარემოებები გაითვალისწინა და შპს „ცენტრ პოინტი სიტის“ მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მან მოქალაქე ნუნუ ჯავახიშვილის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება 3 თვით გადაავადა (სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მანამდე 1 წლით იყო გადავადებული). თუმცა, სასამართლოში განცხადების შეტანიდან 3 კვირის შემდეგ კომპანია „ცენტრ პოინტი სიტის“ რეაბილიტაციის რეჟიმში მომუშავე „დექსუსს“ არასამშენებლო მიზნებისთვის ათასობით დოლარის დახარჯვა აღარ დაენანა.

მაია რჩეულიშვილმა „ცენტრ პოინტის“ ქოლგის ქვეშ გაერთიანებული 15 ამხანაგობა და რამდენიმე ათეული შპს „დექსუსს“ სამწლიან მმართველობაში 2010 წლის სექტემბერში გადასცა. „დექსუსმა“ კლიენტებთან ახალი ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყო. ახალმა ხელშეკრულებამ მხარეები არათანაბარ პირობებში ჩააყენა და „ცენტრ-პოინტი“-„დექსუსის“ ინტერესები კრედიტორების ინტერესებზე მაღლა დააყენა. ახალი ხელშეკრულების თანახმად, 18-პროცენტოანი დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდა მომხმარებელს დაევა. ფასნამატის გადახდა დაეკისრათ იმ კლიენტებსაც, რომელთაც თავის დროზე მშენებარე ბინაში დღევანდელ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები თანხა გადაიხადეს. სამაგიეროდ, „დექსუსმა“ ხელ-



„ცენტრ პოინტის“ დაუსრულებელი მშენებლობა სააკაძის მოედანზე, თბილისი, დეკემბერი 2011

ფოტოს: ლევან ხაჩიკაძე

■ „ცენტრ პოინტის“ ათასობით დაზარალებული

მომხმარებლისთვის საკუთარი მომავალი ერთი წლის შემდეგ ისევ გაურკვეველი და ბუნდოვანია. ამხანაგობის წევრებს „დექუსმა“ 18%-იანი დღგ-ის გარდა ყოველ კვადრატულ მეტრზე დამატებით 100\$-ის გადახდა მოსთხოვა.

შეკრულებიდან ამოიღო ისეთი პუნქტები, როგორებიცაა ბინის გაჯით გალესვა და წყლის და გაზის ინდივიდუალური გაყვანილობით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, შენობის საერთო სარგებლობაში არსებული ფართი „უპირობოდ და განუსაზღვრელი ვადით“ სარგებლობაში „დექუსს“ გადაეცა. ამ ფართის მოვლის, დასუფთავების, დაცვის და „სხვა საჭირო და აუცილებელი ხარჯების“ გადახდა კი მოსახლეობას დაევალა.

„ცენტრ პოინტის“ რეაბილიტაციის დეტალური გეგმა 2010 წლის 17 დეკემბერს გამოქვეყნდა. ამ გეგმის საზეიმო პრეზენტაციაზე „დექუსის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ 3 წლის განმავლობაში ეტაპობრივად ყველა მომხმარებელი დაკმაყოფილდებოდა და ამისთვის საჭირო ინვესტიციები უკვე მოზიდული ჰქონდათ.

„ცენტრ პოინტის“ მართვაში აღების შემდეგ, „დექუსმა“ მთლიანობაში უკვე

25 მილიონი ლარი დახარჯა. კომპანიამ 23 კორპუსის მშენებლობა განაახლა. 8 კორპუსი: დიდი დიღმის პირველი და მე-ხუთე კორპუსები, ხოშარაულის „აფხაზეთი“, წყნეთი, ლუბლიანას ქუჩაზე მდებარე ობიექტი, „შავი სახლი“, ანუ „ჭავჭავაძე ქორნერი“, ბათუმის „მაგნოლია“ და ბაკურიანის „მზიური ველი“ უკვე დასრულდა. ჯამში, 1700-ზე მეტი მოზინადრის მისაღებად მზად ვართ. თუმცა, ექსპლუატაციაში ჯერჯერობით მხოლოდ ბაკურიანის „მზიური ველი“ შესული, დანარჩენი ობიექტე-

ბიც თანმიმდევრულად დასრულდება. ამ პროცესს გარკვეული ტექნიკურ-ბიუროკრატიული საკითხები აფერხებს. საქართველოში ახლად აშენებული კორპუსების უმეტესობა ექსპლუატაციაში შესული არ არის. ჩვენ კი ეს ღიად ვთქვით. თუმცა, ეს საკითხი მოგვარდება, რასაც გარკვეული დრო სჭირდება, – ასე აფასებს „დექუსის“ ერთწლიან მუშაობას კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნატა თოფურია.

თუმცა, „ცენტრ პოინტის“ ათასობით

დაზარალებული მომხმარებლისთვის საკუთარი მომავალი ერთი წლის შემდეგ ისევ გაურკვეველი და ბუნდოვანია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „დაზარალებულ მენამენეთა ასოციაციის“ თავმჯდომარე თემურ ფიფია „ლიბერალთან“ საუბარში ამბობს, რომ ამხანაგობის წევრებს „დექუსმა“ 18%-იანი დღგ-ის გარდა ყოველ კვადრატულ მეტრზე დამატებით 100\$-ის გადახდა მოსთხოვა.

„ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის მინდობილი პირის, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ სახელით ამხანაგობის ყველა წევრს მიუვიდა შეტყობინება, რომ მათ მიერ ამხანაგობასთან დადებული ხელშეკრულების პირობები შეიცვალა. შეტყობინებაში წერია, რომ მშენებლობის დასასრულებლად საჭირო თანხის არარსებობის გამო უნდა გადაიხადონ რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხა – ყოველ კვადრატულ მეტრზე 100\$. იქვე მითითებულია, რომ თუ შეტყობინების მიღებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში გამყიდველთან ახალი ხელშეკრულება არ გაფორმდებოდა, ამხანაგობის წევრსა და გამყიდველს შორის 2004 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდებოდა. ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ ბრძანება ამხანაგობის ბევრმა წევრმა უკვე მიიღო. ამ შეტყობინებას ხელს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დირექტორი ივანე ცაგურიანერს,“ – ამბობს ფიფია.

„თაბუკაშვილი 88“-ის წევრებისგან ყოველ კვადრატულ მეტრზე 100 აშშ დოლარის დამატების მოთხოვნის ფაქტს „დექუსშიც“ ადასტურებენ: „კვადრატულ მეტრზე 100\$-ის გადახდა მხოლოდ თაბუკაშვილის ქ. N7-ში მშენებარე კომპლექსს უკავშირდება, რაც უკიდურესი აუცილებლობითაა გამოწვეული. ამ კომპლექსის ხარისხიანი და სრულფასოვანი დასრულების მიზნით კომპანია ზარალზე მიდის და საკუთარი სახსრებიდან აპირებს 2,5 მილიონი ლარის დახარჯვას. თუმცა, ეს თანხაც არ არის საკმარისი. მოზინადრეებს ნახევარი მილიონი აქვთ გადასახდელი. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ თანხისა, რაც მშენე-

ბლობის დასრულებისთვისაა აუცილებელი,“ – ამბობს თოფურია.

როგორც „დექუსში“ განმარტავენ, იმ ადამიანებს, რომლებიც მათთან ახალ ხელშეკრულებას არ გააფორმებენ, ხელშეკრულება შეუწყდებათ, გადახდილი თანხა კი უკან მხოლოდ ფართის რეალიზაციის შემდეგ დაუბრუნდებათ. ხოლო მათ, ვისაც კუთვნილი ფართის ღირებულება სრულად აქვთ დაფარული, მაგრამ 18% დღგ-ის გადახდა არ სურთ, სტატუსი – ბინის მესაკუთრე ვერ მიენიჭებათ.

კიდევ უფრო დიდ გაურკვეველობაში აღმოჩნდნენ ხოშარაულის ქ. N29-ში მშენებარე ობიექტში ჩადებული თანხის მეპატრონეები. „ცენტრ პოინტის“ ინფორმაციით, ელიავას ბაზრობის მახლობლად, ხოშარაულის 29 ნომერში, „ცენტრ პოინტ სიტი“, იგივე „ქალაქი ქალაქში“ უნდა აშენებულიყო. პროექტის თანახმად, „ცენტრ პოინტ სიტის“ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსი და კომერციული დანიშნულების კომპი უნდა აშენებინათ. ამ ტერიტორიაზე დღემდე მხოლოდ ერთი კორპუსის მშენებლობაა დასრულებული.

„2002 წელს სახლი გავყიდე და აშშ-ში წავედი. ოჯახი ნაქირავებ ბინაში დავტოვე. წლების განმავლობაში ტაქსის მძღოლად ვმუშაობდი. თანხას ვაგროვებდი და აქ ვგზავნიდი, რომ ბინა გვეყიდა. „ცენტრ პოინტი“ 43 000 აშშ დოლარი მაქვს შეტანილი. ხოშარაულის 29-ში კუთვნილი 105 კვ.მ ფართის ბინა 2008 წლის თებერვალში უნდა ჩაგვბარებოდა. ჩამოვედი აშშ-დან და ოჯახი ისევ ნაქირავებ ბინაში დამხვდა. ბინა მე-11 სართულზე უნდა მიგველო. იმ კორპუსში მხოლოდ 6 სართულია აშენებული. მეუღლესთან და 2 შვილთან ერთად დღემდე ერთობასთან, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ. თუ „დექუსს“ დასრულებული ბინები აქვს, საახალწლო აქციაში რატომ ყიდის, ჩვენ მოგვცეს, იმ დაზარალებულებს, რომლებსაც კუთვნილი ფართის თანხა სრულად გვაქვს გადახდილი. „დექუსის“ ოფისში ხშირად მივდივარ. მაგრამ, რა ბედი მელის, დღემდე ვერ გავარკვიე. აქამდე კორპუსის წინ ამწე იდგა. ახლა ის ამწე სადღაც წაუღიათ. ალბათ, შენობის დასრულებას

არ აპირებენ. არ ვიცი, რა გავაკეთო,“ – ამბობს გურამ ზარნაძე.

„76 კვ. მ ფართის ბინა ხოშარაულის N29-ში მშენებარე კომპლექსში უნდა მიმელო. 28 500\$ შევიტანე. სულ 30 000\$ უნდა გადამეხდა. დარჩენილი თანხის გადახდაც შემეძლო. რომ ვნახე არაფერი კეთდებოდა, აღარ შევიტანე. იმ ადგილზე, სადაც კორპუსი უნდა აშენებულიყო, ადრე ხიმინჯები მაინც ჩანდა, ახლა ნავაგასაყრელია. აფხაზეთიდან დევნილი ვარ. არც სასტუმროში მიცხოვრია და არც კომპენსაცია ამიღია. მინდოდა, ჩემს შვილებს საკუთარი ქერი ჰქონოდათ. ბინისთვის თანხას 20 წელი ვაგროვებდი. მაგრამ, დღესაც ქირით ვცხოვრობთ. ახლა გაზეთში ვნახეთ განცხადება. ის მინის ნაკვეთი, სადაც ჩემი ბინა უნდა აშენებულიყო, იყიდება. როგორც გავიგეთ, „ცენტრ პოინტს“ „თიბისი ბანკის“ ვალი აქვს და ბანკმა ვალში მინის ნაკვეთი წაიღო. რა ბედი გველის იმ მოქალაქეებს, რომელთა კუთვნილი ბინები ხოშარაულის N29-ში უნდა ყოფილიყო? ამ კითხვაზე „დექუსისგან“ გარკვეული პასუხი დღემდე ვერ მივიღეთ,“ – ამბობს კიდევ ერთი დაზარალებული ქეთი ნარიაშვილი.

„იყიდება 12 200 კვ.მ მინის ნაკვეთი, დიდუბეში, ხოშარაულის ქუჩა N29-ში, ელიავას ბაზრობის შემდეგ. ფასი 1 491 589 \$,“ – ეს განცხადება გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ 2011 წლის 30 ნოემბერს განთავსდა. განცხადებაში მითითებულ სატელეფონო ნომერზე ადასტურებენ, რომ მინის ნაკვეთი გასაყიდად „თიბისი ბანკმა“ გაიტანა.

როგორც გაირკვა, „ცენტრ პოინტის“ ჯგუფში შემავალი კომპანიების ქონების აბსოლუტური უმრავლესობა დაყადაღებული, ან იპოთეკით დატვირთულია. ეს გარემოება საეჭვოს ხდის პატიოსანი მყიდველების მიერ გაღებული თანხის უკან დაბრუნებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო კომპანიას მათ სასარგებლოდ თანხის გადახდას დააკისრებს. შესაბამისად, დრამა, რომელიც 2 წლის წინ ქართული სამშენებლო ბაზრის ყველაზე მსხვილი კომპანიის გაკოტრებით დაიწყო, ათასობით დაზარალებული მომხმარებლისთვის ისევ გრძელდება. **□**

"მეხსიოს" იხზვივ დავა ბიძიდეზ

მამუკა ლლონტი „მეხსიოს“ გარშემო დავირისპირებაში – ხელისუფლების, კინმარიშვილი კი ივანიშვილის „უხილავ ხელს“ ხედავს.

მანანა ვარდიშვილი

„მეხსიოს“ ოკუპირებულია და იქ შესვლა საშიშა სიცოცხლისთვის, იმიტომ, რომ ჩვენთვის მუშაობა და ფუნქციონირება მუდმივი პრობლემაა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მიხილ სააკაშვილი მოვიდა, – ამ სიტყვებით დაიწყო სტუდია „მეხსიოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა ლლონტმა მედიის მხარდამჭერი აქცია პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან.

მამუკა ლლონტმა, „მეხსიოს“ ჟურნალისტებმა და სხვა მედიასამუშაოების წარმომადგენლებმა, პროტესტის ნიშნად ორფერიაში ლენტი ზუსტად ისე შემოიხივეს, როგორც სიცოცხლისთვის სახიფათო ნაგებობას ავლებენ ხოლმე ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით.

დამფუძნებელთა განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემდეგ „მეხსიოს“ მოქმედებამ ისე ქუჩაში გადაინაცვლა. აქცია სახელწოდებით „SOS – მედია საფრთხეშია“ პირველად ნუცუბიდის ქუჩაზე მდებარე პოლიციის შენობასთან გაიმართა. ორივე შემთხვევაში „მეხსიოელები“ პოლიციელებისგან მოითხოვდნენ, რომ მათ სტუდიის ოფისიდან იქ გამაგრებული მართვის კომპანიის დამფუძნებელი ეროსი კინმარიშვილი გამოეყვანათ. „როგორც შეაძვინეს, ისე გამოაძვინონ“, – 20 დეკემბრის აქციაზე ლლონტის მოთხოვნა კვლავ უცვლელი იყო.

იმ დროს, როცა ლლონტი „მეხსიოს“ ამბებში ხელისუფლების „უხილავ ხელს“ ხედავს, ეროსი კინმარიშვილი კონფლიქტის სათავედ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს და მის მიერ ტელეკომპანიების შექმნასთან დაკავშირებულ განცხადებებს მიიჩნევს.

„სიტუაცია არია და ის უკვე აღარ ჩანს“, – თქვა ჟურნალისტებთან საუბარში მმართველი კომპანიის დამფუძნებელმა. „ქართული ოცნების“ იდეის ავტორის პრეს-სამსახურში ამჯერად კინმარიშვილისთვის არ უპასუხიათ: განცხადება იმის შესახებ, რომ

ივანიშვილი „მეხსიოს“ შექმნას არ აპირებს, მათ წინა კვირაში რამდენჯერმე გაავრცელეს.

გაირკვა ისიც, რომ კინმარიშვილი მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად „მეხსიოს“ დამფუძნებლებისგან 7 მილიონ აშშ დოლარს ითხოვს. მმართველი კომპანიის დამფუძნებელი სამართლებრივი დავის დაწყებას ყენვის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოშიც აპირებს. წინა განცხადებებთან შედარებით, სადაც მმართველი კომპანიის დამფუძნებელი 4,5 მილიონ აშშ დოლარზე ამახვილებდა ყურადღებას, თანხა გაზრდილია. კინმარიშვილმა 16 დეკემბერს უკვე 7 მლნ აშშ დოლარად შეაფასა ის ინვესტიცია, რაც მან „მეხსიოს“ გასავითარებლად მოიზიდა.

„ბიძინა ივანიშვილმა კი არა, მთლად საქართველოს მოსახლეობამ რომ გაილოს ეს თანხა, კინმარიშვილი ერთ კაპიკსაც ვერ მიიღებს“, – ამგვარად უპასუხა ლლონტმა კინმარიშვილის მოთხოვნას „ლიბერალთან“ საუბრისას.

დაპირისპირების კიდევ ერთი თემა ილია კიკაბიძეს ეხება, რომელიც ლლონტისთვის „მეხსიოს“ ამჟამინდელი, კინმარიშვილისთვის კი ყოფილი გენერალური დირექტორია. კინმარიშვილი პროკურატურას მისი საქმიანობით დაინტერესებას სთხოვს, ლლონტი კი აცხადებს, რომ „კიკაბიძისნაირ პატიოსან ადამიანებს“ კინმარიშვილი ებრძვის.


„მეხსიოს“ დამფუძნებელთა ინფორმაციით, კომპანია „თურქსატი“, რომელიც „მეხსიოს“ სიგნალის სატელიტზე გაშვებას უზრუნველყოფს, ეროსი კინმარიშვილს უახლოეს დღეებში სიგნალს გაუთიშავს, რომელსაც, მათივე აზრით, მმართველი კომპანიის დამფუძნებელი მეკობრულად იყენებს. საგულისხმოა, რომ „მეხსიოს“ მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო თურქულ კომპანიასთან უკვე 4 სასა-

მართლო პროცესი აქვს ნაგებული. ლლონტის მტკიცებით, ამაზე პასუხისმგებლობაც ეროსი კინმარიშვილს უნდა დაეკისროს.

ურთიერთბრალდებების გამო „მეხსიოს“ ჟურნალისტებს მუშაობა ისევე ექსტრემალურ სიტუაციაში, რადიო „მეხსიოს“ შენობიდან უწევთ.

ეროსი კინმარიშვილი კი ასახელებს კონკრეტულ თარიღს – 2012 წლის 30 იანვარს, როცა ტელეკომპანია დაიწყებს ხელახალ მაუწყებლობას, მან ახალი შემადგენლობის დასაკომპლექტებლად კონკურსიც გამოაცხადა. „ლიბერალთან“ საუბარში კინმარიშვილმა თქვა, რომ 400-მდე განაცხადიც მიიღო, თუმცა ამ დრომდე უცნობია, თუ ვინ და რა პირობით აიყვანა „ვაკანტურ თანამდებობებზე“. მისივე თქმით, რამდენიმე დღეში „მეხსიოს“ ძველი ჟურნალისტებისთვის „კარი დაიხურება“, კინმარიშვილი მათ მოუწოდებს, რომ დათანხმდნენ მასთან მუშაობას. თუმცა, სტუდია „მეხსიოს“ ჟურნალისტები კინმარიშვილთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ.

გასულ კვირას ლლონტმა ტელეკომპანიის „ფეისბუქის“ გვერდზე გაავრცელა განცხადება: „გვაქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლებამ საკაბელო კომპანიებზე დაიწყო ზენოლა „მეხსიოს“ გამორთვის მიზნით. შეიძლება, სულ რამდენიმე დღედა დაგვრჩა მაუწყებლობის. „იმედი 2“-ის განხორციელება გადაწყვეტ ფაზაში შედის. თუ საზოგადოება დაუშვებს „მეხსიოს“ გათიშვას, მამინ საზოგადოება დაუშვებს გაყალბებულ არჩევნებსაც და მიშას სამუდამო მმართველობასაც. გადავარჩინოთ „მეხსიოს“!

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტელეკომპანიაში არსებული მდგომარეობის შესახებ მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში გააკეთეს განცხადებები, მას შემდეგ მმართველი გუნდი ამ პროცესს არ გამოხმაურებია. 

საქართველოს წინადასახელო ეთიკის ქართული

მედიის თვითმკაცრების ნაქადასახელო მსახურება

უკვე მეორე წელია, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართულ კვლევის არარსებობის გამო წესდებაში ვერ შეაქვს ამბიციური ცვლილება ქართული მედიის მანდატის გაფართოების შესახებ.

წინადასახელო

უნდა ჰქონდეს თუ არა ჟურნალისტური ეთიკის ქართული საბჭოს უფლება, განიხილოს განცხადება, რომელიც ეხება ქართული არანაწილი ჟურნალისტის მიერ ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების დარღვევას? 17 დეკემბერს გამართულ ქართული საერთო კრებაზე ეს მთავარი განსახილველი საკითხი იყო. თუმცა დარბაზში დამსწრეების რაოდენობა ეჭვს არ ტოვებდა, რომ ქართული წესდებაში ცვლილებების შესატანად საჭირო კვლევა არ შედგებოდა. ქართული 176 ხელმოწერიდან კრებაზე მხოლოდ 87 გამოცხადდა. კვლევისთვის კი კრებას წევრთა მინიმუმ 2/3 უნდა დასწრებულიყო.

„თუ საბჭოს არანაწილი ჟურნალისტებზე შემოსული განცხადებების განხილვა დაეკისრება, ამას ყველაზე ხშირად პოლიტიკური და სხვა ჯგუფები საკუთარი ინტერესებისთვის და მათთვის არაკომფორტული ჟურნალისტების წინააღმდეგ გამოიყენებენ. „სადავალ-დასადავალის“ ან „რეალ-ტივის“ ნებისმიერ პროექტზე შეიძლება რამდენიმე საჩივრის დაწერა. რით ნაადგება ეს ჟურნალისტურ ეთიკას?“ – კითხვას სვამს ქართული წევრი, ჟურნალისტი ირაკლი აბსანძე და განმარტავს, რომ თავის დროზე ეთიკის ქართულში ინდივიდუალურად ჟურნალისტების და არა მთლიანად მედია ორგანიზაციების განეწინააღმდეგება ნებაყოფლობითობის პრინციპის საზღვარსამეღალ იყო მოფიქრებული.

მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის 4 დეკემბერს დაარსებიდან დღემდე ჟურნალისტები ნებაყოფლობით და დამოუ-

კიდებლად უერთდებიან ეთიკის ქართულს, აშკარაა, რომ ქართული საქმიანობაში მონაწილეობის ენთუზიაზმით ბევრი მათგანი არ გამოირჩევა. მიზეზი წევრების პასიურობის გარდა თვითონ ეთიკის ქართული საბჭოს პასიურობაც შეიძლება იყოს. მაშინ, როცა სოციალურ ქსელებში პიკს აღწევს მომხმარებლების აქტიურობა სხვადასხვა სიუჟეტებისა თუ სტატიების განხილვისას, ეთიკის ქართული დუმს. „კა-

■ მიუხედავად იმისა, რომ ქართული ორწლიანი ისტორიაში ეს ერთ-ერთი ყველაზე განმარტებული საქმე იყო, გადანაწილებების გამოსატანად ქართული საბჭოს თითქმის 2 თვე დასჭირდა.

ხეთის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელის, ქართული საბჭოს წევრის გელა მთივლიშვილის თქმით, ქართული ჩაკეტილ წრეში ტრიალებს და „ცდება უმნიშვნელო საქმეებზე“, მაშინ, როდესაც მედიაში გაცილებით სერიოზული დარღვევებია.

„არაფერი გვიშლის ხელს, რომ აქტიურობა საკითხებზე განცხადება გავაგრძელოთ, ჩვენი აზრი დავაფიქსიროთ, ამისთვის კვლევა არ არის საჭირო,“ – განაცხადა მთივლიშვილმა ქართული საერთო კრებაზე. მის აზრს „რადიო თავისუ-

ფლების“ ჟურნალისტი გოგა აფციაურიც დაეთანხმა და განაცხადა, რომ განმარტებულ ჟურნალისტურ მასალებზე განმარტებების გასაკეთებლად ქართული წესდებაში ცვლილების შეტანა სულაც არ სჭირდება.

17 დეკემბრის საერთო კრებაზე ქართული საბჭო, სარევიზიო კომისია და ქართული წევრები სწორედ იმის გარკვევას ცდილობდნენ, მართლა უმნიშვნელო საქმეებზე ცდება ქართული თუ უკვე არსებობს ორწლიანი მუშაობის შედეგი. თუ ქართული საბჭო წარმატებულ ნაბიჯად ქართულითვის პირველი ფინანსების მოზიდვას ასახელებდა, სარევიზიო კომისია ამ ფინანსების აუთენტიციურობაზე საუბრობდა. კრებაზე შეკრებილები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ ქართული ცნობადობა სასურველზე ბევრად ნაკლებია. ასეთ ვითარებაში კი ქართული საქმიანობის რეკლამირებისთვის მოპოვებული ფინანსების გამოყენებლობა განსაკუთრებით თვალშისაცემია. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს ქართული საბჭოს წევრები განსაკუთრებულ აქტიურობას გეგმავდნენ, არც ქართული მიერ განხილული საჩივრების რაოდენობაა შთამბეჭდავი. 2-წლიანი მუშაობის შემდეგ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართული ოფიციალურ ვებგვერდზე სულ 9 საჩივარი და 7 გადანაწილება დევს. თუმცა ამ გადანაწილებების ობიექტურობაც რამდენჯერმე დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ.

ერთ-ერთი ყველაზე განმარტებული გადანაწილება ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტს, ნათია კობერიძეს ეხებოდა.

კობერიძე „მოდელირებულ ქრონიკასთან“ დაკავშირებით საბჭომ 2010 წელს ქარტიის პირველი მუხლის („ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“) დარღვევაში დაადანაშაულა. თუმცა მაშინ ჟურნალისტი არ დაეთანხმა გადანყვეტილებას, ქარტიის საბჭო სადამსჯელო მექანიზმად შეაფასა და ხელმონერაც გაითხოვა.

გასული წლის ბოლოს ქარტიის საბჭომ კიდევ ერთხელ დაადგინა ქარტიის დარღვევის ფაქტი. ამჯერად „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ჟურნალისტის, გელა მთივლიშვილის მხრიდან. მაშინ მთივლიშვილიც, კობერიძის მსგავსად, გადანყვეტილებას არაობიექტურად აფასებდა და განმარტავდა, რომ ეთიკის ქარტია უნდა ყოფილიყო „არა ჟურნალისტების დასასჯელად, არამედ მათ მხარდასაჭერად და შეცდომების გამოსასწორებლად.“

ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორი, ჟურნალისტი ნინო ჯანგირაშვილი ეთიკის ქარტიის ხელმომწერი და ქარტიისგან მეტ აქტიურობას ელოდა. „ქარტიის მთავარი ხიბლი ჩვენთვის, ხელმომწერებისთვის, სწორედ ის რეკომენდაციები უნდა ყოფილიყო, რომელსაც ჩვენ მივიღებდით ჩვენს საქმიანობაში შეცდომის დაშვების შემთხვევაში. მე არაფერში მჭირდება დამატებითი აკრძალვები, თუ ეს რამე სასარგებლოს არ მომცემს,“ – აცხადებს ჯანგირაშვილი და იხსენებს ქარტიის განხილულ საჩივარს, როდესაც ფონდმა „ინკლუზივმა“ ეთიკის ქარტიის დარღვევისთვის ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტს ალექსანდრე ელისაშვილს უჩივლა.

მიუხედავად იმისა, რომ ქარტიის ორწლიან ისტორიაში ეს ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე იყო, გადანყვეტილების გამოსატანად ქარტიის საბჭოს თითქმის 2 თვე დასჭირდა. თუმცა, როგორც ჟურნალისტი ალექსანდრე ელისაშვილი აცხადებს, საბჭოს გადანყვეტი-

ლების ნაწილს არ მოჰყოლია შესაბამისი კონკრეტული რეკომენდაციები.

ეთიკის ქარტიის საბჭოს თავმჯდომარე ზვიად ქორიძე არ უარყოფს ქარტიის საბჭოს მუშაობის ტექნიკური ხარვეზების არსებობას, მაგალითად, საბჭოში გადანყვეტილების მიღების გაჭიანურებას, თუმცა ქარტიის პრობლემებს ქარტიის, როგორც იდეის, სისუსტეს არ მიაწერს.

„ქარტიის ყველაზე დიდი გამოწვევა და პრობლემაც არის ის, რომ მაქსიმალურად ბევრი ადამიანი დაინტერესოს

უნდა გამოხატავდეს და არა ჟურნალისტების,“ – აცხადებს ქორიძე და განმარტავს, რომ ჟურნალისტების დაინტერესება თვითრეგულირების მექანიზმის არსებობაში ისედაც ნათელია:

„თუ არ იარსებებს მედიის თვითრეგულირების ქმედითი მექანიზმი, არის შანსი, რომ გაჩნდეს მოთხოვნა ამ სფეროს საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებისა, რაც საქართველოს რეალობაში ძალიან დიდი საფრთხეა თავისუფალი სიტყვისთვის.“

17 დეკემბრის საერთო კრებაზე ქარტიის თავმჯდომარედ მეორე ვადით არჩეული ზვიად ქორიძე ქარტიის მომავალი მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებად სამოქალაქო სექტორთან და უშუალოდ მედიის მომხმარებელთან მუშაობის გააქტიურებას მიიჩნევს, თუმცა აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია სამუშაო უშუალოდ ჟურნალისტებთან, რათა უფრო ნათელი გახდეს, რას უნდა ელოდნენ ქარტიაში განვერიანებისგან ან ქარტიის საქმიანობისგან.

17 დეკემბერს ქარტიის საერთო კრებაზე საბჭოს სამ წევრს ელისო ჩაფიძეს (გაზეთი „რეზონანსი“), თედო ჯორბენაძეს (გაზეთი „ბათუმელები“) და ხათუნა გოგაშვილს (რადიო „ჰერეთი“) უფლებამოსილების ვადა ამოეწურათ. მათ ნაცვლად ქარტიის ხელმომწერებმა ახალი წევრები – დავით მჭედლიძე (www.media.ge), ნათია კუპრაშვილი (რეგიონულ მასშტაბზე ასოციაცია) და ნათია როყვა („ტელეარხი 25“) აირჩიეს.

ქარტიის წევრები შეთანხმდნენ, რომ 2012 წელს რიგგარეშე კრება გაიმართება, სადაც საბჭოს მანდატის გაზრდის საკითხს უკვე მესამედ დააყენებენ. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქარტიის წევრები შეძლებენ კვორუმის შეკრებას და წესდებაში ცვლილებების შეტანით ქარტიის მანდატის გაფართოებას, ძნელი სათქმელია, მოახერხებს თუ არა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ქმედითი თვითრეგულირების მექანიზმად ჩამოყალიბებას. ■



ზვიად ქორიძე ქარტიის არჩევნებზე, 17 დეკემბერი 2011

ფოტოს: ლევან ხარაჯიანი



გრაფიკული მასალები სურათი ქირითადად / შირაზაშვილი

ჰიოხუხატუხა მახთანი, თითქმის ყოვეთვის

ქართული მართლმსაჯულების სისტემაში სისხლის სამართლის საქმეებზე გამამართლებელი განაჩენი ძალზე იშვიათად დგება.

ზურაბ ვარდიაშვილი

ამ ტენდენციას სასამართლო იმით ხსენის, რომ პროკურატურას სასამართლოში „საფუძვლიანად დამუშავებული“ საქმეები მიაქვს და სასამართლო პროცესებს იგებს კიდევ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებადამცველთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს შედეგი სასამართლოზე პროკურატურის გავლენის მაჩვენებელია.

სტატისტიკა

2011 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 13 319 ბრალდებულებიდან მხოლოდ 30 გამამართლეს, რაც საერთო ოდენობის 1,7%-ია. გასულ წელს 13 951 ბრალდებულებიდან 8 ადამიანი, ანუ 0,2% გამართლდა. ბრალდებულთათვის გაცილებით მძიმე 2007 წელი იყო. ამ წელს სასამართლოებმა 21 246 პირიდან მხოლოდ 13 პირი გაამართლეს, რაც ბრალდებულთა 0,1%-ს შეადგენდა.

მიზანი – „მომზადებული პროკურატურა“ თუ „წულოვანი ტოლერანტობა“?

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელის, თამარ ჩუგოშვილის აზრით, გამამტყუნებელ განაჩენთა თითქმის 100%-პროცენტიანი მაჩვენებელი სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ნულოვანი ტოლერანტობის შედეგია. სასამართლო საქმეების აბსოლუტურ უმრავლესობაში პროკურატურის ვერსიას იზიარებს „მიუ-


ხედავად იმისა, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება“.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა მეიშვილმა „კავკასიური ინსტიტუტის“ ორგანიზებით პარასკევს, 16 დეკემბერს გამართულ დისკუსიაზე განაცხადა, რომ საგამოძიებო ორგანოები სასამართლოს იმ შემთხვევებში მიმართავენ, როდესაც საქმე საფუძვლიანად აქვთ დამუშავებული და ამიტომ ბრალდებულთა გამართლების ალბათობაც მცირეა.

ჩუგოშვილი ამ არგუმენტს არ იზიარებს: „არ მიმაჩნია, რომ გამამტყუნებელ და გამამართლებელ განაჩენთა ასეთი პროცენტული შეფარდება პროკურატურის ბრწყინვალე მუშაობითაა განპირობებული. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც გამოიძიება მართლაც კარგად მუშაობს, არ არის ასეთი მაჩვენებელი.“

ჩუგოშვილის აზრს, საერთაშორისო ორგანიზაცია „Human Rights Watch“- ის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში გიორგი გოგიაც ეთანხმება. მისი თქმით, „გამამართლებელ განაჩენთა ასეთი მცირე რაოდენობა შემფოთების საფუძველია“. თამარ ჩუგოშვილის მსგავსად, გიორგი გოგიაც მიიჩნევს, რომ „გამამტყუნებელ განაჩენთა ასეთ მაღალ მაჩვენებელს საფუძვლად ზედმეტად მკაცრი და შეუნყარებელი სისხლის სამართლის პოლიტიკა უდევს“.

გიორგი გოგია ერთ კონკრეტულ შემთხვევას იხსენებს: „65 წლის მოხუცს 35 ლარის ღირებულების ფიცრების ქურდობისთვის ერთი წლით პატიმრობა შეუფარდეს. ზიანის ასეთი მცირე რაოდენობა სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი საერთოდ არ უნდა გამხდარიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, არა მარტო სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, არა-



მედ გამამტყუნებელი განაჩენიც დადგა.“

„Human Rights Watch“-ის წარმომადგენელი ხელისუფლებას „განსაკუთრებულად მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის“ შერბილებას ურჩევს. მისი აზრით, „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, სავარაუდოდ, დანაშაულის პრევენციას ემსახურებოდა, მაგრამ, გრძელვადიან პერსპექტივაში ამ პოლიტიკას უფრო მეტი პრობლემებისკენ მივყავართ“.

საპროცესო შეთანხმება სასამართლოსადმი –

უნდოვლოვანი მარცხი?

„გამამართლებელ განაჩენთა ასეთი სიმცირე, სასამართლოსადმი ნდობას აქვეითებს“, – ამბობს თამარ ჩუგოშვილი. მისი აზრით, სწორედ დაბალი ნდობა იმის მიზეზი, რომ სისხლის სამართლის საქმეთა დიდი უმრავლესობა საპროცესო შეთანხმებით სრულდება.

„მოქალაქეებს სასამართლოს მეტი ნდობა რომ ჰქონდეთ, საპროცესო შეთანხმებათა რიცხვი ბევრად უფრო ნაკლები იქნებოდა. გვქონია შემთხვევები, როდესაც ადამიანები თავს დამნაშავეებად არ მიიჩნევდნენ, მაგრამ ზუსტად იცოდნენ, რომ სასამართლოში დამარცხდებოდნენ. მათ ერჩიათ, ეღიარებინათ დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენიათ, და სასჯელის შემსუბუქების იმედით პროკურატურასთან ეთანამშრომლათ. ამ მოტივით ძალიან ბევრი ადამიანი მოქმედებს“, – ამბობს „საიას“ ხელმძღვანელი.

„რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობას, კერძოდ, გამამტყუნებელი განაჩენების ძალზე მაღალ მაჩვენებელს, მკაცრი სასჯელების პოლიტიკასა და მართლმსაჯულების მიმართ მოსახლეობის დაბალ ნდობას ნამდვილად შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ბრალდებულზე და მან, უდანაშაულობის შემთხვევაშიც კი, ბრალი აღიაროს, რაც მართლმსაჯულების სისტემის მოშლას გამოიწვევს“, – ნათქვამია ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, ტომას ჰამერბერგის ანგარიშში, რომელშიც საქართველოს სასამართლო სისტემის მუშაობა შეფასებული. კომისარი მთელ რიგ ნაკლოვან მხარეებს განიხილავს და მათი გამოსწორების მიზნით, ხელისუფლებას რეკომენდაციებით მიმართავს.

■ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა მენიშვილმა „კავკასიური ინსტიტუტის“ ორგანიზებით 16 დეკემბერს გამართულ

დისკუსიაზე განაცხადა, რომ საგამოძიებო ორგანოები სასამართლოს იმ შემთხვევებში მიმართავენ, როდესაც საქმე საფუძვლიანად აქვთ დამუშავებული და ამიტომ ბრალდებულთა გამართლების ალბათობაც მცირეა.

უზენაესი სასამართლოს სტატუსის ხიზნაობა

2011 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, სისხლის სამართლის საქმეების 87,3% საპროცესო შეთანხმებით დასრულდა.

ბუნებრივი ბუნებრივი სიხარბის ბუნებრივი მიზეზი ხდება

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „Human Rights Watch“-ის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში გიორგი გოგია ამბობს, რომ გამამტყუნებელ განაჩენთა სიმრავლე ციხეების გადაჭვირვითის მიზეზი ხდება. „ასეთი პოლიტიკა იწვევს პატიმართა რაოდენობის ზრდას და საპატიმროების გადაჭვირვითას, რასაც სხვა ბევრი ადამიანის უფლების დარღვევისკენ მივყავართ“.

„ჩვენი მდგომარეობა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის კარგადაა ცნობილი“, – ამბობს თამარ ჩუგოშვილი – „ისინი ვითარების გამოსასწორებლად საკმაოდ დიდ ძალისხმევას იჩენენ და გვეხმარებიან როგორც რეკომენდაციებით, ისე ფინანსური რესურსით“.


„სხვა ქვეყნებშიც ასეა“

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი ნანა ვასაძე მიიჩნევს, რომ გამამართლებელ განაჩენთა მაღალი მაჩვენებელი სამართლიან სასამართლოსთან არ ასოცირდება. ამის დასადასტურებლად მას საერთაშორისო პრაქტიკა მოჰყავს.

„სიტუაცია არცთუ ისე რადიკალურად განსხვავებული მოგეჩვენებათ, თუკი საქართველოს მონაცემებს უსწავთათა ქვეყნების სივრცეს შევადარებთ. მეტიც, საქართველო მონაცემებით უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა: იაპონია, სამხრეთ კორეა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლატვია“, – აცხადებს ვასაძე.

როგორც გიორგი გოგია ამბობს, სხვადასხვა ქვეყნის პროცენტული მონაცემებით მსჯელობა არაფრის მთქმელია, მისი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია „ვისაუბროთ არა იმაზე, თუ რომელ ქვეყანაში გამამტყუნებელ და გამამართლებელ განაჩენთა როგორი რაოდენობაა, არამედ იმაზე, დაცვის რა მექანიზმები არსებობს შერჩევითი და თვითნებური სამართლის თავიდან ასარიდებლად“.

თამარ ჩუგოშვილის თქმით, საქმეების 50, ან 70%-ს, მართალია, არცერთი ქვეყნის პროკურატურა არ აგებს, მაგრამ გამამართლებელი განაჩენების ისეთი დაბალი პროცენტული მაჩვენებელი, როგორც ქართული მართლმსაჯულების სისტემაში დგება, იშვიათია.

„ხელისუფლება ხშირად აცხადებს, რომ შეერთებულ შტატებშიც ასეა, თუმცა ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. სხვადასხვა შტატში განსხვავებულ მონაცემებს ვხვდებით, მაგრამ ფედერალური მასშტაბით გამამართლებელ განაჩენთა წილი 14-16 პროცენტზე ნაკლები არ არის, მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში კი ეს პროცენტი გაცილებით მაღალია“, – ამბობს „საიას“ თავმჯდომარე. 



რადიოქალაქი წარმოგიდგენთ

ყოველ სამუშაო დღეს

17:30

გადაცემას

დღის ბიზნეს სტუმარი
მანია ჯავახიშვილთან ერთად

გადაცემას წარმოგიდგენთ



ელიტ ელექტრონიკსი
ELIT ELECTRONICS

ქალაქზე დახრენილი სახუთიხაბა



მათ მინა კანონის დაცვით ჰქონდათ დარეგისტრირებული. ეს საჯარო რეესტრის ამონაწერიც დასტურდება. თუმცა, მოულოდნელად მესაკუთრეებმა აღმოაჩინეს, რომ მათი მინის ნაკვეთის ერთი ნაწილი თბილისის მერიის ქონების სააგენტომ გადაირეგისტრირა.

სალომე ცეცხლაძე

კერძო მესაკუთრეებს „გადარეგისტრირების“ მიზეზად ის დაუსახელეს, რომ საჯარო რეესტრის ახალ შექმნილ ელექტრონულ სისტემაში მათი ნაკვეთი არ იძებნებოდა და, საერთოდაც, ვერ დგინდებოდა, თუ სად ჰქონდათ საკუთრება.

ხათუნა მიქელაძის მინის ნაკვეთი

ხათუნა მიქელაძე მარტოხელა დედაა. ახლა ორ შვილთან ერთად დედასთან ცხოვრობს. ოთხშულიანი ოჯახის შემოსავალიც მხოლოდ ხათუნას დედის

100-ლარიანი პენსიაა. მისი ერთადერთი საკუთრება გლდანში არსებული მინის ნაკვეთი იყო. მინაზე სახლი უდგას, ხეხილი აქვს, ბოსტნეული მოჰყავს.

„სახლი ისე ვერ გავაკეთეთ, რომ საცხოვრებლად გადავიდეთ, მაგრამ თითქმის ყოველდღე ავდივართ. ვუვლით ხეხილს, ბოსტნეული არ მოგვკლებია ზაფხულში. რას იზამ, ჭირს ცხოვრება“, – გვიყვება ხათუნა მიქელაძე.

ხათუნა საჯარო რეესტრში მივიდა და მინის ნაკვეთის დაზუსტებული სახით რეგისტრაცია მოითხოვა. საქმე ისაა,

რომ ერთიანი ელექტრონული სისტემის შემოღებამდე მინის ნაკვეთების ნახაზებს ხელით ასრულებდნენ. ერთიანი ელექტრონული სისტემის შემოღების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ხელით შესრულებული ნახაზები ზუსტი არ იყო. ამიტომ, ერთიანი ელექტრონულ სისტემაში დასარეგისტრირებლად მესაკუთრეებს საჯარო რეესტრში მინის ნაკვეთის საკუთრების ელექტრონული აზომვითი ნახაზი უნდა წარედგინათ.

სწორედ ასეთი ნახაზი წარადგინა საჯარო რეესტრში ხათუნა მიქელაძემ.

„რეესტრში მითხრეს, ეს მინა შენი არაა, ზედდება ფიქსირდება და მომიჯნავე მინის ნაკვეთში იჭრებაო. აღმოჩნდა, რომ 2011 წელს ჩემი მინის ნაკვეთის ნაწილი ქალაქ თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს დაურეგისტრირებია“, – ამბობს ხათუნა მიქელაძე.

არადა, საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ ხათუნა მიქელაძე გლდანში, რადიოქარხნის ტერიტორიაზე 800 კვ.მ დაუზუსტებელ ფართს ჯერ კიდევ 1999 წლიდან, ანუ იმ დროიდან ფლობდა, როდესაც არ არსებობდა მინის საკუთრების ერთიანი ელექტრონული სისტემა. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტომ სწორედ ამ 800 კვადრატული ფართის ნაკვეთიდან 300 კვადრატულ მეტრზე მეტი მინა საკუთრებად დაირეგისტრირა.

მიქელაძემ საკუთარ ქონებაზე უფლების აღდგენა მოითხოვა. ამ მიზნით მან სასამართლოში ორი დოკუმენტის ბათილად ცნობა მოითხოვა: პირველი – საჯარო რეესტრისათვის ქონების მართვის სააგენტოს მიერ წარდგენილი მოთხოვნა მინაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე; და მეორე – გადანყვეტილება რეესტრის მიერ მინის სააგენტოსათვის საკუთრებაში დარეგისტრირების შესახებ.

სასამართლოში ხათუნა მიქელაძის ინტერესებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი ლიკა ნიკლაური იცავს. ის ამბობს, რომ კანონით ადმინისტრაციული ორგანო (ამ შემთხვევაში, ქონების მართვის სააგენტო და საჯარო რეესტრი) ვალდებულია, საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება გამოიკვლიოს და გადანყვეტილება ისე მიიღოს.

„საჯარო რეესტრის შესახებ კანონი პირდაპირ ამბობს, რომ საჯარო რეესტრის თანამშრომლები პასუხისმგებელი არიან რეგისტრირებული მონაცემების ურთიერთშესაბამისობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საჯარო რეესტრს უნდა გადაემოწმებინა, ვინმეს საკუთრებაში ხომ არ იყო მინა“, – განმარტავს ლიკა ნიკლაური.

სასამართლო შესაგებელში საჯარო

რეესტრი ბრალდებებს უარყოფს და არ-გუმენტად იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებას იშვავს.

„მარეგისტრირებელი ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას, მოახდინოს ხათუნა მიქელაძის საკუთრების უფლებით ადგილობრივ კოორდინატებში რეგისტრირებული მინის ნაკვეთის იდენტიფიცირება GS 84 კოორდინატთა სისტემაში. შესაბამისად, არ დასტურდება ის გარემოება, რომ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის საზღვრებში მოქცეულია იმ მინის ნაკვეთის ნაწილი, რომელიც ხათუნა მიქელაძის უფლებით არის რეგისტრირებული“, – ვკითხულობთ რეესტრის შესაგებელში.

მეორე შესაგებელში ასახულია მეორის პოზიცია, რომლის თანახმადაც მოქალაქის უფლებები არ დარღვეულა, რადგან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მინისა და მომჩივანის მინის ნაკვეთის კოორდინატები არ ემთხვევა ერთმანეთს. გარდა ამისა, ვერ ხერხდება მოქალაქის მინის იდენტიფიცირება.

„როცა ხათუნა მიქელაძემ მინა დაირეგისტრირა, მაშინ მოქმედი კანონმდებლობა ელექტრონული ნახაზის წარდგენის ვალდებულებას არ ითვალისწინებდა. მინის რეგისტრაციისას უნდა შედგენილიყო საკადასტრო რუკა, სადაც წერია, სად მდებარეობს მინა და საიდან რა ესაზღვრება. ასევე, რეესტრში იდო მიქელაძის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელზეც იყო აღნიშნული მიქელაძის მინის ნაკვეთის კონფიგურაცია, მომიჯნავე ნაკვეთები და ობიექტები. ამ დოკუმენტაციის გამოკვლევისა და შეფასების შემთხვევაში რეესტრს შეეძლო დაედგინა, მინის მდებარეობა და იგივე ობიექტზე სხვისი უფლება არ დაერეგისტრირებინა“, – ამბობს ლიკა ნიკლაური.

იმისთვის, რომ მინის იდენტიფიცირება გაადვილებოდათ, ხათუნა მიქელაძემ სასამართლოს მეზობლის საკუთრების მონმობაც წარუდგინა. ამ დოკუმენტში, მოსაზღვრედ მიქელაძის ნაკვეთია მითი-

**ქაჩისხაბა, თუ ახა
პასუხისმგებლობა საჯარო რეესტრს?**

ეკა ბოკუჩავას აზრით, როგორც მიქელაძის, ისე მექანარიშვილის შემთხვევაში, საკუთრების ხელყოფასთან გვაქვს საქმე. ამ საქმეებზე სასამართლომაც მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების, და არა, მოქალაქეების, პოზიციიდან იმსჯელა. „ამ ადამიანებმა მინა მანამდე დაირეგისტრირეს, ვიდრე საკუთრების რეგისტრაციისას ელექტრონული ნახაზების წარდგენა აუცილებელი იქნებოდა. თან, თუ საჯარო რეესტრი ადამიანს ეუბნება, ვერ ვპოულობ შენს საკუთრებას, ან არ შემიძლია იმის გადამოწმება, რომელიც ელექტრონულად არ არის დარეგისტრირებული, თვითონ გამოდის დამნაშავე, კანონდამრღვევი. მაშინ რატომ დაურეგისტრირა მესაკუთრეს მინა თავის დროზე? ამასთან, არც ახალი კანონი მოითხოვს, რომ მესაკუთრეებმა თავიანთი რეგისტრაცია უნდა განახლოონ“, – ამბობს „საერთაშორისო წარმომადგენლობა – საქართველოს“ წარმომადგენელი ეკა ბოკუჩავა.

თებული. „ნახაზზე კარგად ჩანს, ამ მინის ნაკვეთიდან საით და რამდენია ჩემი ფართი. დოკუმენტით დასტურდება, რომ ვარსებობ და იმას თუ დაურეგისტრირა მინა საჯარო რეესტრმა, მე სად წავედი?“ – კითხვას სვამს ხათუნა მიქელაძე.

ქონების მართვის სააგენტოში ამბობენ, რომ თვითმმართველი ერთეულის მიერ საკუთრებაში დარეგისტრირებული ნაკვეთი და ხათუნა მიქელაძის ფართი ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. მიმდებარე ტერიტორია შესაძლებელს ხდის, რომ მოქალაქემ მერიის საკუთრებაში არსებული მინის მომიჯნავედ არსებული მინა გადაფარვის გარეშე დაირეგისტრიროს.

„ქონების მართვის სააგენტოდან სასამართლოზე მითხრეს, სად იყო შენი მინა, ალბათ, იქ უკანო. არ მინდა იქ, ჯერ ერთი გამოუსადეგარი ადგილია და მეორეც, რა გარანტია მაქვს, რომ ხვალ

ჩემნარი არ მომადგება და დავას არ დამინყებს. რატომ უნდა დაეუთმო მაგათ მინა, როცა მე მანამდე დავსახლდი?! მინდა ჩემი ეზო ჩემს საკუთრებაში იყოს. სამას კვ.მ-ზე მეტი ფართი წამართვეს“, – ამბობს ხათუნა მიქელაძე.

საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მირანდა ერემაძემ გადაწყვიტა, რომ ხათუნა მიქელაძის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სასამართლომ იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის ბრძანებით იხელმძღვანელა და იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის ბრძანებაც მოიშველია, რომელიც მინის დარეგისტრირებისას ელექტრონული ნახაზის წარმოდგენას ითვალისწინებს. იურისტები მიიჩნევენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ბრძანებებზე არ უნდა დაეფუძნებინა, რადგან მესაკუთრემ ჯერ კიდევ მაშინ დაირეგისტრირა ნაკვეთი, როდესაც ეს ბრძანებები არც კი არსებობდა.

„სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება „თვითმმართველობის შესახებ კანონითაც“ გაამყარა, სადაც მითითებულია, რომ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული მინა, იმ მინის გარდა, რომელიც კერძო მფლობელობაშია, თვითმმართველობის საკუთრებას წარმოადგენს.

„ჩვენც მაგას ვამტკიცებდით, რომ სადავო მინა იყო ხათუნა მიქელაძის კერძო საკუთრებაში. სასამართლო თვითმმართველობის აქტის კანონიერება-უკანონობაზე არსებითად არც კი მსჯელობს, მხოლოდ კანონის მუხლები აქვს მითითებული, თუმცა კონკრეტული გასაჩივრებული აქტის კანონიერება/უკანონობის სამართლებრივად არ აფასებს“, – ამბობს ლიკა ნიკლაური.

სანამ საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში გრძელდება, ხათუნა მიქელაძე საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტსა და იუსტიციის მინისტრს წერს წერილებს და თავისი საკუთრების საკითხის შესწავლას სთხოვს.

„ვარ მარტოხელა დედა – მყავს ორი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი და შეზღუ-

დული შესაძლებლობების მქონე (პირველი ჯგუფის ინვალიდი) დედა. არ გამაჩნია სახლი და ერთადერთი თავშესაფარი ეს მინის ნაკვეთია“, – ამბობს იგი.

ვაჟა მექანარიშვილის მინის ნაკვეთი

ვაჟა მექანარიშვილმა 2006 წელს ნორიში ათასი კვ.მ ჰექტარი მინის ნაკვეთი შეიძინა და ამავე წელს საჯარო რეესტრშიც დაირეგისტრირა. მინის ნაკვეთი, ხათუნა მიქელაძის საკუთრების მსგავსად, მაშინდელი კანონმდებლობის დაცვით, დაუზუსტებლად იყო დარეგისტრირებული. 2011 წელს საჯარო რეესტრში მისულს უთხრეს, რომ იყო მინის ნაკვეთების „გადაფარვა“, ე.წ. ზედდება. ამის გამო თქვენ მიერ წარმოდგენილი მინის ნაკვეთი მეზობელი მინის ნაკვეთის საზღვრებში იჭრებაო.

„ჩემი ნაკვეთი ბოძებითაა შემოსაზღვრული, მიხვდები, რომ ვილაცას ეკუთვნის. ამის მიუხედავად, მერიას ჩემი ათასი კვ.მ-დან დაახლოებით 600 კვ.მ. დაურეგისტრირებია. საბოლოოდ, საჯარო რეესტრში განმიცხადეს, რომ ის კი არა, თურმე მე შევიჭერი მერიის ნაკვეთში და უარი მითხრეს განახლებული წესით რეგისტრაციაზე“, – გვიყვება ვაჟა მექანარიშვილი.

იგი ამბობს, რომ განახლებული წესით დარეგისტრირება მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ მთელი სამეზობლო არეგისტრირებდა. რეესტრში ორ მეზობელთან ერთად მივიდა. მინები იმათ დაურეგისტრირეს, მექანარიშვილს – არა. მექანარიშვილის თქმით, მოგვიანებით რამდენიმე მეზობელსაც მსგავსი პრობლემა აღმოაჩნდა.

საჯარო რეესტრმა შესაგებელში აღნიშნა, რომ მექანარიშვილის შემთხვევაში პრეზიდენტის 2010 წლის ბრძანებით იმოქმედა. საჯარო რეესტრში მერიის ქონების მართვის სააგენტომ დოკუმენტები კანონის დაცვით წარმოადგინა და მინაც ამიტომ დაურეგისტრირდაო, განმარტავს საჯარო რეესტრი. იმავეს ამბობს ქონების მართვის სააგენტოც. ხათუნა მიქელაძის შემთხვევის მსგავსად, სააგენტომ აქაც ხაზი იმ გარემოე-

ბას გაუსვა, რომ მინის იდენტიფიკაცია არ მტკიცდებოდა.

„მიუხედავად იმისა, რომ ნახაზში ზუსტადაა მითითებული კოდი, კვარტალი, ზონა, საჯარო რეესტრისთვის მინც შეუძლებელია, დაადგინოს, სადაა ჩემზე დარეგისტრირებული ნივთი. ეს ნიშნავს, რომ საჯარო რეესტრი ვერ ახორციელებს თავის ფუნქციას და ვერ იცავს მოქალაქის საკუთრების უფლებას“, – ამბობს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი ილია ჭანტურაია, რომელიც მექანარიშვილის ინტერესებს იცავს.

ვაჟა მექანარიშვილის თქმით, მან ისე დაირეგისტრირა მინა, როგორც მოსთხოვეს:

„კოორდინატები არ ზუსტდებაო. მე როგორც მომთხოვეს, ისე დავარეგისტრირე მინა. არავის არ უთქვამს, განახლებული რეგისტრაცია, თორემ, შესაძლოა საკუთრება დაკარგოო. გამოდის, რომ მაქვს საკუთრება, მაგრამ მხოლოდ ფარატიანა ფურცელზე“, – ამბობს მექანარიშვილი.

მისი თქმით, ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა რამდენჯერმე უთხრეს, ჩაიჩოჩე და გვერდით დაირეგისტრირე მინაო. მექანარიშვილი ამბობს, რომ მის ირგვლივ ყველა ნაკვეთი დარეგისტრირებულია, შესაბამისად „ჩაიჩოჩებასაც“ ვერ ახერხებს.

„ჩემი ათასი კვ.მ მიწიდან, მხოლოდ ოთხასი კვ.მ. დარჩა. მეუბნებიან, თუ გინდა მაგას დაგირეგისტრირებთო. მე ჩემი მთლიანი საკუთრება მინდა“, – ამბობს მექანარიშვილი.

სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა, რომ ვაჟა მექანარიშვილის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. მან პრეზიდენტის 1999 წელს მიღებული ბრძანებულებით იხელმძღვანელა, რომელიც საკუთრების რეგისტრაციისას UTM პროექციით (ელექტრონულად) შესრულებულ აზომვითი ნახაზის წარდგენას ითხოვს. თუმცა, ეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ შესასრულებელი არ იყო, რაც ეწერა კიდევ იმავე ბრძანებულებაში.

ბრძანებულების ეს ნაწილი მოსამართლემ საკუთარ გადაწყვეტილებაში არც კი მოიხსენია. არადა, იმავე დოკუმენტ-

ში ვკითხულობთ: „ქვეყნის ტერიტორიის ახალი სახელმწიფო გეოდეზიური ქსელით მერკატორის პროექციაში შექმნილი ტოპოგრაფიული რუკებით თანდათანობით დაფარვამდე პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებულ იქნას დღეისთვის არსებული გეოდეზიური ქსელები და ტოპოგრაფიული რუკები“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იურისტი ეკა ბოკუჩავა ამბობს, რომ მოსამართლე თავის გადაწყვეტილებაში ამ ბრძანებულებას არ უნდა დაყრდნობოდა, რადგან იგი მოქალაქის პოზიციას უფრო ამყარებს, ვიდრე – სახელმწიფო სტრუქტურებისას. ანუ, პრაქტიკულ საქმიანობაში ელექტრონულ ნახაზებს არ იყენებდნენ და ხელით შესრულებულ საკადასტრო ნახაზებს სჯერდებოდნენ. ზუსტად ასეთი გზით დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთი ვაჟა მექანარიშვილმა.

მოსარჩელემ საქმე საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში წააგო. ახლა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება.

საჯარო რემსტრის პოზიციები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრიდან მოგვწერეს, რომ ვაჟა მექანარიშვილისა და ხათუნა მიქელაძის საკუთრების უფლება არ დარღვეულა, რადგან „მათთვის საკუთრება არავის ჩამოურთმევია“.

მათი თქმით, რადგან მაიდენტიფიცირებული ტექნიკური საშუალებები ქვეყანაში 2007 წლის ბოლოდან შემოვიდა, საჯარო რეესტრს არ შეუძლია მანამდე დარეგისტრირებული ნივთების ზუსტი კოორდინატების დადგენა.

„გადამოწმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად ვიცით ქონების მისამართი, მაგალითად: მარჯანიშვილის 17, მაგრამ თუ საქმე გვაქვს მიწის ნაკვეთთან, მაგალითად, სოფელი ძეგვი ან თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია, ზუსტი ადგილმდებარეობის გადამოწმება, ფაქტობრივად, შეუძლებელია“, – ამბობენ საჯარო რეესტრში.

საჯარო რეესტრის პოზიციას კრიტი-

"უხუჩახოზის ჰინსიპი"

„სამოქალაქო კოდექსის თანახმად, უძრავი ქონების შესახებ საჯარო რეესტრში დაცულ ინფორმაციაზე მოქმედებს უტყუარობის პრინციპი. ეს ნიშნავს იმას, რომ მოქალაქე მესაკუთრედ ითვლება მანამ, სანამ არ დადასტურდება სხვა მესაკუთრის უფლების გაუქმება, ან ბათილობა. მექანარიშვილის და მიქელაძის შემთხვევაში კი უტყუარობის პრინციპი დაირღვა“, – ამბობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელი ეკა ბოკუჩავა.

სასამართლო პრაქტიკა

კერძო საკუთრების შესახებ სასამართლო დავებში, ხშირად, სახელმწიფო სტრუქტურები იმარჯვებენ. „სასამართლოს ამოსავალი უნდა იყოს მოქალაქის საკუთრების უფლების დაცვა. ამ ორ მაგალითშიც ჩანს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები თავად ისე კარგად ვერ იმართლებენ თავს, როგორც მათ სასამართლო ამართლებს“, – ამბობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელი ეკა ბოკუჩავა.

კულად აფასებენ როგორც მოქალაქეების ადვოკატები, ისე დამოუკიდებელი იურისტებიც.

„ხვალ თუ შეიცვლება საკუთრების რეგისტრაციის სისტემა, ე.ი. დღეს რეგისტრირებულ უფლებაზე შეიძლება სხვისი უფლება დარეგისტრირდეს. ამ ყველაფერს აბსურდამდე მივყავართ, როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით“, – ამბობს ადვოკატი ილია ჭანტურაია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლის ეკა ბოკუჩავას თქმით, საჯარო რეესტრი ვალდებულია, ადმინისტრაციული სამართალწარმოება სწორად წარმართოს. ეს გულისხმობს მონაცემების გადამოწმებას – არის თუ არა დასარეგისტრირებლად მოთხოვნილი უძრავი ქონება სხვის საკუთრებაში.

მიწის ახალი, კეთილსინდისიერი შემსყიდველები

მიქელაძისა და მექანარიშვილისათვის ჩამორთმეული მიწის ფართები სახელმწიფომ აუქციონის წესით გაყიდა. მიქელაძის ნაკვეთის კვადრატული მეტრის სანყისი ფასი 21 ლარი, ხოლო მექანარიშვილის მიწის ნაკვეთის კვადრატული მეტრის სანყისი ფასი 25 ლარი იყო. მათ დღეს კეთილსინდისიერი შემძენები ჰყავთ.

მოსარჩელების იურისტები ამბობენ, რომ მათ პრეტენზია ადმინისტრაციული ორგანოებისადმი აქვთ და კერძო მესაკუთრეებს არ ედავებიან.

„ადმინისტრაცია რომ ალაღვენს მოქალაქის საკუთრების უფლებას, აუქციონიც უკანონოდ ჩაითვლება და გაუქმდება. შემძენს კი საშუალება და საფუძველი ექნება მოედავოს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც თავისი ქმედებით ზიანი მიაყენა მას. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება. შესაძლებელია მორიგების აქტიც შედგეს, კეთილსინდისიერი შემძენს დაუბრუნდეს, რაც გადაიხადა და თავდაპირველ მფლობელს აღუდგინონ საკუთრებას უფლება“, – ამბობს ილია ჭანტურაია.

იურისტები ამბობენ, რომ მექანარიშვილისა და მიქელაძის შემთხვევა არაა ერთეული. საჯარო რეესტრიც აღიარებს, რომ მსგავსი დავები ხშირია, თუმცა „ძირითად შემთხვევაში დავა მიმდინარეობს ფიზიკურ პირებს შორის“. ამ დავების მოგვარების ერთადერთ გზად საჯარო რეესტრი სასამართლოს ასახელებს.

ფიზიკურ პირებს შორის სასამართლო დავის პრეცედენტები ნაკლებად რეზონანსულია. ხოლო რაც შეეხება მოქალაქესა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის გამართულ სასამართლო გარჩევებს, აქ, როგორც წესი, სახელმწიფო სტრუქტურების სასარგებლო გადაწყვეტილებებია მიღებული. მოქალაქის კერძო საკუთრება კი ილახება. იურისტების თქმით, ქვეყანაში, ამ მხრივ, არასწორი სასამართლო პრაქტიკა დამკვიდრდა. [E]

უხმოე საუბრის სეივნი

საქართველოში ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სკოლამდელი განათლების სპეციალური პროგრამა არ არსებობს. მათთან ურთიერთობა შესტური ენის არცოდნის გამო გართულებულია. ამავე მიზეზით შეფერხებულია ინფორმაციის მიწოდება, სიტყვის მნიშვნელობის გაგება და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება.

თათია ხალიანი

„ყრუ“ საერთაშორისო სიტყვაა. აუცილებლად უნდა მივეჩვიოთ და გამოვიყენოთ, ნუ შეგვემინდება, არ გვრცხვენია, ჩვენ ყრუები ვართ“ – ამბობს საქართველოს ყრუთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე მაია მეტონიძე.

არასრულწლოვანი სკოლამდელი განათლება

„სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის“ თავმჯდომარე მაია ასაკაშვილი ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვების საგანმანათლებლო გარემოს ასე აფასებს: „არ არსებობს სკოლამდელი ასაკის სმენადაქვეითებულ ბავშვთა განათლების გრძელვადიანი სტრატეგია და ადრეული ჩარევის პროგრამა, არ ხდება ბავშვთა ადრეული იდენტიფიკაცია, დიაგნოსტიკა, არ მიმდინარეობს მშობელთა მომზადება, არ ხდება ყრუ ბავშვთა შეფასება 3 წლის ასაკში, რათა განისაზღვროს მათი ინდივიდუალური საჭიროებები, არ ისწავლება შესტური ენა ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის, რადგან არ არსებობენ ამ ენაში სპეციალიზებული პედაგოგები“.

თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღი საქართველოში არსებული ერთადერთი სპეციალიზებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა. ბაღში 215 ბავშვი ირიცხება, მათგან 28 სპეციალური საჭიროების მქონეა, უმეტესად სმენასთან დაკავშირებული პრობლემებით.

ერთი წელია, რაც დაწესებულებას ბაგა-ბაღის სტატუსი მიენიჭა, მან-



ფოტო: ლევან ზვინაძე

მდე ის ინტერნატი იყო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. როგორც დაწესებულების დირექტორი ოლიგო ჩიკვაიძე გვიყვება, რადგანაც ეს იყო ერთადერთი სპეციალიზირებული ინტერნატი სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის, მშობლებს შვილები რეგიონებიდან ჩამოჰყავდათ და ამ ბაღში ტოვებდნენ. თავად დირექტორი უკვე წლებია სმენადაქვეითებულ ბავშვებთან მუშაობს. როგორც ამბობს, მთავარი პრიორიტეტი ამ ბავშვების სათანადოდ განვითარება, მათთვის პრეაკადემიური უნარების ჩამოყალიბება და სკოლისთვის მომზადებაა.

„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამ ბავშვებს სათანადო გარემო შევუქმნათ. სხვადასხვა ორგანიზაციები გვეხმარებიან, თუმცა ყველაზე ხშირად უცხოელები ინტე-

ბავშვების განათლება

„ყრუ“ – სმენის ისეთი დაქვეითება, როდესაც მეტყველების გაგება სასმენი აპარატივით შეუძლებელია. „სმენადაქვეითებული“ – სმენის ისეთი დაქვეითება, როდესაც მეტყველების გაგება სასმენი აპარატის დახმარებით შესაძლებელია ორი მეტრის მანძილზე.

შესტური ენა

შესტური ენა ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანების ურთიერთობის ძირითადი საშუალებაა. ჩვენ გვერდით არიან ადამიანები განსხვავებული საჭიროებებით, რომელთა უფლებებაც კომუნიკაცია, ერთმანეთთან ურთიერთობა. კომუნიკაციაში მთავარ როლს ენა თამაშობს, სმენადაქვეითებული ადამიანის შემთხვევაში, ეს არის შესტუბის ენა. ის ხელის მოძრაობაა, რომელიც ახლავს მეტყველებას ან ცვლის მას.

რესდებიან ჩვენი ბალით. იაპონიის ელჩმა რემონტი გაგვიკეთა, გერმანელებმა სპეციალური ხმის გამაძლიერებელი აპარატურა ჩამოგვიტანეს, რომელსაც აქტიურად ვიყენებთ“.

ყრუთა კავშირში ამბობენ, რომ დღეს მთავარი პრობლემა სკოლამდელი ასაკის სმენადაქვეითებული ბავშვების განვითარება და მათთვის შესაბამისი სწავლების მიწოდებაა. კავშირის წარმომადგენელთა თქმით, ბალები თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული „ბალების სააგენტოს“ ეკუთვნის, სწორედ მან უნდა შექმნას პროგრამა. თუმცა, ორგანიზაციას მომზადებული აქვს სარეკომენდაციო პაკეტი, რომლის წარდგენასაც სააგენტოში აპირებს.

წელს ბალების მართვის სააგენტომ დაამტკიცა „ბაგა-ბალების მართვის სტრატეგია“, რომლის თანახმად, ყველა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი გათავისუფლებულია გადასახადისაგან და მათი ბალები ყოფნის საფასურს მთლიანად სააგენტო ფარავს. გარდა ამისა, სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სპეციალისტების შეფასება/რეკომენდაციები, მომზადდეს ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა, რათა მათთან მუშაობა უფრო ეფექტურად წარიმართოს.

ანა ჯანელიძე, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრის სკოლამდელი აღზრდის ხელშემწყობი პროგრამის კოორდინატორია, ამბობს, რომ სკოლამდელი განათლების სფეროს მართვა განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას.

„მოცემულ ეტაპზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი არ ახორციელებს ისეთ პროექტს, რომლის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა ჩართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. მიუხედავად ამისა, ყველა პროექტი გულისხმობს და ითვალისწინებს

ინკლუზიური განათლების პრინციპებს“

ჟესტური ენის მნიშვნელობა

ალსანიშნავია, რომ ბაგა-ბალებს ორი სურდოპედაგოგი ჰყავს, ისინი ჟესტურ ენას არ ფლობენ, ბავშვებთან მათი მუშაობის მიზანი მოზარდების ამეცყველება, მათთვის „ხმის ამოღების“ სწავლებაა. პედაგოგები ამბობენ, რომ ამ სწავლების საშუალებით ბავშვებს ისეთი სიტყვების წარმოთქმა შეაძლებინეს, როგორებიცაა „გამარჯობა“, „მოდი“, „ნაღი“, „დედა“.

თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს საკმაოდ მოძველებული მეთოდია. უმეტეს შემთხვევაში, ბავშვებმა არ იციან სიტყვების მნიშვნელობა, ამის გამო ისინი ვერ გამოიყენებენ ამ სიტყვებს წინადადებაში, უფრო მეტიც, წინადადებას ვერ ააწყობენ. ამისათვის საჭიროა, რომ პედაგოგები თავად ფლობდნენ ჟესტურ ენას, რათა სიტყვების მნიშვნელობა აუხსნან ბავშვებს.

„სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებაში სწავლება ადრეული ასაკიდანვე უნდა მიმდინარეობდეს ჟესტურ ენაზე, როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში, რაც გააადვილებს სკოლაში სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას და სოციალიზაციას“, – ამბობს მათა ასაკაშვილი.

მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ისიც, რომ ხშირად ჟესტური ენის დაუფლების აუცილებლობა თვით მშობლებსაც არ აქვთ გაცნობიერებული. უმეტეს შემთხვევაში, მშობლებიც არ ფლობენ ჟესტურ ენას, ისინი ცდილობენ პირიქით, სმენადაქვეითებული ბავშვი მორგონ მეტყველ გარემოს.

„არ მინდა ჩემმა შვილმა ჟესტებით ისაუბროს, მირჩევნია მან სიტყვები თქვას, მაგრამ თუ ეს მისთვის უკეთესია, მაშინ მე თანახმა ვიქნები“, – ამბობს ერთ-ერთი მშობელი. მისი შვილი 4 წლისაა და სმენის მესამე ხარისხის დაქვეითება აქვს.

თანამედროვე სტანდარტის მიხედვით, სმენადაქვეითებულ და ყრუ მო-

ბილინგვისტური სწავლება

ბილინგვისტური მეთოდი არის სწავლების ორენოვანი სისტემა. სისტემის თეორიულ ნაწილში აღნიშნულია:

1. ჟესტური ენა ყრუ ბავშვებთან ურთიერთობის მთავარი საშუალება;
2. ყრუ ბავშვი, რომელიც სპეციალური სწავლების პროცესში იყენებს ჟესტურ ენას, სახელმწიფო ენასთან ერთად, ცხოვრობს ორენოვნების პირობებში;
3. ყრუ ბავშვები ადვილად იღებენ და გადაამუშავებენ ინფორმაციას ჟესტური ენის მეშვეობით;
4. ყრუ ადამიანებს აქვთ უფლება, იყენონ სოციაუმის წევრები, მაქსიმალურად უზრუნველყონ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზაცია, მიიღონ განათლება ჟესტების ენაზე;
5. სახელმწიფო ენა არის ურთიერთობის მთავარი საშუალება და განუყოფელი ნაწილი ჟესტური ენისა.

ზარდებთან მუშაობის მთავარ მეთოდად ე.წ. „ბილინგვისტური მეთოდი“ უნდა გამოიყენონ.

„შევიცარიის უნივერსიტეტი გვკარნახობს, რომ სმენადაქვეითებულ ბავშვს აქვს უფლება, შეისწავლოს ორი ენა – სახელმწიფო და ჟესტური ენა. ყრუ ბავშვი არის ორენოვანი. თუ მან სახელმწიფო ენა არ ისწავლა, ვერ მიიღებს განათლებას, აკადემიურ უნარებზეა საუბარი. ამასთან ერთად, თუ მან ჟესტური ენა ვერ ისწავლა, ვერ ისწავლის სახელმწიფო ენას, ამიტომ ჩვენთვის ეს არის დეზულეზა და სამოქმედო გეგმა“, – ამბობს მათა მეტონიძე.

საგანმანათლებლო პროგრამები სრულფასოვნად და მთლიანად უნდა აკმაყოფილებდნენ ყრუ და სმენის პრობლემების მქონე ბავშვების საჭიროებებსა და მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, „ყრუთა კავშირი“ და „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია“ ერთხმად აცხადებს, რომ საჭიროა ბილინგვისტური მეთოდის, როგორც ყრუთა სწავლების მთავარი მიდგომის, დანერგვა. **[A]**

ბამსხვილები ხანები - ბაჩიხი ინტეჩაქიანი განათლებლისათვის

საჯარო სკოლებში კლასების გამსხვილების ტენდენცია დაიწყო. ამ პროცესის პარალელურად, სამსახურებიდან თავისუფლდებიან მცირე საათობრივი დატვირთვის მქონე პედაგოგები. ექსპერტების თქმით, ეს პროცესი ინტერაქტიულ სწავლებას შეაფერხებს.

ლიკა ზაკაშვილი

ნანიკო მღებრიშვილი თბილისის 173-ე საჯარო სკოლის მეცხრეკლასელია. გასულ წელს მის კლასში მოსწავლეების რაოდენობა 25-ს არ აღემატებოდა, ახლა კი 33-ს აღწევს. მოსწავლეების რაოდენობა პარალელური კლასების შერწყმის შედეგად გაიზარდა.

„მას შემდეგ სასწავლო პროცესი უფრო ქაოტური გახდა, გაკვეთილზე ბავშვების გაჩერება ყველა პედაგოგს უჭირს“, – ამბობს ნანიკო.

კლასების „გამსხვილება“

კლასების გაერთიანებამ კლასში მოსწავლეების რაოდენობის ზრდის გარდა, საგნების საათების შემცირებაც გამოიწვია, რასაც შედეგად სკოლიდან მცირე დატვირთვის მქონე პედაგოგების გათავისუფლება მოჰყვა.

„ადრე მე-9 საფეხურზე სამი პარალელური კლასი იყო, ახლა ორი, შესაბამისად შემცირდა საათობრივი

დატვირთვა, რამაც პედაგოგების საათები შეამცირა. აქამდე თუ ქართული ენის 3 სპეციალისტი გვჭირდებოდა, ახლა 2 გვჭირდება“, – ამბობს ერთ-ერთი საჯარო სკოლის ადმინისტრაციის წევრი, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ამჯობინა. მისივე თქმით, კლასების გაერთიანებამ პედაგოგზე მეტად სასწავლო პროცესი და მისი მთავარი მონაწილე, მოსწავლე დააზარალა, რადგან სწავლის პროცესი ბევრად უფრო ეფექტურია მცირეკონტინგენტიან კლასებში.

თბილისის მე-20 საჯარო სკოლაში გერმანული ენა გაძლიერებულად ისწავლება. 2010 წლამდე გერმანულის გაკვეთილზე კლასები იყოფოდა, კლასში, ყველაზე მეტი, 15 ბავშვი იჯდა.

„გერმანულის სწავლებაში მოსწავლეების მაღალ აკადემიურ შედეგებს საკითხისადმი ამგვარი მიდგომა განსაზღვრავდა. კმაყოფილი იყო ბავშვი,



მშობელი და პედაგოგი. შარშან მოგვთხოვეს განაცოფების გაუქმება, რაც ძალიან ცუდად აისახა სასწავლო პროცესზე“, – ამბობს მე-20 საჯარო სკოლის ერთ-ერთი პედაგოგი, რომელმაც, აგრეთვე, არ ისურვა საკუთარი ვინაობის გამხელა.

ჟურნალი „ლიბერალი“ შეეცადა პე-



ილუსტრაცია სოფო კობახიძე / მოზაიკი

დაგოგებს და სკოლის დირექტორებს საათობრივი დატვირთვის და კლასებში ბავშვთა გაზრდილ რაოდენობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე გასაუბრებოდა. თითქმის ყველა დირექტორმა ინტერვიუზე უარი გვითხრა. თბილისის 53-ე საჯარო სკოლის დირექტორმა ტატო შავშიშვილმა, მაგალითად, გადა-

ტვირთული გრაფიკის გამო, უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ინტერვიუზე უარი გვითხრა.

პედაგოგთა შემცირება – „ოპტიმიზაცია“

კლასების გაერთიანების პარალელურად, დაიწყო მცირე საათობრივი

დატვირთვის მქონე პედაგოგთა შემცირების პროცესიც, რაც ყველაზე თვალსაჩინო საქართველოს რეგიონებში იყო.

2011 წლის ნოემბრის თვიდან ამ პროცესის შესახებ საქართველოს რეგიონულ პრესაში არაერთი მასალა გამოქვეყნდა. 15 ნოემბერს გურიაში გამომავალი გაზეთი „გურია ნიუსი“

სკოლებში შექმნილი სერიოზული აჟიოტაჟის შესახებ იუნკებოდა: „განათლების სამინისტროდან დაბრუნებულმა ოზურგეთის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა და სკოლების დირექტორებმა სამინისტროს მითითება ჩამოიტანეს, რომელიც მცირე საათების მქონე პედაგოგთა სკოლიდან გათავისუფლებას ითვალისწინებს“.

ანალოგიური ხასიათის ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას 22 ნოემბერს ახალციხის გაზეთ „სამხრეთ კარიბჭეში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ „პედაგოგთა შემცირება“, რომელიც ახალციხის საჯარო სკოლებიდან მცირე დატვირთვის პედაგოგთა გათავისუფლების მოვლენებს აღწერს.

პედაგოგთა დატვირთვის ოპტიმიზაციის მიზანს ემსახურებოდა 2011 წლის ივნისში პედაგოგთა შრომით ანაზღაურების წესში შესული ცვლილებებიც.

2011 წლის ივნისში ყველა სკოლას გადაეგზავნა მინისტრის N 576 ბრძანება. ბრძანება სკოლის ადმინისტრაციას ავალებს ყველა სერტიფიცირებულ პედაგოგს მისცეს სრული, ან სრულზე მეტი განაკვეთი. აღნიშნულ ბრძანებას მოჰყვა „პედაგოგთა შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ პუნქტში ცვლილება, რომლის მიხედვით სერტიფიცირებული პედაგოგი 75-ლარიან დანამატს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუკი იგი სრულ განაკვეთზე მუშაობს, ან სრულ განაკვეთზე მეტი საათობრივი დატვირთვა აქვს.

განათლების ექსპერტის, სიმონ ჯანაშიას აზრით, პედაგოგებისთვის 75-ლარიანი დანამატის მიღებასთან დაკავშირებული შეზღუდვები განათლების სისტემაში არსებული ფინანსური პრობლემებით არის გამოწვეული.

„სამინისტროში იციან, სერტიფიცირებული მასწავლებელი უფრო მნიშვნელოვან სახელფასო დანამატს რომ იმსახურებს, მაგრამ განათლების სისტემის არსებული ბიუჯეტით ამის უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. ამიტომ დამატებითი მექანიზმებით ცდილობენ, ერთი მხრივ, გაზარდონ პე-

დაგოგთა ანაზღაურება, ხოლო მეორე მხრივ, გაართულონ ამ ანაზღაურების მიღების წესები.

მასწავლებლებს მიმდინარე პროცესების მიმართ უსამართლობის შეგრძნება აქვთ. ამბობენ, რომ სამინისტროს გადაწყვეტილებას შინაგანი ლოგიკა არა აქვს. პროცესი ვერ ხსნის, თუ რატომ არ იღებს დანამატს ყველა სერტიფიცირებული პედაგოგი. განათლების რეფორმის მესვეურებიც არ აღიარებენ, ან ვერ ხსნიან ფაქტს, რატომ ვერ ახერხებს სახელმწიფო განათლების სისტემაში უფრო მეტი ფულის ჩადებას.“

ინტერაქტიული სწავლება

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემის მიზანი ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის დანერგვაა. 2004 წელს, სანამ ზოგადი განათლების კანონი, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, თუ სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტი შეიქმნებოდა, დაიწერა კონცეფტუალური დოკუმენტი „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს განათლების სისტემის ორიენტირებას.

„საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას

ინტერაქტიული სწავლების შესახებ

► **მეოცე საუკუნის გამოჩენილი ფრანგი პედაგოგი სელესტენ ფრენე, რომლის პედაგოგიკა დღემდე აქტუალურია, თავის ერთ-ერთ ნაშრომში „პედაგოგიური ინვარიანტები“ წერს: „სკოლამ უნდა აღზარდოს უნარიანი, შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანი. ამ თვისებების შექმნა კი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია გაუსახურებულ, უფერულ და უფორმო მასაში. აუცილებელია თითოეულ მოსწავლეს მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ ეფექტურად იშრომოს, როგორც გუნდში, ისე ინდივიდუალურად. როცა კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 20-25 გადააჭარბებს, ბავშვი უსახურ მასაში ჩაკარგული რჩება.“**

► **იუგოსლავიელი ფსიქოლოგები, რომლებმაც იუგოსლავიაში სასკოლო რეფორმა წამოიწყეს,**

აღნიშნავენ: “მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო მოსწავლეს განიხილავს, როგორც პროცესის აქტიურ მონაწილეს. სკოლაში, სადაც მასწავლებლის ფუნქცია მხოლოდ მოსწავლეზე ცოდნის გადაცემით შემოიფარგლება, უნდა შეიცვალოს მოსწავლესთან აქტიური თანამშრომლობით, შეთანხმებულ სასწავლო პროცესით, რომელშიც მოსწავლე აქტიურ და კონსტრუქციულ მონაწილეობას მიიღებს“. ასეთ სასწავლო გარემოში მოსწავლე ცოდნასთან ერთად მის პრაქტიკაში გამოყენების და ახალი ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარ-ჩვევებს ითვისებს, უვითარდებთ შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება.

► **ზოგადი განათლების სისტემაში ინტერაქტიული სწავლების მნიშვნე-**

ლობაზე ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე წიგნში „ინტერაქტიული სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები“ წერს: „გარდა კარგი პედაგოგიური ეფექტისა, ამ მეთოდის თვისებური მოქალაქეობრივი დატვირთვა აქვს. ინტერაქტიული სწავლებისას სრულყოფილია როგორც პედაგოგი, ისე მოსწავლე. ორივე შედეგის ავტორიც და მასზე პასუხისმგებელიც. ამიტომ, რომ ამ სწავლებას დემოკრატიულს უწოდებენ. ამდენად, ინტერაქტიული სკოლა მარტო საგნებს კი არ ასწავლის ახალგაზრდას, არამედ დემოკრატისადაც, რადგან დემოკრატის უმთავრესი პირობა არის აქტიური მოქალაქე. აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბება კი იწყება აქტიურ ბავშვში, რასაც ხელს უწყობს ინტერაქტიული პედაგოგიკა.“

ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. ამასთან, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს“, – ვკითხულობთ აღნიშნულ დოკუმენტში.

იგივე წერია განათლების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზეც. აქ განთავსებული ზოგადი განათლების 2010-2011 წლის პრიორიტეტების თანახმად, ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ინტერაქტიული სწავლის წახალისებაა – „სწავლისადმი ინტერესის გაღვივება ინტერაქტიული გაკვეთილების მეშვეობით“.

თუმცა, კლასების გამსხვილება და პედაგოგთა სამსახურებიდან გათავისუფლება ინტერაქტიული სწავლების მიზნისკენ მიმავალი გზა არ არის, მიიჩნევენ ექსპერტები განათლების საკითხებში. ინტერაქტიული გაკვეთილის ჩატარება კლასში, სადაც ბავშვთა რაოდენობა 25-ს აღემატება, რთულია, ამას პრაქტიკოსი პედაგოგების გარდა, განათლების სფეროს თეორეტიკოსებიც ამტკიცებენ.

განათლების რეფორმის ერთ-ერთი მონაწილე, სიმონ ჯანაშია ამბობს, რომ 2005 წელს ეროვნულ სასწავლო გეგმაში პირველ კლასში ასაყვან ბავშვთა რაოდენობა 25 ბავშვით იმიტომ განისაზღვრა, რომ სკოლებში აქტიური სწავლების დანერგვისთვის შეეწყობა ხელი.

„კლასში, სადაც 30 მოსწავლეა, მასწავლებელი ვერ დანერგავს აქტიური სწავლების მეთოდებს. ძალიან მნიშვნელოვანია უშუალო კონტაქტი მასწავლებლებთან. რაც უფრო მეტი ბავშვია, მით უფრო რთულია კონტაქტის დამყარება“, – ამბობს სიმონ ჯანაშია.

2005 წლის შემდეგ ეროვნულ სასწავლო გეგმაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება. კლასში ბავშვების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. ბოლო რედაქციის მიხედვით, სკოლებს კლასში 35 ბავშვამდე ყოლის უფლება აქვთ.

ამასთან, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლებს მეორე

ცვლაში სწავლებაც აღარ ეკრძალებათ. სიმონ ჯანაშიას აზრით, სახელმწიფოს ურჩევნია, რომ ფიზიკური ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად იყოს გამოყენებული, ამიტომ მეორე ცვლის სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდვა გააუქმა.

„2007 წლამდე სახელმწიფო ეუბნებოდა სკოლებს, რომ აკრედიტაციის მინიჭების დროს შეფასდებოდა, ჰქონდა თუ არა სწავლება სხვადასხვა ცვლაში. თუ გაქვს, ცუდია, რადგან სასწავლო პროცესი ზარალდება სწავლების ასეთ პირობებში. 2008 წლიდან კი ეს მოთხოვნა, როგორც სწავლების ხარისხის შეფასების კრიტერიუმი, ამოვარდა“, – აღნიშნავს სიმონ ჯანაშია.

■ თუმცა კლასების გამსხვილება და პედაგოგთა სამსახურებიდან

გათავისუფლება ინტერაქტიული სწავლების მიზნისკენ მიმავალი გზა არ

არის, მიიჩნევენ ექსპერტები განათლების საკითხებში. ინტერაქტიული

გაკვეთილის ჩატარება კლასში, სადაც ბავშვთა რაოდენობა 25-ს

აღემატება, რთულია, ამას პრაქტიკოსი პედაგოგების გარდა,

განათლების სფეროს თეორეტიკოსებიც ამტკიცებენ.

კერძო სკოლების პოზიტიური ბამოცდილება

კერძო სკოლებში, კლასებში ბავშვთა რაოდენობის და პედაგოგთა დატვირთვის განსაზღვრის მიმართულებით, საჯარო სკოლებისგან განსხვავებული პრაქტიკა არსებობს.

გივი ზალდასტანიშვილის ქართულ-ამერიკული აკადემიის პედაგოგი ნია ჭაჭიაშვილი სკოლაში არასრული დატვირთვით მუშაობს.

„მე მცირე დატვირთვა მაქვს. ჩავთვალე, რომ სულ ერთი და იგივე საქმიანობა თვითგანვითარების საშუალებას არ მაძლევდა. დროის გამოთავისუფლების შემდეგ ბევრი ისეთი რაღაცის გაკეთება შევძელი, რაც მნიშვნელოვანია ჩემი პროფესიული ზრდისთვის. მაგალითად გამოვუშვი ჟურნალი“, – აღნიშნავს ნია ჭაჭიაშვილი.

„მე ვასწავლი მცირეკონტინგენტის კლასში, სადაც 15 წლამდე ასაკის მოსწავლეები არიან. ამ ასაკში ბავშვები განსაკუთრებით აქტიურები არიან, ყველას რაღაც იდეა ანუხებს. უნდათ, რომ ეს გამოხატონ, გაგიზიარონ. დიდიკონტინგენტის კლასში ამან შეიძლება ხმაური გამოიწვიოს, ერთმა მეორეს ხელი შეუშალოს. 45 წუთის განმავლობაში 35 ბავშვთან კონტაქტი, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ჩვენთან კლასში, მაქსიმუმ, 15 ბავშვია და, ჩემი აზრით, ესეც ბევრია. მრგვალი მაგიდის გარშემო ვსხედვართ, ვსაუბრობთ და ერთმანეთს აზრებს ვუცვლით. ამ მეთოდით ვარკვევთ, რა გაიგეს სწორად, რა ვერ გაიგეს, ეს

არის ცოცხალი ურთიერთობის, აზროვნების პროცესი.“

განსხვავებულად აღწერს მის პედაგოგიურ საქმიანობას 55-ე საჯარო სკოლის პედაგოგი, რომელმაც ასევე არ ისურვა ვინაობის გამხელა.

„ყველა თავს არიდებს ამაზე საუბარს, მაგრამ ფაქტია, რომ საათები შემცირდა, კლასში ბავშვების რაოდენობა გაიზარდა. მე კლასში 30 ბავშვი მყავს, ვერ ვახერხებ ყველა მათგანთან ინდივიდუალურ მუშაობას, შედეგად აქტიური მხოლოდ რამდენიმე მოსწავლეა, დანარჩენები კი, პასიურ როლში რჩებიან. ასეთ პირობებში ინტერაქტიულ გაკვეთილზე და ბავშვთან ინდივიდუალურ მუშაობაზე საუბარი დაცინვა მგონია“, – ამბობს თამარი (სახელი შეცვლილია). ■



ფოტოგრაფია

ხანჯი საქართველო (ზემო აქის სოფელი)

დინა მგანია





ძალიან ხშირად ვმოგზაურობ. ეს პროცესი უზომოდ მიყვარს. ახალი ადგილები, ახალი შეგრძნებები, ახალი ადამიანები. განსაკუთრებით მიყვარს სოფელში მოხვედრა, ხმაურიანი და დატვირთული ქალაქის რიტმის შემდეგ. ეს ჩემთვის დასვენების და სიამოვნების მიღების იდეალური საშუალებაა. იქ ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს. სუფთა ჰაერი, ხის პატარა სახლები, შეშის სუნი და ადამიან-

ნები. სხვანაირი ადამიანები.

სიცოცხლით აღსავსე თვალები 108 წლის ასაკში. სახლის პატარა უფროსები. ძალიან სტუმართმოყვარეები. ტრადიციის მატარებლები.

ოთახის ჩაკეტილ სივრცეში კომპიუტერთან მიჯაჭვას და ვირტუალურ ურთიერთობას ბავშვები ეზოში თამაშს ამჯობინებენ.






სამწუხაროდ, ამ ყველაფერს უკვე იშვიათად შეხვდები ქალაქში.

საოცარი შეგრძნებაა, როდესაც ხვდები ამ სამყაროში. თითქოს სხვა განზომილებაში აღმოჩნდები. ერთი მხრივ, „ცივილიზაციის მონყვეტილები“, მაგრამ ამავდროულად, ნამდვილად ბედნიერები.

სოფელში არ მიწევს კადრის ძებნა. ყველგან რაღაც ხდება. ყველგან რაღაც ისტორიაა. ვცდილობ, უფრო ქართული ტრა-

დიციები აღვბეჭდო, რადგან მგონია, რომ ოდესღაც ეს ყველაფერი გაქრება და ერთ ლამაზ ზღაპარს დაემსგავსება, რომლის ფოტოებიც აუცილებლად უნდა არსებობდეს.

ყველას გირჩევთ, მოიხსენით ვარდისფერი სათვალე და შეხედეთ საქართველოს ისეთს, როგორიც რეალურად არის. ის, რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის.

აუცილებლად წადით სოფელში! 



ჩვენი დროის ბახბახოსი

გიორგი კიკონიშვილის ბლოგი

ბავშვობაში, აი, ძალიან ღრმა ბავშვობაში ბებიის სახლი ჩემი საყვარელი ადგილი იყო, სადაც თითქმის ყოველ შაბათ-კვირა ვრჩებოდი. როგორც კი სკოლის ორშაბათი-ხუთშაბათი ჩაივლიდა, პარასკევ საღამოს უკვე მასთან ვიყავი. თითქმის არ მეგულება ადამიანი, ვისაც ბებია-ბაბუა განსაკუთრებით არ უყვარს, მაგრამ იმ სახლში საყვარელი და ბუნჩულა ბებიის გარდა, სხვა რამეც მიზიდავდა - ჩემი ყველა ფანტაზიისა და ინტერესის რეალიზების ადგილი იყო. მაგალითად, როგორც კი აღმოვაჩინე, რომ არანორმალურად მომწონდა თეატრის სცენაზე ფარდის დაშვება, ბებიაჩემთან ერთად ერთ სკამზე მინი-სცენა მოვანყვეთ, სადაც ყოველდღე ახალ-ახალ „წარმოდგენებს“ ვდგამდით. რეჟისორებიც ჩვენ ვიყავით და მაცურებლებიც. მსახიობებად პატარა სათამაშოებს ვიყენებდით და რა თქმა უნდა, ყოველ საღამოს, წარმოდგენის შემდეგ ვუშვებდით პატარა ფარდას და გამხიარულბუნებულები ვუკრავდით ტაშს. მერე იყო საღამოს საუბრები, ვუყვებოდი ჩემს ბავშვურ ამბებს, ვიცინოდით. ბოლოს კი ჩაი და ძილი.

გაღვიძებისას, პირველი, რასაც თვალის გახელისას ვხედავდი, იყო ერთი წიგნი ჩემ წინ აღმართული ბიბლიოთეკიდან, „ჩვენი დროის გამირი“, ასე ერქვა. ლერმონტოვის იყო, თუ არ ვცდები. ეს წიგნი არასდროს წამიკითხავს, თუმცა ბავშვობაში, ყოველ შაბათ-კვირას, დილით, ვიგებდი, რომ ყველა დროს თავისი გამირები ჰყავს. ვინ გამირები? ჩემი

პატარა ჭკუით, უბრალოდ, ვილაც კარგი, კეთილი ტიპები, რომლებსაც უყვარდათ ადამიანები და რომლებიც უყვარდათ ადამიანებს.

რაც უფრო ვიზრდებოდი, ვხვდებოდი, რომ გამირები არ მომწონდა, რადგან მათი გამირობა მათი კი არ იყო, არამედ ხალხის მიერ მითოლოგიზებული, კვარცხლბეკზე აყვანილი, ზემოდან, გარედან „გამირებული“. ამავდროულად, ასაკის მატებასთან ერთად ვხვდებოდი, რომ სამყაროში გამირებზე მეტად ანტიგამირები მრავლობდნენ, თანაც, გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში. დღეს ერთ ასეთ ანტიგამირს წავანყვი.

ის ქალბატონი უცნაური სახელწოდების ორგანიზაციას მართავს - „კოალიცია ევროპული საქართველოსთვის“. ასე გამოდის, ამ კოალიციამ უნდა გვაზიაროს ევროპულ ღირებულებებს და მიუერთოს საქართველო ევროპულ კულტურულ სივრცეს. რაკილა ბევრისთვის ჩვენ ჯერ კიდევ ბარბაროსები ვყოფილვართ, ამიტომ არაბარბაროსმა, ჭკვიანმა ტიპებმა უნდა მიგვიყვანონ ცივილიზაციამდე. თუმცა საკითხავია, რამდენად გამოდგება ცხერის ფარის სანყემსად მგელი?

ბოლო დროს განსაკუთრებით მიმძაფრდება განცდა, რომ საქართველოში შეიქმნა რაღაც არამხოლოდ პრივილეგირებული, მდიდარი და ძალაუფლების მქონე, არამედ მიზანთროპების, კაცთმოძულეების კასტა. ადამიანები, რომლებსაც არა მხოლოდ კიდიათ სხვების

უბედურება, არამხოლოდ ქილიკობენ უბედურებაზე, არამედ შანსსაც კი არ უშვებენ, რომ თავისი ბოროტი ნიხლი დააჭირონ მსხვერპლს და სადისტური სიამოვნება განიცადონ ამით. მსგავსი ადამიანების წინააღმდეგ ყველაზე უსუსური გამოსავალი მათი „გაქრობა“ ჩვენი პირადი სივრციდან. მაგალითად, 26 მაისის შემდეგ უამრავი მეგობარი წავშალე ფეისბუქიდან, ვინც აქციის დარბევისას დაღუპულ ადამიანებზე ამობდნენ, ღირსები იყვნენო, რაკილა მიმაჩნია, რომ „სიკვდილის ღირსი“ ადამიანები ბინ ლადენი და მუამარ კადაფიცი კი არ იყვნენ. მაგრამ ეს სხვის უბედურებაზე ნიხლის დამჭერი ბარბაროსები ცხრათავიანი გველშაპებივით არიან - ერთ თავს თუ მოაჭრი, მოჭრილ ადგილას ორი თავი ამოსდით.

ასე იგორა იმ კოალიციის დამფუძნებლის, ქეთა გაბიანის თავმა თითქმის ექვსი თვე და 26 მაისის შემდეგ ახლად წამოჩიტულმა თავმა ახალი ბოროტება დაახეთქა.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, 1948 წლის 10 დეკემბერს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია შეიქმნა. ორ მსოფლიო ომგადატანილმა სამყარომ, მილიონობით ადამიანის გაჟლეტის შემდეგ, როგორც იქნა, იგრძნო, რომ ადამიანი ის არსება იყო, რომელსაც ჩვენ თვითონვე ყველაზე ბარბაროსული მეთოდებით ვუსწორებდით და გადანყვიტა, რომ იურიდიულად მაინც ელიარებინა მისი ცხოვრებისა და სიცოცხლის ხელშეუხებლობა,

დაეყენებინა იგი სამყაროს ცენტრში, როგორც მთავარი საზრუნავი. ერთია, რამდენად შეძლო ეს სამყარომ რეალურად, მაგრამ ფაქტია, კაცობრიობა მივიდა ამ დასკვნამდე.

2011 წლის 10 დეკემბერს კი საქართველოში ისევ გამოიჩვენეს ახალი ბარბაროსები. თანაც, პრეტენზიით, რომ საქართველო ცივილიზებული სამყაროს ნაწილი უნდა გახადონ.

რამდენიმე თვის წინ, გახსოვთ ალბათ, შემზარავი ტრაგედია დატრიალდა. დევნილმა, რომელმაც იგემა, როგორია იყო დევნილი საკუთარ ქვეყანაში უკვე მეორედ, პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა და სასონარკვეთილმა თავი ცოცხლად დაიწვა. ეს ერთი ადამიანის ტრაგედია არაა. ეს სახელმწიფოს ტრაგედიაა. იმ სახელმწიფოსი, რომელიც მილიონებს ხარჯავს ქვეყანაში ტურისტების მოსაწონ ზიზილ-პიპილოების ასაგებად, ხოლო


საკუთარი მოქალაქეები კი თავს ინვავენ უკიდურესი გაჭირვების გამო. ამ ტრაგედიას კი ახალმა, ჩვენი დროის ბარბაროსმა ქეთა გაბიანმა დღეს, 10 დეკემბერს ასე უპასუხა: „ბენზინი ხომ იშოვა, თავი რომ დაეწვა?“

რა ადვილია გაგიჩნდეს ეს შეკითხვა, როცა თბილისის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სავაჭრო ცენტრ „კიდობანს“ ფლობ, როცა კოალიციას აფუძნებ, რომ საქართველო ევროპის ნაწილად აქციო, როცა ფემენებულურ სახლში ცხოვრობ, სახლში თბილად ზიხარ და ერთ საახალწლო ნაძვის ხეში ალბათ იმაზე მეტს იხდი, ვიდრე მთელი წლის განმავლობაში ხარჯავდა იმ ქალის ოჯახი, თავი რომ დაიწვა. თუ ეს შეკითხვა ადამიანურია, მაშინ ყველაზე დიდი ჰუმანისტი ალბათ თავად უყიდდა ბენზინს ქალბატონს, რომელსაც ბენზინის ფული არ ჰქონდა. ანდაც, ჯეო-ლიბერტარიანული თვალთ თუ

შევხედავთ, რატომ უნდა აჭამოს სახელმწიფომ მშვიერ ადამიანს, თუ მას შიმშილის გამო ცოცხლად თავის დასანჯავად ბენზინის შოვნის ფული აქვს? ჭეშმარიტებაა, ვერაფერს იტყვი.

10 დეკემბერს საქართველოში რამდენიმე ღონისძიება დაიგეგმა, ადამიანის უფლებათა დღის აღსანიშნავად. ვაპირებდი წასვლას რამდენიმე მათგანზე, თუმცა გადავიფიქრე. ხასიათი გამიფუჭდა. გამიფუჭდებოდა, აბა, რა იქნებოდა, პატარა აღარ ვარ, ბებიჩემი დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. შაბათი კია, მაგრამ იმ სახლში აღარ ვიღვიძებ და ყოველ დღით ველარ ვხედავ წიგნს უცნაური სათაურით: „ჩვენი დროის გმირი“. დიდი ვარ და აღარც გმირები მომწონს. უკვე სხვა დროა და ყოველ დღით ბიბლიოთეკაში თუ არა, ინტერნეტში მაინც ვხედავ ახალ წიგნს უცნაური სათაურით, „ჩვენი დროის ბარბაროსი“.

P.S. განცხადებიდან ორიოდ დღეში ქეთა გაბიანმა ფეისბუქზე საჯარო ბოდიშის წერილი დადო, სადაც ამბობს, რომ მხოლოდ გარდაცვლილს უხდის ბოდიშს და არავის სხვას. აგრეთვე, თავს „შავი პიარის“ მსხვერპლად მიიჩნევს და საზოგადოების ნაწილს აქეთ სდებს ბრალს მისი „განსხვავებული აზრის უპატივცემულობაში“. დიდი ფიქრი არ უნდა იმის მიხედვრას, თუ რამდენად ჯდება ის განცხადება განსხვავებული აზრის, ან, ზოგადად, აზრის კრიტიკიუმებში. ციტატა: „მერე თურმე ძალიან ნანობდა [დამწვარი, მომაკვდავი დევნილი], იმიტომ, რომ საამისო არაფერი სჭირდა, არც შიმშილი და არც არაფერი სხვა. დასკვნა თავად გამოიტანეთ“.

რას ვიზამთ, თუ არ შიმშილობდა, ექნებოდა ბენზინის ფული, აბა რა. და მაინც, ვრწმუნდები, რომ თუ მიზანთროპი ბოდიშს იხდის, ესე იგი მეორე რაუნდისთვის ემზადება. თანაც, გაბიანი ნამდვილად არაა პირველი ამ „საამაყო“ საქმეში. 



კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი

resourcesecurityinstitute.org

www.laender-analysen.de

www.res.ethz.ch

www.boell.ge

სოციალური კაპიტალი აზერბაიჯანში: გამოსაღებია თუ არა ის დემოკრატიის მხენელოებაში?

ანარ ალიევი

ანოტაცია

ამ სტატიაში აზერბაიჯანის სოციალური კაპიტალია მიმოხილული. სტატია სოციალურ კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც ნდობასა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უნარს და განიხილავს სხვადასხვა სამთავრობო ორგანოს მიმართ მოსახლეობის ნდობის ხარისხს. ავტორი ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ნათესაური სოციალური კაპიტალი ჭარბობს, არანათესაური კაპიტალი კი შედარებით მცირეა. მისი ნაკლებობა ფართო მასებში დემოკრატიის დანერგვასაც აფერხებს და მუნიციპალურ, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების რიცხვსაც ამცირებს.

სოციალური კაპიტალი, როგორც ანალიზის საშუალება

ბოლო წლების განმავლობაში სოციალური კაპიტალის ცნება ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სოციოლოგიაში და განვითარების შესახებ კვლევებში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ სამეცნიერო მიდგომად იქცა. სოციალური კაპიტალი, რომელსაც პოპულარიზაციას ბურდიე, კოულმანი და პატნამი უწევენ, ხშირად საზოგადოებაში არსებული ყველა ნაკლოვანებისა და პრობლემის გადაჭრის პანაცეად განიხილება. პოლიტოლოგები პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებს სოციალური კაპიტალის პრიზმაში სწავლობენ და ხსნიან. სამწუხაროდ, აზერბაიჯანში არცთუ ბევრი კვლევა ჩატარებულა, რომლებშიც ქვეყნის განვითარება სოციალური კაპიტალის არსებობა-არარსებობასთან კავშირში განიხილებოდა. ამ სტატიაში განვიხილავთ სოციალურ კაპიტალს აზერბაიჯანში

და ვეცდებით, დავადგინოთ, თუ რა გავლენა აქვს მას განვითარებაზე.

სანამ აზერბაიჯანში არსებული სიტუაციის ანალიზს შევეუდგებოდეთ, უმჯობესი იქნება სოციალური კაპიტალის ცნება და მისი უმთავრესი განზომილებები აღვწეროთ. სამეცნიერო ლიტერატურაში სოციალური კაპიტალის მრავალი განმარტებაა მოცემული. ეს ტერმინი ზოგჯერ განსხვავებული მნიშვნელობითაა გამოყენებული. ამ ნაშრომში დავეყრდნობით პატნამის განსაზღვრებას, რომელიც შემდგომში მსოფლიო ბანკმაც გამოიყენა. ამ განსაზღვრების თანახმად, სოციალური კაპიტალი განიხილება როგორც „სოციალური ორგანიზაციის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა ნდობა, ნორმები და ქსელები, რომლებსაც საკოორდინაციო ქმედებების გაადვილების გზით, საზოგადოების ეფექტიანობის გაუმჯობესება შეუძლია“.

სოციალური კაპიტალი, როგორც წილი


წილი, რომელიც ხშირად გამოიყენება, როგორც სოციალური კაპიტალის სინონიმი, ინსტიტუციური ცვლილებების კვლევებში ერთ-ერთი ცენტრალური თემა გახდა. ბევრ სოციოლოგს, როგორც წესი, მიაჩნია, რომ გარდამავალ პერიოდში მყოფ ქვეყნებში ინსტიტუტებისადმი წილი ძალიან დაბალია, რაც მთავრობის გადწყვეტილებებს ლეგიტიმურობას უკარგავს ან ამა თუ იმ პოლიტიკის გატარებას ართულებს (ინსტიტუტებისადმი წილის ხარისხის შესახებ იხ. „საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა“ ამ ნომერში).

აზერბაიჯანში სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტისადმი წილის ხარისხში მნიშვნელოვანი მერყეობა აღინიშნება. პრეზიდენტისადმი წილი აქ ყოველთვის მაღალი იყო, რადგან ხალხი ქვეყანაში მომხდარ ყველა დადებით ცვლილებას თუ მოვლენას ლიდერს უკავშირებს. ამდენად, პრეზიდენტის მიერ წამოყენებულ ინიციატივებს საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის დიდი შანსი აქვს. სამაგიეროდ, ნეგატიური მოვლენების შემთხვევაში, მაგალითად, უსამართლობასა და მოუგვარებელ პრობლემებს, საზოგადოება სხვა სამთავრობო ინსტიტუტებს მიაწერს. მაგალითად, მოსახლეობის დიდი ნაწილი აღმასრულებელ ხელისუფლებას ან არ ენდობა ან მის მიმართ ნეიტრალურადაა განწყობილი, რაც უცნაურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას სწორედ ხალხის მაღალი წილით აღჭურვილი პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. ეს ფაქტი იმით შეიძლება აიხსნას, რომ ხალხი პრეზიდენტსა და მის ხელქვეით მინისტრებს შორის უმეტესწილად გამყოფ ზღვარს ავლენს.

წილის ასეთი მაღალი ხარისხი პრეზიდენტისადმი და შედარებით დაბალი – მთავრობისადმი იმითაც აიხსნება, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობას ქვეყნის შიგნით გატარებული პოლიტიკისადმი პატერნალისტური დამოკიდებულება აქვს. მაგალითად, შეკითხვაზე მთავრობის როლის შესახებ გამოკითხულთა 67.4 პროცენტი პასუხობს, რომ მოსახლეობას მთავრობა უნდა ეპყრობოდეს, როგორც მშობელი, და მხოლოდ 21 პროცენტს მიაჩნია, რომ მთავრობა დამქირავებლის როლში უნდა იყოს. პოლიტიკისადმი ასეთი მიდგომა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების საქმეში შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს, რადგანაც შედეგად სამთავრობო ორგანოები ოჯახების მსგავსად ფუნქციონირებს და საკუთარ ქმედებებზე პასუხს არ აგებს.

მოსახლეობის წილი ადგილობრივ მთავრობასაც სჭირდება. აზერბაიჯანში იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ადგილობრივ მთავრობას ენდობა, დაახლოებით 38 პროცენტია, თუმცა არის ასევე საკმარისად დიდი ნეიტრალური უმცირესობაც. გამოკითხვის ასეთი შედეგი მიუთითებს, რომ ეს ინსტიტუტი ჯერ კიდევ ახალია და რეფორმები ამ სფეროში დასრულებული არ არის. ამასთან, ბევრ უკმაყოფილო ადამიანს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტებს მათი პრობლემების გადაჭრის უნარი არა აქვს. ამას გარდა, ადგილობრივ მთავრობას ბევრი ფუნქცია არცა აქვს, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლება ძირითადად, ფედერალურ დონეზეა კონცენტრირებული. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ხალხი უფრო ცენტრალურ მთავრობას ენდობა, ვიდრე ადგილობრივს, რადგან

გრაფიკი 1. ორგანიზაციების წილი; 2008 წელი



წყარო: World Value Survey, http://www.worldvaluessurvey.org/index_surveys

მიჩნეულია, რომ რეალურად პრობლემების მოგვარება სწორედ პრეზიდენტს შეუძლია. დემოკრატიის მშენებლობაში მოსახლეობის მონაწილეობას ადგილობრივი მთავრობისადმი წილის დაბალი ხარისხიც უშლის ხელს. სხვა არჩევნებთან შედარებით აზერბაიჯანის ადგილობრივ არჩევნებში მოსახლეობა ნაკლებად მონაწილეობს. მაგალითად, 2009 წლის მუნიციპალურ არჩევნებში მოსახლეობის 31.8-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო უფრო ადრე გამართულ ეროვნულ არჩევნებში - დაახლოებით 45-მა პროცენტმა.


ხელისუფლების ყველა შტოს შორის მოსახლეობა ყველაზე ნაკლებად საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას ენდობა. პრობლემა ის არის, რომ გადწყვეტილების მიღებისას სასამართლო ხშირად მიკერძოებულია. თუმცა მოსახლეობის დიდი ნაწილი ამბობს, რომ განათლებისა და ჯანდაცვის სისტემას ენდობა, სხვა მონაცემები ამას არ ადასტურებს. მაგალითად, კვლევებით დადგინდა, რომ გამოკითხული მოსახლეობის 60 პროცენტი, მათ შორის მეთერთმეტეკლასელთა 78 პროცენტი, კერძო მასწავლებელთან დადის, რომ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებისათვის მოემზადოს, ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებლები კი განათლების სისტემისადმი მაღალ წილზე ნამდვილად არ მიუთითებს.

ზოგადად, ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრეზიდენტის გარდა ყველა სხვა ინსტიტუტის წილის ხარისხი შედარებით დაბალია, რაც ართულებს დემოკრატიაზე გადასვლის პროცესს და ზრდის ეკონომიკურ ხარჯებს. როგორც უკვე ითქვა, ადგილობრივი მთავრობისა და პარლამენტისადმი წილის დაბალი ხარისხის გამო შესაბამის არჩევნებში ხალხის მონაწილეობის დონე დაბალია. ასეთი გარემო პოლიტიკურ აპათიას უწყობს ხელს. ადამიანები არ შედიან პოლიტიკურ პარტიებში, ასოციაციებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებში. წილის ნაკლებობა ქვეყანაში ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების განმტკიცებასა და ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას აფერხებს.


იმავედროულად, სხვა ინსტიტუტებისადმი დაბალი რწმენა ცხოვრების ღირებულებას ზრდის და კორუფციის განვითარებას უწყობს ხელს. მაგალითად, განათლების სისტემისადმი უნდობლობის გამო ჩამოყალიბდა კერძო რეპეტიტორთა კლასი, რაც მშობლებს მძიმე ტვირთად აწევს, ხოლო უნდობლობა ჯან-

ინსტიტუტებისადმი დღობის შედარება სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში


გრაფიკი 1. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) პრეზიდენტს




გრაფიკი 2. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) მთავრობას




გრაფიკი 3. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) პარლამენტს




გრაფიკი 4. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) ადგილობრივ ხელისუფლებას



გრაფიკი 5. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) სასამართლო სისტემას



გრაფიკი 6. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) პოლიციას



წყარო: Caucasus Research Resource Centers. "Caucasus Barometer" 2010. <http://crrc.ge/caucasusbarometer/datasets/on November 2, 2011>.

დაცვის სისტემისადმი ადამიანებს აიძულებს კერძო სექტორში იმპურნალონ ან უკეთესი მომსახურების მისაღებად გაზრდილი საფასური იხადონ.

სოციალური კაპიტალი, როგორც ქსელები

ის სოციოლოგები, ვინც სოციალურ კაპიტალს კონტაქტების დამყარების კუთხით განიხილავენ, გამოყოფენ ორ განზომილებას: ნათესაურ და არანათესაურ სოციალურ კაპიტალს. ნათესაური სოციალური კაპიტალი განისაზღვრება, როგორც ურთიერთობა ან კავშირები იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ნათესაობა, მაგალითად, ერთი ოჯახის ან კლანის ან ისეთი ორგანიზაციის წევრობა აკავშირებს, რომელშიც შეიძლება მხოლოდ ნათესაური კავშირების წყალობით მოხვდეთ. არანათესაური სოციალური კაპიტალი კი სხვადასხვა წარმომავლობის, ეთნიკური თუ პროფესიის ადამიანებთან ურთიერთობით წარმოიშობა. ამ შემთხვევაში, მათ ისეთი ასოციაციის, პარტიის თუ ორგანიზაციის წევრობა აერთიანებს, რომლებში განწევრიანებაც თითქმის ყველას შეუძლია.

აზერბაიჯანში ნათესაური სოციალური კაპიტალი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ცალკეული ადამიანები სწორედ ოჯახური კავშირების წყალობით პოულობენ სამსახურს, წინაურდებიან ან რაიმე რესურსებს მოიპოვებენ. ეს სისტემა საბჭოთა პერიოდის 60-იან და 70-იან წლებში უკვე ჩამოყალიბებული იყო, რის გამოც საბჭოთა ადმინისტრაციაში რაღაც ადგილის დაკავება მხოლოდ იმ ადამიანს შეეძლო, ვისი ნათესავიც ამ სისტემაში უკვე მუშაობდა, რაც ელიტის განახლებას შეუძლებელს ხდიდა. ჰეიდარ ალიევი, რომელიც 70-იან წლებში კომუნისტური პარტიის მდივანი იყო, სპეციალური ბრძანებაც კი გამოსცა, რომელიც მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების შეიღებს ადგილობრივი უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე ჩარიცხვას უკრძალავდა. ამ ბრძანებით მოსამართლეებისა და პროკურორების შეიღები სასამართლო სისტემაში სამუშაოზე ვერ მოხვდებოდნენ, რადგან ამისათვის სპეციალური იურიდიული განათლება იყო საჭირო. ძალიან მოკლე პერიოდის განმავლობაში ამგვარი აკრძალვა მშრომელთა რიგებიდან ან რეგიონებიდან გამოსულ ადამიანებს ხელისუფლების მაღალ ემელონებში სამუშაოს პოვნის საშუალებას აძლევდა.

დამოუკიდებელ აზერბაიჯანში ეს სისტემა ოდნავ შეიცვალა. ელიტაში ცვლა უფრო სწრაფად მიდის და მასში ხალხი გარედანაც ხვდება. დამოუკიდებლობის ადრეულ ეტაპზე ელიტები ერთი რეგიონიდან ან ერთი კლანიდან გამოსულ ადამიანებს ეყრდნობოდა, მაგრამ დრო გავიდა და ეს სისტემა მოძველდა. მიუხედავად ამისა, პატრონაჟის სისტემა არ გამქრალა და ნათესაური სოციალური კაპიტალიც ადამიანების ყველაზე მნიშვნელოვან რესურსად იქცა. ოჯახური კავშირების წყალობით, სისტემის შიგნით მყოფ ადამიანებს რესურსებზე სხვებთან შედარებით ბევრად უფრო ადვილად მიუწვდებათ ხელი.

აზერბაიჯანში ნათესაური სოციალური კაპიტალის არსებობა და გაბატონებული მდგომარეობა ადვილი ასახსნელია. სისტემაში,

რომელიც სტაბილურობისაკენ მიისწრაფის, ისეთი მახასიათებლები, როგორც ერთგულება, პროფესიონალიზმზე უფრო ფასობს. ერთი ადამიანი, რომელიც მეორეს სამსახურს სთავაზობს, ჯგუფის ახალი წევრისგან ერთგულებას ელის და მას საკუთარი წრის ნაწილად აქცევს. ახალი ადამიანისთვის სამსახურის მიმცემი ერთგვარი პატრონია, რომელიც ცდილობს, ახალი წევრის ერთგულება უზრუნველყოს. აზერბაიჯანში (და ჩრდილოეთი კავკასიის ბევრ რესპუბლიკაში) ამჟამად არსებულ რეალობაში ადამიანები ცდილობენ ნათესავეს, თავიანთი კლანის წევრებს ან მათი სოფლიდან ან რეგიონიდან გამოსულ ადამიანებს უფრო დაეყრდნონ. ასეთი სისტემა ელიტებისთვისაც ხელსაყრელია, რადგან „პასუხისმგებლობის წრე“ უზრუნველყოფს, რომ არავინ აჯანყდება და არც სისტემის წინააღმდეგ წავა. ამგვარი ქმედებისათვის სასჯელი ხომ არა მხოლოდ „მეამბოხეს“, არამედ ყველა მის ნათესავსაც შეეხება.


ქვეყანაში ნათესაური სოციალური კაპიტალის ასეთ მაღალ დონეს დადებითი მხარეებიც აქვს და უარყოფითიც. ნათესაური სოციალური კაპიტალი მეტ ადამიანს აძლევს საშუალებას, სისტემის ნაწილი გახდეს და ხელი მიუწვდებოდეს რესურსებზეც, იქნება ეს სამსახური, დანაწარმება თუ სხვა რამ. იმავდროულად, ქვეყნის სწრაფ ურბანიზაციასთან ერთად ხალხი საცხოვრებლად რეგიონებიდან დედაქალაქში გადადის და იქ ნათესავების ან თანასოფლელების მახლობლად სახლდება. ამ ადამიანების კავშირები ახალჩამოსულებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირების საშუალებას აძლევს, რადგან ისინი უფრო ადვილად პოულობენ ბინებსა და სამსახურს და აგვარებენ სხვა სახის პრობლემებს. სხვა დიდი ქალაქებისათვის დამახასიათებელი ისეთი მოვლენა, როგორიცაა უსახლკარობა, ნათესაური კავშირების წყალობით აზერბაიჯანისათვის თითქმის უცნობია.

მაგრამ ნათესაური სოციალური კაპიტალი უარყოფით როლსაც თამაშობს. ნათესაურ სოციალურ კაპიტალზე დამოკიდებულების გამო ისინი, ვინც რომელიმე ოჯახის ან ჯგუფის წევრები არ არიან, აზერბაიჯანში მალაშემოსავლიან თანამდებობებს ვერ დაიკავენ და ვერც სამსახურს იშოვიან. მათთვის არც ფინანსური რესურსები იქნება ხელმისაწვდომი. რომელიმე ჯგუფის წევრი კი შეიძლება მხოლოდ დაბადებით ან შესაბამის პირზე ქორწინების მეშვეობით გახდეს (ამიტომაც არის ქორწინება აზერბაიჯანში დანაწარმების ძალიან მნიშვნელოვანი საშუალება). სისტემის დახურულობამ შეიძლება უქმეყოფილება და სოციალური პროტესტებიც კი გამოიწვიოს.


მდიდარი ნათესაური კაპიტალის მიუხედავად, არანათესაური კავშირები აზერბაიჯანში ცუდად არის განვითარებული. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის, კულტურული და პოლიტიკური ასპექტები. საბჭოთა სისტემამ აზერბაიჯანელებს ყოველგვარი ორგანიზაციებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება ჩამოუყალიბა. პარტიული შეკრებების, საპირველმისო დემონსტრაციების, პროფკავშირების ყრილობებისა და საბჭოთა არანათესაური სოციალური კაპიტალის სხვა გამოვლინებების არასასიამოვნო მოგონებებმა აზერბაიჯანელებს რაიმე სახის ორგანიზაციებში წევრობის სურვილი დაუკარგა. ამასთან, ხალხი ვერც ამ ორგა-

ინსტიტუტებისადმი დროის შეღარება საზოგადოებრივი ქვეყანაში


გრაფიკი 7. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) არმიას




გრაფიკი 8. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) საინფორმაციო საშუალებებს




გრაფიკი 9. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) საგანმანათლებლო სისტემას




გრაფიკი 10. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) ჯანდაცვის სისტემას



გრაფიკი 11. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) არასამთავრობო ორგანიზაციებს




გრაფიკი 12. რამდენად ენდობით ან არ ენდობით (ქვეყნის) რელიგიურ ინსტიტუტებს, რომლებსაც თავს მიაკუთვნებთ




წყარო: Caucasus Research Resource Centers. "Caucasus Barometer" 2010. <http://crrc.caucasusbarometer/datasets/onNovember2,2011>.

ინსტიტუტებისადმი დღობის შეფასება სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში


გრაფიკი 13. რამდენად ენდობით ან არ ენდობით ქვეყნის ბანკებს



გრაფიკი 14. რამდენად ენდობით ან არ ენდობით ევროპის კავშირს



გრაფიკი 15. რამდენად ენდობით ან არ ენდობით გაეროს



წყარო: Caucasus Research Resource Centers. "Caucasus Barometer" 2010. <http://crrc.ge/caucasusbarometer/datasets/on November 2, 2011>.

ინიციატივებში შესვლის აზრს ხედავს, რადგან მათ არავითარი დამატებითი სარგებლობა არ მოაქვთ.

ყველა სხვა ფაქტორთან ერთად, ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების არეალი ძალიან შეზღუდულია. დამოუკიდებლობის პირველი ათი წლის განმავლობაში პოლიტიკური პარტიები და ასოციაციები არანათესაური სოციალური კაპიტალის უმთავრესი ელემენტები იყო, მაგრამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკური ცხოვრება (და, განსაკუთრებით, პარტიული პოლიტიკა) დღის წესრიგიდან მოიხსნა. პარტიების წევრთა რიცხვმა იკლო და თვით პარტიებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაიმე როლს აღარ თამაშობენ. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ შეკითხვას, შეუძლიათ თუ არა მოქალაქეებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე პარტია ჩამოაყალიბონ ან რომელიმე პარ-

ტიაში განწევრიანდნენ, რესპონდენტების 37-მა პროცენტმა პასუხი ვერ გასცა, 17 პროცენტის პასუხი კი უარყოფითი იყო. მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხალხმა ხშირად არც კი იცის, რომ ორგანიზაციებში განწევრიანება შესაძლებელია. 2008 წელს ჩატარებულმა კვლევამ World Values Survey დაადასტურა მოსაზრება, რომ სხვადასხვა ორგანიზაციაში მოსახლეობის აქტიური წევრობის თვალსაზრისით, აზერბაიჯანს ძალიან უმნიშვნელო სოციალური კაპიტალი აქვს დაგროვებული.

მოსახლეობის დაბალი აქტიურობის კიდევ ერთი მიზეზი მთავრობის ქმედებებია. მოქალაქეებს პოლიტიკურ ორგანიზაციებში წევრობა იმიტომაც არ სურთ, რომ საჯაროდ გამოჩენის ემინიათ, რადგან ამან შეიძლება მთავრობასთან პრობლემები შეუქმნათ.

აზერბაიჯანში ყველა ტიპის ორგანიზაციებში აქტიური წევრობა ძალიან დაბალ დონეზეა. მაგალითად, გამოკითხულთა მხოლოდ 2.8 პროცენტმა განაცხადა, რომ პროფკავშირების აქტიური წევრია და მხოლოდ 0.8 პროცენტი მონაწილეობს აქტიურად ამა თუ იმ პროფესიული ორგანიზაციის მუშაობაში. იმავედროულად, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელები ქველმოქმედებისა და ფილანტროპიისადმი მზადყოფნით არიან ცნობილი, საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობაში აქტიურად გამოკითხულთა მხოლოდ 0.2 პროცენტი მონაწილეობს.

დასკვნა

მიზეზობრივი კავშირი სოციალურ კაპიტალსა და საზოგადოების დემოკრატიულობას შორის ბევრი კვლევიტაა დადასტურებული. მიუხედავად ამისა, ამ საკითხზე აზერბაიჯანში მნიშვნელოვანი კვლევები არ ჩატარებულა, თუმცა ყველა ხელმისაწვდომი მონაცემის გამოყენებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნათესაური სოციალური კაპიტალი ქვეყანაში შედარებით მაღალია, ხოლო სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტისადმი დღობა - საშუალო. ამ ქვეყანაში დღობის ხარისხი შეიძლება ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს შევადაროთ. აზერბაიჯანს აკლია არანათესაური სოციალური კაპიტალი (ამ მხრივ, მას World Values Survey-ს ქვეყნების ჩამონათვალში ბოლო ადგილი უკავია). არანათესაური სოციალური კაპიტალის არარსებობის გამო ადამიანებს შორის ორგანიზაცია დაბალ დონეზეა, რაც ორგანიზაციებისა და ასოციაციების ჩამოყალიბებასაც უშლის ხელს, ეს კი, თავის მხრივ, აზერბაიჯანში დემოკრატიის ფართოდ გავრცელებას აფერხებს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხალხის პასიურობას იწვევს.

ავტორის შესახებ

ანარ ვალიევმა დოქტორის ხარისხი ურბანული და საზოგადოებრივი საკითხების დარგში ამერიკის კენტუკის შტატის ლუისვილის უნივერსიტეტში დაიცვა. ის პოსტბაკალავრიატის რესპუბლიკებში საჯარო პოლიტიკის, დემოკრატიისა და მმართველობის, ურბანული განვითარებისა და დაგეგმარების პრობლემებზე მუშაობს. ამ სტატიაში გაკეთებული განცხადებები და გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ ავტორს ეკუთვნის.



დიბეანი

მთავარი თემა:

ჯიოჯიანაშ მახტანი, თითქმის ყოვედთვის

ინტერვიუ
გიორგი ტულუშთან
"უდსიხასობები
ახანე ახ
უყვანით"
გვ. 14

პიზნანი
უასოუხი
ინვესტიციების
ტენდენციები
გვ. 24

სამართალი
ქალედზა
დუხინი
საუთიება
გვ. 38

კონფლიქტები
ქვედით
ახანი
მთავრობა
გვ. 18

ISSN 1987-7528



9 771987 752008





www.ucnobifm.ge